

შუშუნა ზვიჰრიშვილი

# ქართული ენის მოამაგენი



გამომცემლობა „ჯანშულ ღვინჯილია“

თბილისი - 2006

## რედაქტორები:

ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი

ლეილა კვანტალიანი

ნანა ახობაძე

## წინასიტყვა

ქართული ენა მსოფლიოს ენათა სისტემაში ყურადღებას იქცევს არა მარტო უძველესი წარსულით, არამედ მონოლითური, მწყობრი გრამატიკული სისტემითა და უმდიდრესი ლექსიკური ფონდით.

ქართული ენა მხოლოდ ურთიერთობის საშუალება როდია. იგი ქართველებისათვის არის ეროვნული მეობის განმსაზღვრელი, ქართველი ხალხის სულის სარკე, უცხოელთათვის კი — სრულიად განსხვავებული, უაღრესად ორიგინალური და მეტად საინტერესო ენობრივი სამყარო.

ქართული ენა „საღვთო საქმეა“, მოითხოვს ფაქიზ მოპყრობას; „კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ილია). ქართულ ენას მოვლა-პატრონობა, დაცვა და მზრუნველობა სჭირდება.

საბედნიეროდ, ჩვენს მშობლიურ ენას, უძველესი დროიდან მოყოლებული, მრავლად ჰყავდა ისეთი ქომბანი, რომლებიც ერთგულად დარაჯობდნენ ამ ძვირფას საუნჯეს და არა მხოლოდ იცავდნენ ენის თავისთავადობას, არამედ რუდუნებით იღვწოდნენ მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის... უამრავი ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე უხმაუროდ, თანაც უდიდესი სიყვარულით მონაწილეობდა ამ დიდებული ტაძრის მშენებლობაში, ტაძრისა, რომელსაც ქართული ენა ჰქვია.

ყოველი თაობა ვალდებულია გაითავისოს მამა-პაპათა ნაღვაწი, ყოველდღიურ ცხოვრებაში გონივრულად გამოიყენოს წარსულის ტრადიციები და კვლავაც მისცეს სწორი მიმართულება წინაპართა მიერ გაკვალულ გზას.

ჩვენი წიგნის მიზანდასახულებაც ესაა — პატივისცემით მოიგონოს ქართული ენის მოამბენი, რათა მათი მეცნიერული მიღწევები თუ ადამიანური თვისებები გახდეს საუკეთესო მაგალითი და მისაბაძი ნიმუში ახალგაზრდობისათვის.

წიგნის პერსონაჟები არიან მწერლები და პოეტები, ქართველი

ენათმეცნიერები და უცხოელი ქართველოლოგები, ყოფილი ლექტორები.

მართალია, ისინი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ, განსხვავებული იყო მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროც, მაგრამ ყველამ მათგანს აერთიანებდა ქართული ენის სიყვარული, მოწიწება და უანგარო მსახურება.

წიგნში შეტანილი მასალების ძირითადი ნაწილი დაწერილია საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, წაკითხულია სამეცნიერო სესიებზე; უმრავლესობა დაბეჭდილია პერიოდულ პრესაშიც.

## ჩვენი ენა ქართული

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გაზეთში 1989 წელს

ქართული ენა ქართველების დედაენაა. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი გმირული ისტორია. „ქართულ ენაში ასახულია ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“ (ვ. თოფურია).

ქართული ენა ერთ-ერთი დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ერის მეობა...

ქართული ენა ერთ-ერთი სამებათაგანია, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ჩვენი ხალხის მთლიანობის მტკიცე საფუძველს, მის სულსა და გულს.

ქართული ენა ერთ-ერთი ის ძალაა, საუკუნეების ქარტახილში რომ გამოატარა ჩვენი ერი და სახელოვნად მოიყვანა დღევანდლობამდე.

ქართული ენა ის ამოურწყავი საგანძურია, ის ძვირფასი საუნჯეა, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა, რამეთუ „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“ (ილია).

სწორედ ასეთი ზრუნვისა და ყურადღების ჭეშმარიტი დასტურია ახლახან გამოქვეყნებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. მასში ჩამოთვლილი ღონისძიებანი (და აგრეთვე შემდგომი შესწორება-დამატებანი) კიდევ უფრო განამტკიცებს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს, ხელს შეუწყობს მისი ფუნქციონირების მრავალმხრიობას.

განუზომლად დიდია დღეს ამ დოკუმენტის ღირებულება ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფისა და შემდგომი განვითარებისათვის. რამაზ პატარიძის მოხდენილი შედარებით რომ ვთქვათ, „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემოღება ფაქტობრივად ნიშნავს ქართული მნიგნობრობის აღორ-

ძინებას, ისევე როგორც ეს მოხდა ახალი წელთაღრიცხვის 311 წელს მირიანის მეფობის ხანაში“.

დედაენის ახალი პროგრამის შემუშავება კანონიერ სიამაყეს იწვევს ყოველ ქართველში, მაგრამ იგი ბევრსაც გვაველებს. ამ დიდ ეროვნულ საქმეს თანადგომა სჭირდება ყველასაგან, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლებისაგან, სტუდენტი ახალგაზრდობისაგან.

პირველ ყოვლისა, ჩვენი ვალია საფუძვლიანად შევისწავლოთ ჩვენი ერის კულტურული წარსული, ჩვენი მშობლიური ენის ისტორია; შევიცნოთ მისი ღირსება-უპირატესობა სხვა ენებთან შედარებით; მეცნიერული სიღრმით შევითვისოთ დედაენის მწყობრი და მონოლითური გრამატიკული სისტემა; დავეუფლოთ მის უმდიდრესსა და უნიკალურ ლექსიკას...

სწორედ პედაგოგმა უნდა შთაუნერგოს მოსწავლეს მშობლიური ენის სიყვარული და აგრძნობინოს მას ქართული სიტყვის სურნელი, ქართული ფრაზის მოქნილობა და დახვეწილობა. ქართული ენის სწავლება სკოლაში ისეთ დონეზე უნდა იდგეს, რომ დედაენის სინმინდის დაცვა ყოველი მოზარდის შინაგან მოთხოვნილებად იქცეს, რათა მომავალ თაობებს შემოენახოს „ძარღვიანი, მუხლადი, ბედაური“ სიტყვა ქართული ენისა.

ჭეშმარიტად ღირსია ასეთი ყურადღებისა ქართული ენა, ის ენა, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც, ის ენა, რომელსაც უცხოელები მსოფლიოს მერვე საკვირველებად თვლიან.

ყოველი ქართველის უწმინდესი მოვალეობაა მშობლიური ენის დაცვა, რადგან, „სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია დედაენა, სწავლება დედაენაზედ“ (ი. გოგებაშვილი).

## ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა

წაკითხულია მოხსენებად 1877 წლის 18 ოქტომბერს ქუთაისის ბედინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე.

ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ფაქტობრივად იგი მესვეურობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. ილიამ წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი უდიდეს ყურადღებას იჩენდა ქართული სალიტერატურო ენის მიმართაც, რადგან, მისი აზრით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“

ი. ჭავჭავაძე სამოღვაწეო ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როცა ახალი ქართული სალიტერატურო ენა კვლავ იმყოფებოდა ანტონ კათალიკოსის სკოლის მიერ დაკანონებული სამი სტილის თეორიის გავლენის ქვეშ.

სამი სტილის თეორიის თანახმად, ენა სამგვარია: მაღალი, დაბალი და საშუალო. ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე ენით დაუშვებლად იყო მიჩნეული. ამიტომ მაღალი სტილი გამოიყენებოდა მხოლოდ „მაღალ მატერიებზე“ (მაგალითად, ღვთისმეტყველებაზე) საუბრის დროს; ისტორიული ამბების თხრობა საშუალო სტილს მოითხოვდა, ხოლო ყოველგვარი (ჩვეულებრივი) ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები გადმოიცემოდა დაბალი სტილით. კომედიებიც ამ სტილით იწერებოდა.

მაღალი სტილი ყველაზე უფრო უნდა დაშორებოდა სასაუბრო ენას. სამი სტილის თეორია უარყოფდა ერთიანი სალიტერატურო ენის საკმარისობას, უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება – სამი სტილის ქართული.

აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII საუკუნიდან აღადგინეს ე.წ.

ხმარებიდან გასული ასოები: *ჟ* (იოტა), *ჟ* (ვიე), *წ* (ხარი), *ჭ* (ეი, ე მერვე), *ჭ* (პოი). ამავე დროს შემოიღეს ახალი ასო *ფ* (Фанрика), ხოლო ანტონ კათალიკოსმა თავის მხრივ დაუმატა *ჟ* (ჟმარ-ცვლო უ, უბრჯგუ). XVIII საუკუნის დასასრულს ქართულ ანბანში ასოთა საერთო რაოდენობამ 40-ს მიაღწია, რის გამოც კიდევ უფრო გართულდა მართლწერა.

უურნალი „ცისკარი“ ანტონის სკოლის მიერ შემოღებული ნორმებით ხელმძღვანელობდა. მასში სხვადასხვა შინაარსის მასალა განსხვავებული ენით იწერებოდა.

XIX საუკუნის სამოციან წლებში დღის წესრიგში დადგა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი.

სწორედ ილია ჭავჭავაძე გამოვიდა პირველად სამი სტილის თეორიის წინააღმდეგ და დაიწყო ბრძოლა სალიტერატურო ქართულის ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოებისათვის. იგი პირდაპირ აცხადებდა: ხალხის ენაზედ უნდა აიგოს სალიტერატურო ენა. „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ენის სინმინდის დაცვა იქცა იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნეთა მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად. სწორედ ენის საკითხი გახდა იმ ბრძოლის საბაზი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მამათა და შვილთა ბრძოლის სახელითაა ცნობილი.

უურნალ „ცისკრის“ 1860 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა რევაზ ერისთავის „შემლილის“ თარგმანი, რომელიც გადმოქართულებული იყო რუსი მწერლის კოზლოვის ნაწარმოებიდან. თვითონ კოზლოვის (სენტიმენტალისტი მწერლის) ნაწარმოები ძალიან სუსტი ყოფილა მხატვრულობის თვალსაზრისით და რევაზ ერისთავისეული თარგმანი – კიდევ უფრო სუსტი. სწორედ ეს თარგმანი სასტიკად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილის თარგმანზედა“. წერილი გამოქვეყნდა უურნალ „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში. ილია წერდა: „თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა. ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს. როცა ვკითხულობდით თარ-



გმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცი-  
ნებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უნოდ ვნახეთ  
ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილილინა ჩვენმა  
უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის  
ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები  
თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თა-  
ვად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა  
იმედმა, პარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის  
ბედი“... გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის  
დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!“

ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ენის სინძინდის დაცვა საშვილიშვი-  
ლო საქმედ მიაჩნდა: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ  
მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან  
გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა.  
მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილიამ თავის წერილში აღარ გა-  
მოიყენა ზემოჩამოთვლილი ხმარებიდან გასული ასოები, რო-  
მელთაც შესაბამისი ბგერები აღარ მოეპოვებოდათ.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი ყუმბარასავით გას-  
კდა იმ დროის მიძინებულ ყოფაში. წერილში დასმულმა თეო-  
რიულმა დებულებებმა ახლებურად დააყენა ქართული სალი-  
ტერატურო ენის განვითარების ხაზი. მეორე მხრით, მან დიდი  
აღშფოთება გამოიწვია სამი სტილის თეორიის მომხრეებში.  
ილიას საპასუხოდ მაშინვე დაიბეჭდა სამი წერილი: თვითონ  
რევაზ ერისთავის, ბარბარე ჯორჯაძისა და გ. ბარათაშვილი-  
სა, რომლებიც თავად უწუნებდნენ ილია ჭავჭავაძეს ენას და  
ბრალს სდებდნენ ქართული ენის წახდენაში, დამდაბლებაში.  
სწორედ ამ დროიდან დაიწყო მამათა და შვილთა ბრძოლა.  
მამების მხრიდან ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, შვი-  
ლებში კი იგულისხმებოდა ახალი თაობა, პროგრესულად მო-  
აზროვნენი, რომლებიც ველარ ურიგდებოდნენ საქართველოში  
გამეფებულ ძველ, დახავსებულ ყოფას, ჩვენი ენის ასე შემო-  
საზღვრას ანბანთთეორეტიკით (ტერმინი „მამათა და შვილთა  
ბრძოლა“ კონკრეტულ ფაქტს უკავშირდება. მამების ანუ ძველი

თაობის მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდა ექვთიმე გორისელი – ექვთიმე წერეთელი – გიორგი წერეთლის მამა. შვილების მხრიდან კი გამოდიოდა გიორგი წერეთელი – შვილძე ექვთიმე წერეთლისა).

მამათა და შვილთა ბრძოლა დამთავრდა შვილების გამარჯვებით, რადგან მათი მიზანი და საქმე იყო სამართლიანი და პროგრესული. ახალი სალიტერატურო ქართული – დამყარებული ხალხის ცოცხალ მეტყველებაზე – აღდგა თავის უფლებებში.

ილია ჭავჭავაძის მიერ დანყებული საშვილიშვილო საქმე ქართული სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვასა და განვითარებაში კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება ჩვენს ეპოქაში.

ილია არა მარტო თეორიული დებულებებით უწყობდა ხელს სალიტერატურო ქართულის წინსვლას, არამედ თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით ამდიდრებდა ჩვენს დედაენას. იგი ყოველ სიტყვას სათუთად ეპყრობოდა, ხვეწდა ფრაზას და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობიდან, ქართული ენის მდიდარი ლექსიკიდან მოხერხებულად არჩევდა სიტყვებსა და გამოთქმებს.

მართალია, ილიას ნაწერებში მკითხველი შეიძლება შეხვდეს დიალექტურ ფორმებს, მაგრამ მათს უმრავლესობას გარკვეული სტილისტური დანიშნულებით იყენებს. კერძოდ, ილიას ნაწარმოებების მოქმედი პირნი კახურ კილოზე მეტყველებენ, ამით მწერალი ცდილობს დახატოს ეროვნული კოლორიტი. ზოგიერთ დიალექტურ ფორმას, ბუნებრივია, ვერც თვითონ მწერალი აუვლიდა გვერდს:

ილია ჭავჭავაძე რომ ასე თავგამოდებით მოითხოვდა ქართული ენის სინმინდის დაცვას, მის განვითარებას, გამოდიოდა იქიდან, რომ, ჯერ ერთი, მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მის სრულყოფაზე ზრუნვა ყველა ქართველის ვალია და, მეორეც, ილიას აზრით, ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი და გრამატიკული სისტემით სრულყოფილი ენაა: „ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შენატრებენ“.

ილიას ჩვენი ენის ერთ-ერთ ღირსებად ისიც მიაჩნდა, რომ ქართული მართლწერა ადვილია ანბანის წყალობით, რომ ქართული წერა და წარმოთქმა ერთმანეთს ემთხვევა.

ილია მოითხოვდა ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრებას. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული თვით ქართული ენის მასალა. კერძოდ, თუ ახალი ცნების გამოსახატავად ქართულში — არც ცოცხალ მეტყველებაში და არც ძველ მწერლობაში — არ მოგვეპოვება სათანადო სიტყვა, მაშინ ენამ უნდა მიმართოს სხვა ენას და შემოვიტანოთ იქიდან საჭირო მასალა. ასეთ სიტუაციაში ახალი სიტყვის შემოტანა ჩვენს ენას კი არ დაამდაბლებს, პირიქით, აამაღლებს კიდევცო.

ილია აღნიშნავდა, რომ ვერც ერთი ენა გვერდს ვერ აუვლის სიტყვათა სესხებას, რა თქმა უნდა, ვერც ქართული. ამიტომაც, რომ ჩვენს ენაში ძალიან ბევრი სიტყვაა უცხო ენებიდან შემოსული. სხვაგვარად არც შეიძლება: „უნდა გვახსოვდეს, რომ ვინცობაა, გავრეკოთ ჩვენი ქვეყნიდან ყველა სიტყვები, რომელნიც აქ დაბინავებულან და რომელნიც კიდევაც აპირებენ დაბინავებასა, მაშინ ის უნდა წარმოვიდგინოთ თვალწინა, რომა ქართული ენა ეგვანება კალიისაგან მოჭმულ ყანასა“. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართული ენის ლექსიკას ამდიდრებს სხვა ენებიდან ახალი სიტყვების შემოტანაც.

ცნობილია, რომ ილიას მოღვაწეობის პერიოდში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წყალობით საქართველოს დაკარგული პქონდა ეროვნული დამოუკიდებლობა, დედაენა დევნილი და შევიწროებული იყო. სკოლებში არ ისწავლებოდა ქართული ენა, არ გამოიყენებოდა იგი სახელმწიფო დაწესებულებებშიც. ილია გულისტკივილით წერდა: „ქართული ენა ყველგან გამოდევნილია, ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი“.

ქართულ ენაზე სწავლებასა და ქართული ენის აღდგენას თავის უფლებებში ილია, პირველ ყოვლისა, სკოლებში მოითხოვდა: „ჩვენ რომ ვგრე დაჟინებით და უკან-დაუხველად

ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულსა და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებლებში, - ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომ, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“.

ილია ჭავჭავაძემ პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა ქართული სალიტერატურო ენის გახალხურების საკითხი. ამით ის ასაბუთებდა, რომ „ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხად თხზულება, დანერილი საყოველღეო შინაურულს ენაზედ, იმ ენაზედ, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლთანა და ამხანაგთან“.

სალიტერატურო ენის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროდ ილიას ხალხის მეტყველება მიაჩნდა. ახალი სიტყვები, ტერმინები ხალხურ გამოთქმებში უნდა მოძებნილიყო, ხალხში გავრცელებული ფორმები სამწერლობო ენაშიც უნდა დამკვიდრებულიყო. ილია კარგად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ხალხის სიბრძნე, მისი ჭკუა, გონება და აზრი. ანდაზები, ხალხური აფორიზმები, იდიომები, ფრთიანი სიტყვები ხალხის შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია.

ცოცხალი სასაუბრო ენიდან აღებული ანდაზები, იდიომები, აფორიზმები ილიას ნაწერებში ორგანულადაა ჩაწნული. მათ ავტორი იყენებს როგორც საერთო სახალხო ენის სისხლხორცეულ ნაწილს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი ხატოვანი გამოთქმების გამოყენება ილიასათვის სალიტერატურო ენის გახალხურების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო.

ილია ჭავჭავაძე გახლდათ ახალი სალიტერატურო ქართულის ჭეშმარიტი რეფორმატორი. როგორც აღვნიშნეთ, მან პირველმა განდევნა ხმარებიდან ძველი ასოები: ჟ, უ, ჭ, ჯ, შ, ძ. არ გამოიყენა ისინი თავის წერილში. ამის გამო ძველი თაობა აღელდა, აბორგადა და „ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც კი ააღებინა. ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმასაც მართლის თქმით გული აუშლურია; ვისაც შინიდან ფეხი კარში არ გამოუდგამს, ისიც კი ალაპარაკდა“.

საქმე იმაში იყო, რომ ილიამ თავი ანება მხოლოდ თეორი-

ულ მსჯელობას და წერილი ახალი ლიტერატურული ენით დანერა. პირველად აქაა მოცემული ხალხისათვის გასაგები, თავისი დროისათვის უაღრესად ნათელი, მარტივი ენა.

ილია მართლაც იფარავედა, იცავდა ქართულ ენას ყოველი ჯურის მტრისაგან, დღემუდამ თავს დასტრიალებდა, უვლიდა, პატრონობდა, სწმენდდა და ცდილობდა დაეყენებინა იგი ღირსეულ სიმაღლეზე. ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ ილია არ კმაყოფილდებოდა ენის სინწინდის დაცვის მარტოოდენ სიტყვიერი პროპაგანდით, არც იმით, რომ თავად, თავისი ბეჭდვითი ორგანოთი იძლეოდა სალიტერატურო ენის ნორმებს სხვებისათვის სამაგალითოდ.

ირკვევა, რომ ილია ყველა ამ ღონისძიებას არ თვლიდა საკმარისად და, ენის ნორმები ყველასთვის სავალდებულო რომ გაეხადა, გადანყვიტა სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისიის მონვევა.

კომისიას სხვებთან ერთად უნდა ემსჯელა ისეთ საკითხებზე, რომლებიც მართლწერის თვალსაზრისით დღესაც აქტუალურია. მაგალითად:

- 1) ჰ და ს პრეფიქსების ხმარება ზმნებში;
  - 2) როგორ ვწეროთ ვნებითს (ვითარებით) ბრუნვაში დ თუ თ?
  - 3) ზმნის დაბოლოებად ვიხმაროთ დნენ თუ დენ?
- და ა.შ.

გარდა ამისა, დიდია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ტერმინოლოგიურ საქმიანობაში. იგი იშვიათი სიტყვათმემოქმედი. მაგალითად, მან შექმნა და ენაში შემოიტანა სიტყვები: შინაარსი, მიმართულება, თვალთახედვა, სულთასწრაფვა, მიქცევა-მოქცევა, წარლტოლფილი, მოთხოვნილება, მეცნიერება და სხვ.

ილია მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა იმისათვის, რომ მოსპობილიყო კუთხურობა ენაში და შექმნილიყო მეტნაკლებად ერთიანი სალიტერატურო, ძირითადად ყველასათვის მისაღები და სავალდებულო ქართული ენა. ამაში კი გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა სკოლებს, თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (რომ გაეხსნა ქართული სკოლები). ილია განსაკუთრებით მოითხოვდა ენის სწავლებას ქა-

ლებსთვის, რადგან ქალი მიაჩნდა ოჯახის ბურჯად. ბუნებრი-  
ვია, თუ ბურჯი ნაქცეულია, სახლიც ვერ სახლობს.

ენის თაობაზე ილიას ნააზრევმა, თეორიულმა იდეებმა და-  
მაჯერებლად გაიმარჯვა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ  
მხრივ იგი მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის მან-  
ძილზე იშვიათი საქეთმპყრობელი იყო, ქართული სიტყვა ილი-  
ას ნორმებით განისაზღვრებოდა, იმავე ნორმებს ნებაყოფლობით  
ყველა სავალდებულოდ მიიჩნევდა.

ამგვარად, დიდია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი და როლი ახალი  
ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მთელი თავისი  
მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედებით, ჟურნალისტურ-  
პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ილია და-  
ულალავად ემსახურებოდა ახალი ქართული ლიტერატურული  
ენის განვითარებას, მის გავრცელებასა და ქართველ მო-  
სახლეობაში ფართოდ დანერგვას, ქართული ეროვნული კულ-  
ტურის გაფურჩქვნასა და გამდიდრებას. მან დიდი გემოვნებით  
შეარჩია, დახვენა, ლიტერატურაში შემოიტანა და ფართო ხმა-  
რებისთვის გზა გაუკაფა მრავალ ისეთ გრამატიკულ თუ ლექ-  
სიკურ-ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც დღესაც ამშვენ-  
ებს ქართული ენის საგანძურს.

ილიას მხატვრული შემოქმედება ქართულ მწერლობას შთა-  
აგონებდა მშობლიური ენისადმი ფრთხილ და მზრუნველ და-  
მოკიდებულებას, მისი გაძლიერებისა და გამდიდრების მიზნით  
ახალ-ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებასა და დამ-  
კვიდრებას.

# აპაგი ტექსტოლოგისა

(პროფესორი აკაკი შანიძე)

წაკითხულია მოხსენებად 1967 წლის 10 თებერვალს ქუთაისის ბედაგოგიურ ინსტიტუტში აკ. შანიძის დაბადების 100 წლისთაგისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე.

ფასდაუდებელია აკად. აკ. შანიძის – როგორც ტექსტოლოგის ღვაწლი ქართული ენის ისტორიაში. მკვლევრის ტექსტოლოგიური ძიებანი ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლით დაიწყო, მაგრამ ამ ასპექტით განსაკუთრებით მაინც ღირებულია ქართული ხელნაწერების მიკვლევა და მათი მეცნიერული ანალიზი.

ჩვენი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად იქცა 1923 წელს უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა, რამაც „კვლევის ფართო პორიზონტები გადაშალა, მრავალი საკითხი წამოაყენა და ერთბაშად წასწია წინ ჩვენი ისტორიის, ლიტერატურის, ენისა და პალეოგრაფიის შესწავლის საქმე“ (აკ. შანიძე).

მართალია, ხანმეტ ტექსტებს პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია და შეისწავლა, მაგრამ შემდგომ ჩვენში ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახდა აკ. შანიძე. ახალგაზრდა მკვლევარი ძველი ხელნაწერების აღმოჩენის გარიჟრაჟზე უდიდეს ეროვნულ საქმედ თვლიდა ქართველი ხალხის ამ სულიერი საგანძურის მოვლა-პატრონობას. ამიტომ იყო, რომ იგი დაულალავი ენერგიითა და შესაშური ენთუზიაზმით სისტემატურად ეძიებდა და სწავლობდა ძველ ძეგლებს... და ასე თანდათან იწერებოდა ქართული სიტყვის მატთანე.

აკ. შანიძის მიერ გამოცემული ძეგლები აღჭურვილია სრულყოფილი ტექსტოლოგიური აპარატით, დაზუსტებულია მათი წარმომავლობა-ისტორია და მოცემულია პალეოგრაფიულ-ენობრივი დახასიათება.

1923 წლის გაზაფხულზე აკ. შანიძემ შეისწავლა ძველი ხელნაწერები: ე.წ. **ჰაემეტი ლექციონარი VIII** საუკუნისა და **ჰადისის ოთხთავი 897** წლისა, რომლებსაც საერთო სახელად **ჰაემეტი** უწოდა უკვე არსებული ტერმინის — ხანმეტის ანალოგიით. ამიერიდან ქართულ ლინგვისტიკაში ერთ-ერთ სადისკუსიო პრობლემად გამოიკვეთა ხანმეტობისა და ჰაემეტობის მიმართების საკითხი.

1927 წელს აკ. შანიძემ გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი **ხანმეტი მრავალთავი** ვრცელი გამოკვლევითურთ. მეცნიერის აზრით, მრავალთავი VIII საუკუნის პირველ ნახევარშია შექმნილი და წამოსული უნდა იყოს სვანეთიდან. მართალია, იგი პირველად აღმოჩენილა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მუზეუმში, მაგრამ საიდან მოვიდა აქ, ჯერჯერობით არ არის ცნობილი. მუზეუმიდან 1904 წელს ა. ხახანაშვილს წაუღია ხელნაწერი, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გადაუციათ მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდისათვის, აქედან კი მოხვედრილა სომხური კულტურის ცენტრში, საიდანაც აკ. შანიძემ და კ. კეკელიძემ დააბრუნეს საქართველოში 1923 წელს.

აკ. შანიძის სახელთანაა დაკავშირებული **ხანმეტი ლექციონარის** ისტორიაც.

ძეგლი დაცული იყო სინას მთაზე ქართულ მონასტერში. 1883 წელს ალ. ცაგარელს აღუწერია ამ მონასტრის ქართული ხელნაწერები, მათ შორის ლექციონარიც, რომელიც მაშინ 29 ფურცლისაგან შედგებოდა.

1890-იანი წლებიდან სხვა ხელნაწერებთან ერთად ლექციონარი გაუტანიათ ევროპაში. 1895 წელს იგი ავსტრიაში შეუძენია ცნობილ ქართველოლოგს **ჰუგო შუხარდტს**, შეუსწავლია ტექსტი (რომელიც ახლა 27 ფურცელს ითვლიდა) და XX საუკუნის დასაწყისში კიდევ დაუწერია შრომა **„ცნობები ქართული ხელნაწერის შესახებ“**. ეს ნაშრომი შუხარდტს ძალიან გვიან 1927 წელს გამოუგზავნია საქართველოში აკ. შანიძისათვის, რომელსაც გამოკვლევა მაშინვე დაუბეჭდავს.



რაკი ჩვენში ცნობილი გახდა უძველესი ხელნაწერის არსებობა, აკ. შანიძის თხოვნით 1929 წელს მიუღიათ ავსტრიიდან მისი ფოტოპირები, რომლებიც მეცნიერმა იმავე წელს გამოსცა ვრცელი გამოკვლევით — „**ქართული ხელნაწერები გრაფში**“. შანიძემ ეს ფოტოპირები შეუდარა ა. ცაგარლის აღწერილობას და მიუთითა, რომ იგი არ იყო სრული: აკლდა ორი ფურცელი — დასაწყისი და ბოლო. საგულისხმოა ისიც, რომ მან სწორად ივარაუდა დაკარგული ფურცლების შინაარსი (აქვე შევნიშნავთ, რომ ამჟამად ორივე ფურცელი აღმოჩენილია).

აკ. შანიძის ვარაუდით, ლექციონარი დაწერილი უნდა იყოს VII საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინის რომელიმე მონასტერში.

მოგეხსენებათ, რომ პირველი ხანმეტი ტექსტი, რომელმაც კვლევის ახალი სამყარო გადაშალა ქართველ მეცნიერთა წინაშე, იყო **ქართულ-ებრაული პალიმფსესტი**. მისი ერთი ფურცლის ფოტოპირი ჩვენში პეტერბურგის გამოვლით მოვიდა ინგლისიდან. ხელნაწერი წაიკითხა და დაამუშავა ივ. ჯავახიშვილმა.

აკ. შანიძეს უტყუარი მეცნიერული ალლო უკარნახებდა, რომ პალიმფსესტი უთუოდ შეიცავდა სხვა. ფურცლებსაც. მართლაც, მან დაწვრილებით შეისწავლა ამ ტექსტთან დაკავშირებით ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტების ცნობები, შეხედულებანი, შეუჯერა ერთმანეთს და 1937 წელს გამოკვლევაში „**ხანმეტი იერუზალა კემბრიჯული ნაწყვეტები**“ პალიმფსესტის ისტორია მიახლოებით ასე ჩამოაყალიბა: „ქართული ხელნაწერი შედგენილი უნდა იყოს VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმში. დაახლოებით მე-11 საუკუნისათვის იგი ებრაელებს ჩავარდნიათ ხელში, დაუხვეიათ, ქართული ნაწერი გადაუფხვკიათ და თავიანთი თალმუდისათვის გამოუყენებიათ. მას შემდეგ ქართული ხელნაწერი ქცეულა ქართულ-ებრაულ პალიმფსესტად.

მე-19 საუკუნის ბოლოს პალიმფსესტი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში და აქედან, ცალკეულ ფურცლებად დაშლილი, სხვადასხვა ქვეყანაში მოხვედრილა. კერძოდ: ერთ ფურცელს ოქსფორდამდე მიუღწევია, ორი ფურცელი კემბრიჯის ბიბლიოთეკას შეუძენია, სამი ნახევი ბრიტანეთის ლონდონის ბიბლიოთეკაშია. სხვა ფურცლების ბედი ჯერჯერობით უცნობია.

აკ. შანიძემ საბოლოოდ გაარკვია, რომ ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ცალკეული ფურცლები (დაცული სხვადასხვა

ქვეყნის ბიბლიოთეკებში) ერთი ქართული ხელნაწერის – იერემიას წინასწარმეტყველების სრული ტექსტის ნაწილებია.

აკ. შანიძემ საქვეყნოდ წარმოაჩინა შესანიშნავი ქართული ხელნაწერი **სინური მრავალთავი** და საცნაური გახადა ლინგვისტიკაშიც მისი განუზომელი ღირებულება.

ძეგლი გადანერილია 864 წელს იერუსალიმში, საბანძინდის ლავრაში. შემდეგ იგი შეუწირავთ სინას მთის მონასტრისათვის და დღესაც იქვეა დაცული. 1955 წელს საქართველოში ამერიკიდან მიიღეს სინას მთაზე არსებული ქართული ხელნაწერების მიკროფილმები, რომელთა მიხედვით მომზადდა ძეგლის გამოცემა და კიდევ დაიბეჭდა იგი 1959 წელს აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით „**სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის**“.

სინურმა მრავალთავმა აკ. შანიძე, როგორც ტექსტოლოგი და მკვლევარი, საგანგებოდ დააინტერესა, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ეს იყო პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი და, მეორეც, მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძეგლი ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას გამოუვლია სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში, ხანმეტობის ხანიდან მეცხრე საუკუნის 60-იან წლებამდე“.

წიგნი დანერილია მშვენიერი მრგლოვანით, მხოლოდ ანდერძის ნაწილია შესრულებული ნუსხურად. ესაა ნუსხურის პირველი და უძველესი ნიმუში.

ამაგდარი ტექსტოლოგის მდიდარ შემოქმედებას ამშვენებს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური ტექსტის, ქართული ოთხთავის სამი შატბერდული ხელნაწერის, პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის, VII საუკუნის ხანმეტე ძეგლის – იაკობის პროტოევანგელეს გამოქვეყნება და ანალიზი, ბრწყინვალე ლექსიკოგრაფიული გამოცემანი და მრავალფეროვანი ფოლკლორული ძიებანი.

კიდევ ბევრი ხელნაწერი გააცოცხლა აკ. შანიძის მაღლიანმა მარჯვენამ, ქართული კულტურის ამსახველი ბევრი დიდებული ძეგლი შემოუნახა მშობელ ქვეყანას და მომავალ თაობებს, რომლებიც მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ სასიქადულო მამულიშვილის ღვანლსა და ამაგს.

## პროფესორი გიორგი ახვლედიანი ბრამატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ

წაკითხულია მოხსენებად 1987 წლის 9 ივნისს  
ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გ. ახვლე-  
დიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ  
საოუბილუო-სამეცნიერო სესიაზე.

პროფ. გ. ახვლედიანის სახელი ჩვენს ცნობიერებაში გა-  
ნუყრელადაა დაკავშირებული ფონეტიკის ისტორიასთან, ქარ-  
თული ფონეტიკის განვითარებასთან, მაგრამ ფართო ერუდი-  
ციის მქონე მკვლევრის მეცნიერული ინტერესები გრამატიკის  
სხვა საკითხებსაც სწვდებოდა.

ქართული ზმნის სირთულე, დიალექტთა შერევისა და ის-  
ტორიული ტოპონიმის პრობლემები, ლექსიკოლოგიური ძიებანი,  
სიტყვანარმოების შემთხვევები, ქართული ენის სინმიზის დაც-  
ვა თუ სხვა მრავალი საკითხი შესწავლილია მის მეცნიერულ  
შრომებში, რომლებიც გამოირჩევიან სიღრმისეული წვდომითა  
და ახლებური გააზრებით.

გ. ახვლედიანი გახლდათ ა. შანიძის სადოქტორო დისერტა-  
ციის ოფიციალური ოპონენტი, ამასთან პირველი ოფიციალური  
ოპონენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში.  
ეს იყო 1920 წელს. ახალგაზრდა მკვლევარმა საფუძვლიანად  
შეისწავლა ა. შანიძის სადისერტაციო ნაშრომი „სუბიექტური  
პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირი-  
სა ქართულ ზმნებში“. მან სათანადოდ შეაფასა დისერტანტის  
ნაღვანი და კვლევის ობიექტის აქტუალობა. ოპონენტის რეცენ-  
ზიაში ვკითხულობთ: „თავისი ფრიად საყურადღებო გამოკვლე-  
ვით ა. შანიძემ მრავალი ისეთი რამ აღმოაჩინა ქართულ ზმნაში,  
რაც დღემდე ბნელით იყო მოცული... ამ წიგნის გამოსვლას  
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიერიდან გაცხოველდება  
ჩვენში ენის ისტორიულად და დიალექტოლოგიურად შესწავლა“.

ჩანს, ისე საინტერესო იყო გ. ახვლედიანისათვის ქართული ზმნის პრეფიქსების საკითხი, რომ ზემოაღნიშნულმა რეცენზიამ მალე მიიღო ვრცელი ნაშრომის სახე.

გ. ახვლედიანი არ იყო ვინრო პროფილის მკვლევარი. იგი თავიდანვე გამოირჩეოდა მრავალმხრივი მოღვაწეობითა და კვლევის ობიექტის მრავალფეროვნებით. სწორედ ამ ასპექტით საგანგებოდ უნდა გამოიყოს მისი დიდი დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მონესრიგებაში.

ცნობილია, რომ ქართული საენათმეცნიერო სკოლის ისტორიაში ჩვენი ეპოქის 20-იანი წლები მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ამ დროს განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მონესრიგებისა და სადავო ფორმების აკადემიურ საფუძველზე გადანყვეტის მტკივნეული საკითხები.

ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ა. შანიძე და გ. ახვლედიანი.

შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შედიოდა გ. ახვლედიანიც. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1920 წლიდან. დაარსდა გამოცემათა სერია „მასალები სამწერლო ქართულის ყრილობისათვის“. ამ სერიის პირველ ნომრად 1920 წელსვე დაიბეჭდა გ. ახვლედიანის შრომა „**ჰაე და სანი ქართულ ზმნებში**“. აქ ავტორი განიხილავდა ჰ, ს პრეფიქსების ბუნებას, წარმოთქმის თავისებურებას და ასაბუთებდა ზმნის ზოგიერთი ფორმის გამარტივების იდეას. იგი წერდა: „თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ წერის იდეალთან ქართული უფრო ახლოს დგას, ვიდრე მრავალი სხვა ენა, რა საჭიროება მოითხოვს უკან დავიხიოთ და სავალდებულოდ გავხადოთ ვჰხედავ, ვჰფიქრობ და მისთანანი. ამგვარ ფორმებში ჰ-ს გამოთქმას ვერავის მოვთხოვთ, თუ განზრახ არ გვინდა, რომ შეცდომები გავამრავლოთ. ვერ მოვითხოვთ, რადგან ეს უკიდურესად ხელოვნურია სასაუბრო ქართულისათვის“.

მართლაც, მეცნიერის ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად სალიტერატურო ენის ნორმებს ზემოაღნიშნულ პრეფიქსებთან დაკავშირებით.

შემდგომშიც, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე

გ. ახვლედიანი ჩვეული პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით ადევნებდა თვალს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, როგორც ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუდმივი წევრი. ამ ზრუნვის ერთ-ერთი უტყუარი დასტური გახლდათ მოგვიანებით, 1963 წელს, დანერილი სტატია „ქართული სალიტერატურო ენა უკონალო „ციხის“ ერთ ნომერში“.

გ. ახვლედიანის მეცნიერული ნაღვანის გაცნობა ცხადყოფს, რომ კვლევა-ძიებისას იგი ყველა საკითხს – რთულ პრობლემასა თუ ცალკეულ შენიშვნას – ერთნაირი ინტერესით ეკიდებოდა. ნიმუშად შეიძლება დაგვესახელებინა „ბატონი“-ს ეტიმოლოგია – ისტორია, რომელიც წარმოდგენილია შრომაში „როგორ ეცვლებოდა სიტყვას მნიშვნელობა“.

მკვლევარი ამ სიტყვას აანალიზებს ზოგადი ენათმეცნიერების პოზიციიდან. მისი აზრით, სიტყვა ბატონი ლათინური წარმოშობისაა, სადაც ბატონუს ნიშნავს მფარველს. „მფარველი რომ ბატონთან იქნა გაიგივებული შინაარსით, ეს გასაგებია, მაგრამ უფრო ძნელი გამოსაცნობია, თუ რატომ შეიცვალა ეს სიტყვა გარეგნულად“.

ახვლედიანი თვლის, რომ ლათინური ფუძე პატრონუს ძალიან ადრე უნდა იყოს შემოსული ზეპირმეტყველების გზით საქართველოში არა უშუალოდ, არამედ მეგრულის მეშვეობით, როგორც ბატონი. ასე შემოვიდა იგი ქართულში და იხმარებოდა მანამდე, სანამ ე.წ. დისიმილაციური გამჟღერების გზით არ მივიღეთ პატონი-საგან ბატონი. ხოლო სიტყვა ბატონი უფრო მოგვიანებითაა შემოსული წერილობითი გზით ქართულში. მეცნიერი ბატონის მნიშვნელობის შეცვლის ისტორიას ასეთნაირად წარმოგვიდგენს: ფეოდალურ ხანაში ბატონი სოციალური შინაარსისაა (ბატონი და ყმა), შემდეგ თანდათან შეიძინა უფროს-უმცროსობის გამომხატველი მნიშვნელობა (ხელქვეითი უფროსს ბატონობით მიმართავდა), მალე ბატონი თავაზიანი მიმართვის ფორმა გახდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართულში შემოვიდა და განმტკიცდა თქვენობით მიმართვა, სიტყვა ბატონს დაეკარგა გამომსახველობითი სიძლიერე და ზოგ შემთხვევაში იქცა ნაწილაკად ან შორისდებულად, ზოგჯერ კიდევ მთლად და-

კარგული აქვს ყოველგვარი შინაარსი და იხმარება როგორც აჩემებული, ზედმეტი სიტყვა: **შენ ხარ ჩემი ბატონი.**

„მართალია, – განაგრძობს მკვლევარი, – სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, მისი დაყვანა დამხმარე სიტყვის ან ნაწილაკის ფუნქციამდე ცნობილი ფაქტია სხვა ენაშიც, მაგრამ ქართული ბატონი მაინც სპეციფიკური ერთეულია, რადგან არც ერთ სხვა ენაში არ მომხდარა ბატონის ეკვივალენტური სიტყვის ანალოგიური გადაგვარება“.

საინტერესოა, აგრეთვე, ნაშრომის დასკვნითი ნაწილი, სადაც აღნიშნულია: „ქართულში დღეს ბატონის ხმარება ეკვივალენტია თქვენობით საუბრისა. როგორც არ შეიძლება დავუკარგოთ ქართულს თავაზიანობის გამომხატველი ზმნები დაბრძანდი, მობრძანდი... ისე არ შეიძლება ამოვიღოთ ბატონი მიმართვის სიტყვებიდან. იგი იმდენად ფეხმოკიდებულია ქართულ დარბაისლურ მეტყველებაში, რომ უმისოდ ქართულს დაეკარგება თავაზიანობისა და ზრდილობიანობის ის იერი, რომელიც მას შეუძენია საუკუნეთა განმავლობაში. პირიქით, მოზარდ თაობათა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება უნდა იქნეს ზრდილობიანი, დინჯი და თავაზიანი მეტყველების ჩანერგვა მათში“.

აკადემიკოსი გ. ახვლედიანი თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობითა და მეცნიერული ნაშრომებით მუდამ ზრუნავდა და ხელს უწყობდა ახალგაზრდობის, მომავალი თაობის საფუძვლიან განსწავლულობასა და მათს ზნეობრივ გასპეტაკებას.

სახელთა აზიისური ფარმოვნის ზრუნვითი თავისებურება  
ი. ჭავჭავაძის აუბლიცისტიაში

წაკითხულია მოხსენებად 1987 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისის ბედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე.

„დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, – წერდა ი. გოგებაშვილი, – რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილ ილიას, შეიგნებს იმის წმინდა ქართულ ენას, მის მაღალ აზრებს, პროგრესულ იდეალებს“.

მართლაც, ჩვენს ეპოქაში კიდევ უფრო ახლობელი ხდება და მრავალფეროვნად წარმოჩნდება არა მარტო მხატვრული შემოქმედება ი. ჭავჭავაძისა, არამედ მისი ენობრივი სამყაროც. პოეტურ-პროზაული ქმნილებები თუ პუბლიცისტური წერილები გვაოცებენ არა მარტო აზრის სიღრმითა და თემატიკის მრავალმხრიობით, არამედ ენობრივი ინვენტარის (სამოსლის) სიახლითა და ორიგინალობითაც. ამის უპირველესი საფუძველი ისაა, რომ ილიას პქონდა ქართული ენის ბუნების შეცნობის უტყუარი ალლო, ქართული სიტყვის სურნელების შეგრძნების განსაცვიფრებელი ძალა.

ი. ჭავჭავაძემ დიდი გემოვნებით შეარჩია, დახვეწა, ლიტერატურაში შემოიტანა და ფართო ხმარებისთვის გზა გაუკაფა მრავალ ისეთ გრამატიკულ ფორმასა თუ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქართული ენის საგანძურს. მისი „მარილიანი, მოსწრებული და აზრ-გრძნობაზე გამოჭრილი ენა“ (ი. გოგებაშვილი) სათავეს იღებდა ხალხური სასაუბრო ენიდან, ძარღვიანი ცოცხალი მეტყველებიდან.

ილია ჭავჭავაძე სათუთად ეპყრობოდა არა თუ მთლიანად ჟნას, არამედ ყოველ სიტყვასაც კი. ხვენდა ფრაზას, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მდიდარი ლექსიკური ფონდიდან

მობერხებულად არჩევდა სიტყვებსა და გამოთქმებს.

ი. ჭავჭავაძის ენის პრობლემატიკა ისევე რთული და ამოუ-  
წურავია, როგორც მხატვრული შემოქმედებისა. მართალია, მასზე  
სპეციალური მონოგრაფია და მრავალი ცალკეული წერილი  
დაინერა, მაგრამ გამოსაკვლევ-შესასწავლი კიდევ ბევრია, რად-  
გან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი მწერლის ენის სათა-  
ვე ხალხური მეტყველებაა, რაც, თავის მხრივ, ამოუწურავი  
საგანძურია ენის ისტორიისათვის.

ილია სამართლიანად თვლიდა, რომ ყოველი ენის ლექსიკუ-  
რი მარაგის, მისი სიტყვიერი ფონდის სიმდიდრე ენის სიძლიე-  
რის, მისი სრულყოფილების უტყუარი დასტურია. ამიტომ არის  
მწერლის შემოქმედების ენობრივ სფეროში აშკარად გამოკვე-  
თილი განსაკუთრებული ღვანლი და ზრუნვა ენის ლექსიკური  
მარაგის გამდიდრებისათვის. ამ თვალსაზრისით ილია დიდ  
მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ენის გრამატიკულ შესაძლებლობებს  
(თხზვასა და სიტყვანარმოებას), აგრეთვე, ძველ ქართულ მწერ-  
ლობას, ცოცხალ მეტყველებასა და სიტყვათა სესხებას.

მწერლის ენაზე დაკვირვება საცნაურს ხდის, რომ ავტორი  
ხშირად მიმართავს აფიქსაციას. აქვე უნდა შევნიშნოთ, ამ ას-  
პექტით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება მხატვრული  
ქმნილებებისა და პუბლიცისტური წერილების ჩვენებანი. თუ  
პირველში შედარებით იშვიათია თავისებური წარმოების  
შემთხვევები, მეორე, პირიქით, უხვად წარმოაჩენს ამგვარ  
ფორმებს, რადგან იგი (პუბლიცისტიკა) მოიცავს საქართველოს  
ისტორიის, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული  
ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის,  
ხელოვნების, ესთეტიკის, პედაგოგიკის, სამართლისა და სხვა  
საკითხებს, რომელთა შესახებ მსჯელობისას ავტორს,  
ბუნებრივია, დასჭირდებოდა უამრავი სპეციფიკური ტერმინის  
გამოყენება ცალკეული ცნების გადმოსაცემად. ქართული ენა  
კი, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობდა, იმხანად ღარიბი იყო ასე-  
თი სიტყვა-გამოთქმებით, ტერმინებით.

1) საანალიზო მასალაში განსაკუთრებული მრავალფეროვ-  
ნებით გვეძლევა აბსტრაქტულ სახელთა წარმოება. თუ, ჩვეუ-



ლებრივ, ქართულში **ება**, **ობა**, **სი-ე**, **სი-ო** მანარმოებლები არ-  
სებითისა და ზედსართავეებისაგან ნარმოქმნიან ახალ-ახალ  
სიტყვებს, ი. ჭავჭავაძე დასახელებული აფიქსებით თითქმის ყვე-  
ლა მეტყველების ნაწილისაგან ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს.

ყველაზე უდიდესი მონაპოვარი არის **მანაობის** მოსაობა ბრაზილიაში.

რა ზნე-ჩვეულება ხელთ აქონია **მაშენჯელობის**

მართალია, ორი სამი ასრულებს, მაგრამ ეგ **ორიოდობა** ცხადი  
საბუთი არ არის.

დ. ერისთავის **ვლადკობა** კიდევ არაფერია.

**უცუბობის** ნახტომი აქ დიდი მოუვიდა.

მაგ შეუნყარებელმა **ჭონაობამ** ამ ბოლო დროს უფრო გაიდგა ფეხი.

მარტო ცალკეული სიტყვებისაგან კი არა, მსაზღვრელ-საზ-  
ღვრულისაგანაც ხელენიფება დიდ მწერალს ახალი ლექსიკური  
ერთეულის ნარმოება აბსტრაქტულობის სემანტიკით:

ძალმომრეობა **ჩენებობა**.

ეს მცირე წყალიც არ გამოუმეტებია ჩემთვის და **მეფელდეულობა**  
და **ბატარაწყარაობა** მოუგონია.

**უვლადკობა**, აქეთ-იქით სიარული, თათარს უფრო მეომარ კაცად  
ხდის.

ამას ხელს უშლის დაუძინებელი **მეფეუნებობა**.

ახლა არჩილი **ბარაობაშა**.

ახალი ქართულის მიხედვით, პროდუქტიულობით გამოირჩე-  
ვა **ობა** და **სი-ე** ი. ჭავჭავაძის ნაწერებში ნორმირებულ ფორ-  
მებთან შედარებით კიდევ უფრო დიდია **ობა-ს** ხვედრითი წონა.

ხალხი **გენაობას** მისდევს.

ამბობენ, რომ **გენაობა** განვითარდესო.

უკანონო შეიღს მიენიჭება **მაშენჯელობის** სახელწოდება.

ამათ რიცხვში ჩაითვლება ზემოდასახელებული **ორიოდობა**,  
**ვლადკობა**, **მგონიაობა**— გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში **ობა**  
გამოიყენება **სი-ე**-სა და **ება-ს** ნაცვლადაც:

**სი-ე**: მიზეზის მოვლენათა **რეულობა**

მეტი **ცარელობა** და არარაობა გნებაეთ?

ღმერთი არსობის, ღმერთი ყალბობის

ება: ჩემის ურთულულობის გამო ბევრს შევსძულდი.

ყველაფერი ნუთობით სცოდნია უბედურების მეტი.

დავრჩით ამ ქვეყნურებაზე მარტო ორნი.

2) ქართულში დანიშნულების სახელთა მანარმოებელი ძირითადი კონფიქსებია სა-ფ, სა-ო, სა-ურ, რომლებიც დასტურდება ჩვენს საკვლევ ტექსტებშიც: საშაქრე, საჯამაგირო, საფეხური. ძველ ქართულში პროდუქტიულობით გამოირჩეოდა სა-ე აფიქსი, ილიას ენაში კი ამ მხრივ უპირატესია სა-ო, რაც იმითაა შეპირობებული, რომ ავტორი მას ხშირად იყენებს არა მხოლოდ ნორმირებულ კონსტრუქციაში, არამედ ზოგჯერ აკისრებს ურ სუფიქსის ფუნქციასაც:

ძვირფასი საარქულოო და საისტორიო განძი ურეეია.

საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამით სულდგმულობს.

მაშინვე საკოლონიო პოლიტიკას დაადგა.

ჩემი გამოსვლა საუბრაგოო ასპარეზზე ამით დაინყო.

სამსომატიკო და საგრამატიკო ფორმები

ამგვარი მაგალითების დასახელება ბლომად შეიძლება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად მცირე რაოდენობით მაინც გვხვდება მათივე -ურ სუფიქსიანი წარმოებაც:

ეს ანბანი პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებისა ვერ გაუგია.

იგი გრძნობდა კაემირს ეკონომურ მდგომარეობასა და განათლებას შორის.

სა-ო აფიქსითაა წარმოდგენილი ზოგიერთი ზედსართავი სახელიც, რომელიც თანამედროვე ქართულის სიტყვანარმოების მიხედვით თავისებურად წარმოჩნდება:

საკუთლო აზრი განახორციელეს საქმით.

ეს საზარო უბედურება მაშინვე იგრძნეს

რაც შეეხება სასოფლო ვითარებას.

რაც კაცს საუბრობესოდ მიაჩნია.

მაგრამ ამ წესით ნაწარმოები ფორმები: სადღესო (საგანი), საცაღკო (საქმე), სამერძისო (საზრუნავი) და მისთანანი დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებულია ენაში.

გამორიცხული არ არის ის ფაქტი, რომ ი. ჭავჭავაძის ენაში

სა-ო აფიქსის ესოდენ მოჭარბებულ ხმარებას გარკვეული წილი ედოს სალიტერატურო ქართულის განვითარების დღევანდელ ტენდენციაში, რომლის მიხედვით დანიშნულების სახელთა ყველაზე პროდუქტიულ მანარმოებლად უკვე მოგვევლინა სა-ო.

3) ი. ჭავჭავაძემ სიტყვანარმოებითი ფუნქციით აღჭურვა არ უარყოფითი ნაწილაკი.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რუსთაველის გავლენით გააცოცხლა ილიამ არ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად.

არ ნაწილაკი ერთვის საწყისს ან მიმღობას და ნათქვამს უფრო მეტ გამომსახველობითს ძალას ანიჭებს. ამგვარი ფორმები დამახასიათებელია როგორც პუბლიცისტიკის, ისე მხატვრული შემოქმედების ენისათვის.

დავიმონებთ რამდენიმე ნიმუშს:

სხვას უკიუინებს კრიტიკის **არხმარებას**.

**არფაკოუბა** საქმისა მაშინ არის, როცა საქმე ჩერდება.

ლონისაგან **არფაცლა** ხომ ბედნიერებაა.

სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ **არსწავლება** სჯობიან.

არ დაეფიცებათ ამ საზარელი ჩვეულების **არკონა**

მისი დაღლილი და **არფონი** თვალები საესენი იყენენ სიმტკიცითა.

4) უფროობითი ხარისხის სახელთა მანარმოებლად ქართულში გამოყენებულია უ-ეს კონფიქსი (უმაღლესი). ამგვარი წარმოება ძირითადია ი. ჭავჭავაძის ენაშიც, მაგრამ აქა-იქ უშუაღლესი ტიპის ფორმებიც გვევლინება:

ეს უნდა წარმოვსთქვათ უშუაღლესი მთავრობის წინაშე.

ნუთუ მთავრობის უწმინდეს მოვალეობას არ შეადგენს მზრუნველობა.

უწვეწვერეს ანთროპოლოგებსაც მიაჩნიათ..

სპეციალურ ლიტერატურაში საანალიზო წარმოება ხელოვნურადაა მიჩნეული. მას უწოდებენ გაძლიერებითს, ინტენსიურს (ა. შანიძე).

უშუაღლესი ტიპის ფორმები პირველად იჩენს თავს საბას „სიტყვის კონაში“ და იქვეა განმარტებაც: უუპატიოსნესი – უფროსად პატიოსანი. ასეთ წარმოებას ანტონ კათალიკოსი და

სხვა ძველი გრამატიკოსები მიიჩნევდნენ ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის გამომხატველად. აღნიშნული ფორმები ვერ დავადასტურეთ რომანტიკოსების ენასა და ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში. თანამედროვე ქართული მწერლობა კი, განსაკუთრებით პოეზია, უხვად წარმოაჩენს ამგვარ ნიმუშებს. ამის საუკეთესო დასტურია გალაკტიონის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძისა და სხვათა შემოქმედება. აშკარაა, რომ დღეს უკსლლესი ტიპის წარმოება ხელშესახები ენობრივი ფაქტია და მისი ესოდენი მოჭარბების საფუძველი ამგვარ სიტყვათა ძლიერ ექსპრესიულობაში უნდა ვეძიოთ.

თანამედროვე ქართულში საანალიზო ტიპის ფორმათა ხელახალი გაცოცხლება-გაფართოება ი. ჭავჭავაძის ენასთანაც ჩანს დაკავშირებული. ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა მწერალმა, რომელსაც გამუდმებული პოლემიკა ჰქონდა ერის საჭირობოროტო საკითხებზე, პუბლიცისტურ ნაწერებშიც სწორედ ამ მიზნით გამოიყენა მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე ფორმები.

ამრიგად, ამ რამდენიმე თავისებური წარმოების წარმოჩენითაც საცნაური ხდება, რომ ი. ჭავჭავაძე ქართული ენის მორფოლოგიურ საშუალებებს მაქსიმალურად იყენებდა ენის ლექსიკური შედგენილობის გასამდიდრებლად. მისი შემოქმედებითი მუშაობა ამ სფეროში მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ენის ისტორიის, არამედ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის თვალსაზრისითაც.

**ქრისტიანობა და ქართული დამწერლობის  
გენეზისის საკითხი**  
(ქრონოლოგიური მიმართება)

წაკითხულია მოხსენებად 1988 წლის 10 მაისს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1550 წლისთავს.

ქრისტიანული რელიგიისა და ქართული დამწერლობის ქრონოლოგიური მიმართება თანამედროვე ქართული ლინგვისტიკისა და ისტორიოგრაფიის მეტად აქტუალური პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია უამრავი მოსაზრება, რომელთა შესაბამისად ჩამოყალიბდა ორი ძირითადი თვალსაზრისი:

- 1) ქართული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს წარმართულ ეპოქაში,
- 2) ქართული დამწერლობა ქრისტიანული რელიგიის მონაპოვარია.

ძველ წერილობითს წყაროებში ანბანის გენეზისის თაობაზე სამი ცნობაა დაცული.

ლეონტი მროველის ცნობის ტრადიციული გაგებით, ქართული ანბანი შექმნილია ძვ.წ. III საუკუნეში მეფე ფარნავაზის დროს, ე.ი. ქართული დამწერლობა ქრისტიანობამდელია.

მეორე ცნობას გვანედის „მატიანე შემეცნებათა“, რომლის მიხედვით, ქართველებს წარმართობის ხანაში – ფარნავაზამდეც ჰქონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე.

მესამე ცნობა დაცულია V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კორიუნის შრომაში, სადაც მითითებულია, რომ სომეხმა მოღვაწემ მესროპ მაშტოცმა შეუქმნა ქართველებს ანბანი V საუკუნის დასაწყისში.

ზემოდასახელებული ცნობები არაა საყოველთაოდ გაზიარებული. მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობა სარწმუნოდ არ მიაჩნდათ არც კ. კეკელიძეს და არც ივ. ჯავახიშვილს.

კ. კეკელიძე, რომელმაც, როგორც ჩანს, უკრიტიკოდ გაიზიარა კორიუნის შრომის ვერსია, თელიდა, რომ ქართული დამწერლობა ფარნავაზის დროს არ უნდა გვექონოდა, იგი ქრისტიანული რელიგიის დამსახურებაა და მაშტოცის სახელს უკავშირდება.

ივ. ჯავახიშვილისთვის კი, ვფიქრობთ, ფარნავაზთან ქართული ანბანის დაკავშირება ნაკლებმისაღები იქნებოდა არა მარტო მროველის მიერ ფარნავაზის ზღაპრულ პიროვნებად წარმოდგენის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი ანბანის წარმოშობას ფარნავაზის ეპოქამდე გაცილებით ადრე ვარაუდობდა.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფია არ გამორიცხავს ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის „გაუმჯობესებასა“ და სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადებას.

ქართული ანბანის შექმნის მაშტოცისეული ვერსია პირველად საფუძვლიანად გააკრიტიკა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა, რომ კორიუნის შრომაში მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის ცნობა მერმინდელი ჩანართია, კერძოდ, VI საუკუნის დამლევისა.

სომხური წყაროების მერმინდელობა და წინააღმდეგობა კარგად არის შესწავლილი აგრეთვე ზ. ალექსიძის მიერ, ხოლო ალ. აბდალაძე დაწვრილებით მიანიშნებს, თუ როდის და რა პირობებში შეიძლებოდა შეეთხზათ სომხებს ეს ვერსია.

ქრისტიანული რელიგიისა და ქართული დამწერლობის მიმართების გარკვევაში მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ანბანის წარმოშობის თარიღის დადგენას.

კ. კეკელიძის აზრით, ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს ახ.წ. 420-422 წლებში.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია, შექმნილი არაუგვიანეს ძვ.წ. VII საუკუნისა ფინიკიურის საფუძველზე. მეცნიერი იქვე დასძენდა: ალბათ, ქართული მინის წიაღში აღმოჩნდება ძეგლები, რომლებიც ჩვენს ჰიპოთეზას დაადასტურებენო.

მართლაც, 1940 წელს მცხეთა-არმაზში აღმოჩნდა ორენოვანი ნარწერიანი ქვა-ბილინგვა. მასზე ნარწერები შესრულებულია ბერძნულ და არამეულ ენებზე. ნარწერა მეცნიერულად შეისწავლა გ. წერეთელმა და დაადგინა, რომ ქართული ანბანი, განსაკუთრებით ნუსხური, დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ბილინგვის არამეულ-არმაზულთან. საფიქრებელია, რომ ქართული და ეს არმაზული მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროსაგან – არამეულისაგან.

მართალია, გ. წერეთელი არ ასახელებს ქართული ანბანის წარმოშობის კონკრეტულ თარიღს, მაგრამ, არმაზის ბილინგვის ჩვენების მიხედვითაც, მას ქართული დამწერლობა წინარექრისტიანულ ხანაში შექმნილად ესახება.

პ. ინგოროყვას აზრით, ქართული ანბანის სათავე უნდა ვივარაუდოთ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე არქაული ბერძნულის საფუძველზე.

მართალია, ერთი მხრით, ბოლნისის ნარწერების ასომთავრულის ჩამოკვეთილი და დახვეწილი მოხაზულობა, V-VI საუკუნეთა მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები და, მეორე მხრით, სპეციალისტთა მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფდა, რომ ქართული ანბანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო V საუკუნეში შექმნილი, მაგრამ წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო გამოთქმული მოსაზრებანი მხოლოდ პიპოთეზად რჩებოდა და ქართული წერის I ნიშნად ითვლებოდა ბოლნისის ნარწერები.

მაგრამ მალე, 1952-1953 წლებში, ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი პალესტინის ნარწერები დათარიღდა V საუკუნის პირველი ნახევრით და ჩაითვალა პირველ ქართულ წერილობით ძეგლად.

ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად იქცა 1984 წელს ჟინვალში ჩატარებული გათხრების დროს დავათის ქვაჯვრის აღმოჩენა.

აქაური ეკლესიის კედელში ჩაშენებული ნარწერიანი სტელის შესწავლას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა.

გ. ნარსიძის ვარაუდით, ქვაჯვარზე წარმოდგენილი ხატი, წარწერები და კოდირებული ანბანი შესრულებული უნდა იყოს

არაუგვიანეს ახ.წ. 362-381 წლებისა, ხოლო თვით ღვთისმშობლის ეკლესია, რომელშიც ჩაშენებულია სტელა, აგებული უნდა იყოს არაუგვიანეს ახ.წ. 419 წლისა.

ქართული დამწერლობის ქრონოლოგიის დადგენაში განსაკუთრებით დიდია ქართველი ისტორიკოსების დამსახურება, კერძოდ კი ღვანლი რ. პატარიძისა, რომელმაც წლების მანძილზე წარმოებული კვლევის საფუძველზე დაასკვნა, რომ ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს ძვ.წ. 430-400 წლებში. მისი აზრით, ეს თარიღი მიახლოებით ემთხვევა ივ. ჯავახიშვილის მიერ ნავარაუდები ქრონოლოგიური ჩარჩოების შუა ხაზს — V საუკუნეს.

ფართო მასშტაბით წარმოებს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ძეგლების შესწავლა, ზუსტდება მათი დანერის თარიღი. მაგალითად, ყველაზე ძველი თხზულება „ცხოვრება ფარნავაზისი“ რ. ბარამიძისა და რ. პატარიძის აზრით, ძვ.წ. II საუკუნის ძეგლად უნდა ჩაითვალოს, ხოლო „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც ჯერ კიდევ ადრე პ. ინგოროყვამ ლექსთწყობის მიხედვით წარმართული ხანის ძეგლად ჩათვალა, რ. პატარიძისა და გ. ნარსიძის გამოანგარიშებითაც 342 წელს უკვე უნდა არსებულებოდა.

გ. ნარსიძე შრომაში „ქებაჲს ისტორიული პარალელები“, ასკვნის, რომ ახ.წ. IV საუკუნის II ნახევარში საქართველოში არსებობდა ძლიერ განვითარებული ლიტერატურული სკოლა და თეოლოგიური აზროვნება. ამან უნდა გამორიცხოს ქართული დამწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში წარმოშობა და დადასტუროს ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მნიგნობრობის შემოღების შესახებ.

ქართული ანბანი რომ წარმართობის ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი, ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ბევრი სხვა სპეციალისტის მოსაზრებაც ლაპარაკობს.

ი. ტაბაღუას აზრით, „ჩვენს ერამდე ქართული დამწერლობის არსებობის საკითხი დღეს გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული დამწერლობა არსებობდა უთუოდ მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ამ დამწერ-



ლობის საქვეყნოდ აღიარება ფარნავაზის მიერ“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერის თვალსაზრისს აძლიერებს მის მიერვე ვატიკანის არქივებში ახლახან მიკვლეული ბელგიელი პოლკოვნიკის როტიეს ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, ფარნავაზმა „გააუმჯობესა“ ქართული დამწერლობა. საგულისხმოა, რომ 1811-1818 წლებში რუსეთსა და ამიერკავკასიაში ნამსახურევი უცხოელი პოლკოვნიკის ცნობები ემთხვევა „მატიანე შემეცნებათა“-ში დაცულ ტრადიციულ ცნობას, რომ ქართული ანბანი ფარნავაზამდე არსებულა. ჩვენს ანბანს წარმართობის ხანაში შექმნილად თვლიდა აკ. სურგულაძეც: „მეცნიერებას დღეს საკმაო მონაცემები აქვს იმის სავარაუდოდ, რომ წარმართული ეპოქის საქართველოს ჰქონდა თავისი დამწერლობა, გააჩნდა ლიტერატურული ტრადიციები“.

ასე თანდათან ეფინება ნათელი ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ წარმოშობას. და მაინც პრობლემა კვლავ სადავოდ რჩება.

თ. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ძველი ქართული ასომთავრული ქრისტიანული ხანის ეროვნული დამწერლობაა, შექმნილი ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ მე-4 საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში. მისი აზრით, ლეონტი მროველის ცნობა ფარნავაზთან დაკავშირებით ასე უნდა გავიგოთ: „ფარნავაზის დროინდელი ან უფრო გვიანდელი წარმართული საქართველოსათვის „მნიგნობრობა ქართული“ უნდა ნიშნავდეს ალბათ ამ დროს ქართული წერის შემოღებას სპეციფიკური სახით, ე.ი. ქართული ტექსტის ჩაწერას რომელიმე იმ დროს გავრცელებული ენისა და დამწერლობის — მაგალითად, არამეულის ან ბერძნულის — საშუალებით და ამგვარად ჩაწერილი ტექსტის ნაკითხვას კვლავ სანყის — ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე. წერის ეს მეთოდი — „ალოგლოტოგრაფია“ ფართოდ იყო გავრცელებული ირანულ სამყაროში“.

ზ. სარჯველაძე და კ. დანელია იზიარებენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, ქართული ანბანის შემოღება ქრისტიანობის

— ამ წიგნიერი რელიგიის დამსახურებაა. წარმართობის ხანაში მისი არსებობის საცილობელ მთავარ საბუთად მათ მიაჩნიათ უძველესი წერილობითი ძეგლების მოუღწევლობა დაჟ სამაგიეროდ, უცხოენოვანი წარწერების აღმოჩენა ჩვენს ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე წერს: „ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ გულისხმობს სახელმწიფო საჭიროებისათვის საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას. სხვაგვარად ძნელად თუ აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნული, არამეული და ა.შ. ძეგლები, ქართული კი არა. სხვათაშორის არმაზის ბილინგვა მოგვითხრობს იბერთა სამეფო კარის ამბავს ბერძნულად და „არამეულად“, მაგრამ არა ქართულად. იმ დროისათვის ქართულ დამწერლობას თუ ვივარაუდებდით, ამ ფაქტს ახსნა დასჭირდებოდა“.

მაშასადამე, მეორე თვალსაზრისით, თუ ქრისტიანობამდე არსებობდა ქართული დამწერლობა, რატომ არ მოაღწია თუნდაც ერთმა რომელიმე ქართულმა ძეგლმა?

ტრადიციულად ქართული წარმართული კულტურის მოუღწევლობას იმით ხსნიდნენ, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული ეპოქის ნაკვალევი მოსპო და გაანადგურა.

ჩვენი სპეციალისტების დღევანდელი კვლევის შედეგებით ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას არ უნდა მიეწეროს წარმართული კულტურის განადგურება. რ. პატარძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მე-4 საუკუნეზე ადრინდელი ძეგლი რომ არ ჩანს, ამისი მიზეზი უნდა ვეძიოთ წარმართული რელიგიის დამარცხებაში.“

ფარნავაზის მომდევნო ხანაში ქართული ეროვნული რელიგია, როგორც ჩანს, კარგავს სრულიად სახელმწიფო რელიგიის ფუნქციებს. საფიქრებელია, რომ ელინისტურ ხანაში ქართული წარმართული რელიგია დასუსტდა ბერძნული და სპარსული კულტურისა და რელიგიების გავლენით. ამან კი, თავის მხრივ, გააძლიერა ბერძნული და არამეული დამწერლობის გავრცელება საქართველოში. არქეოლოგიური გათხრებიც ამასვე ადასტურებენ“.

თითქმის ამგვარადვე ხსნის აკ. ბაქრაძეც უძველესი ქართული ძეგლების არარსებობას. მისი აზრით, ძველი და ახალი ნელთალრიცხვის მიჯნაზე მცირე აზიაში, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ჰეგემონობა ხელთ ეპყრათ ბერძნებს, რომაელებს, სპარსელებს. შესაბამისად, მძლავრობდა მათი რელიგია და დამწერლობა სხვა მცირე ხალხების კულტურაზე. ჩანს, ვერც საქართველო ასცდა ასეთ გავლენას და შედეგად ამისა ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩნდა არაქართულით დაწერილი უძველესი ძეგლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზ. სარჯველასძის კითხვას — თუკი ქრისტიანობამდე არსებობდა ქართული ანბანი, რატომ არ არის ბილინგვაზე იბერთა სამეფო კარის კანონები ქართულად დაწერილი — შეიძლება ასეთი პასუხი გაეცეს: ბილინგვა ითვლება ახ.წ. II საუკუნის ძეგლად. ამ დროის საქართველოში — ბერძნებისა და სპარსელების პოლიტიკური ჰეგემონობის პირობებში — სწორედ ოფიციალური დოკუმენტები შეიძლებოდა დაწერილიყო არაქართულად. ბილინგვაზე რომ სამეფო კარის კანონების ტექსტი აღმოჩნდა და არა სხვა უანრისა, ეს უფრო აძლიერებს თვალსაზრისს, რომ ქართული ეროვნული დამწერლობა იმ ეპოქაში ძლიერი ძალის ზეგავლენით შეიზღუდა, თანდათან დაკარგა სახელმწიფოებრივი ფუნქცია (საკანცელარიო საქმეებისათვის გამოყენება), მაგრამ აუცილებლად იქნებოდა ეროვნული მნიშვნელობის მძლავრი იარაღი რელიგიის ხელში.

საგულისხმოა, რომ ასეთი ვითარება საზოგადოდ არც ერთ ეპოქაში არ არის გამორიცხული ნებისმიერი ენისათვის. მაგალითად, დღეს გარკვეული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სხვა ცენტრებში (ფაბრიკა-ქარხნებში...) ყოველგვარი საქმის წარმოება ხორციელდება რუსულ ენაზე, მაშინ როცა ოფიციალურად ქართული ენა და ქართული დამწერლობა სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონეა.

ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლინგვისტიკაში წარმოდგენილი ბოლოდროინდელი მოსაზრებების ურთიერთშეჯერების შე-

დეგად ბუნებრივად ჩნდება საცილობელი კითხვები. მაგალითად:

1) ცნობილია, რომ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის წიგნის „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელების“ მიხედვით, კაცობრიობის უძველესი საცხოვრისი რეგიონი უნდა ყოფილიყო მცირეაზია და მესოპოტამია და არა ცენტრალური ევროპა (როგორც აქამდე სწამდათ ევროპელ მეცნიერებს). შესაბამისად, უძველეს ხალხებად ჩათვლილია პროტოქართველები, პროტოინდოევროპელები და პროტოსემიტები. მაშასადამე, ქართველებსაც ისეთივე უძველესი წარსული პქონიათ, როგორც ინდოევროპელებსა და სემიტებს. კიდევ მეტიც, პრექართველური ენის გავლენის კვალი დღესაც შეიმჩნევა ინდოევროპულ ენებში და, თუკი პირველი ანბანისაგან – ფინიკიურისაგან ძვ.წ. X-IX საუკუნეებში ინდოევროპელებმა შექმნეს არქაული ბერძნული ანბანი, სემიტებმა კი – არამეული, რატომ არ შეიძლებოდა ქართველებსაც იმავდროულად ან ცოტა უფრო მოგვიანებით შეექმნათ თავიანთი დამოუკიდებელი ანბანი ფინიკიურის მიხედვით?

2) როგორც თ. გამყრელიძე თვლის, ქართული ასომთავრული ანბანი ბერძნულის საფუძველზეა შედგენილი ადრექრისტიანულ ხანაში და კიდევ მისდევს მის რიგს ღ ასომდე, შემდეგ მოდის საკუთრივ ქართული ასოები, რომლებიც ამჟღავნებენ ფინიკიურთან სიახლოვეს (ე.ი. ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნულის საფუძველზე, ხოლო შემდეგ ბერძნულისაგან განსხვავებული ასოებისათვის ამოსავლად ფინიკიური გამოიყენაო).

ჩვენი აზრით კი, საფუძვლით დასაშვებია ასეთი ვარაუდი: ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას ან თუნდაც რ. პატარიძის ნაწარაუდევე ეპოქაში – ძვ.წ. VIII-V საუკუნეებში ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე ქურუმების მიერ შემოღებულმა ქართულმა ანბანმა მოგვიანებით განიცადა გავლენა ბერძნულისაგან მხოლოდ იმ ასოებში, რომლებიც საერთო იყო ამ ორ ანბანს შორის, დანარჩენი კი უცვლელად დატოვა, ისე როგორც თავდაპირველად შეიმუშავა.

სწორედ ეს ცვლილება-გავლენის თარიღი ემთხვევა ფარნავაზის ეპოქას, მის მიერ ანბანის გაუმჯობესებასა და ძვ.წ. 284

ნელს სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადებას.

ამგვარად, სრულიადაც არ არის შეუძლებელი, რომ ქართველებს წარმართულ ეპოქაში ბერძენისა და სემიტების თანადროულად ჰქონოდათ საკუთარი ანბანი.

საზოგადოდ, ანბანის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქტია, რომელიც აუცილებლად აისახება ქვეყნის ისტორიაში. მაგალითად, უძველესი დროიდან მოყოლებული ლეგენდებისა თუ უტყუარი ცნობების სახით ჩვენამდე მოაღწია დამწერლობების შექმნის არა მხოლოდ ფაქტმა, არამედ ანბანის შემოქმედ პიროვნებათა სახელებმაც კი.

თუკი ქართული ანბანი ახ.წ. IV-V საუკუნეებში შეიქმნებოდა, შეუძლებელია, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა დარჩენილიყო რომელიმე იმდროინდელი ან თუნდაც ცოტა მოგვიანო ხანის უამთააღმწერლის ყურადღების მიღმა და არ მოხვედრილიყო მატთანეში, რომელიც საკმაო სისრულით აღწერს წარმართობის დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხისა თუ მეფეების ცხოვრებას, ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებასა და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ძველი ქართული ლიტერატურა და ისტორია ამის შესახებ დუმს; არაფერია ამ საკითხზე ნათქვამი სხვა ხალხის წყაროებშიც.

ამჟამად, ქართული ანბანის შექმნა ისე ძველი ამბავია, რომ იგი ვერ აისახა წერილობითს ძეგლებში, ისტორიულ ქრონიკებში.

საერთოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ ერს, რომელსაც IV საუკუნეში უკვე მოეპოვებოდა უძველესი ხანის ისტორიული-ლიტერატურული თხზულებანი (მათ შორის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“), რომელსაც გააჩნდა ადრეული ხანის ეპიგრაფიკული ძეგლების (ბოლნისის, დავათის ქვაჯვრის...) ქართული წარწერები, ჩამოკვეთილი და დახვეწილი მოხაზულობით, და რომელსაც ამშვენებს IV-V საუკუნეთა სიტყვაკაზმული მწერლობა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არ ჰქონოდა საკუთარი ეროვნული დამწერლობა და საუკუნეების მანძილზე ალოგლოტოგრაფიის წესით შეექმნა უძველესი კულტურული მემკვიდრეობა და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები.

საფიქრებელია, რომ წარმართობის ხანაში (ჩვენს ერამდე) შექმნილი ქართული ანბანი თანაბრად ემსახურებოდა ქართველი კაცის ნააზრევის გამოხატვას ყველა ეპოქაში. ქრისტიანობამ კი – ამ უაღრესად მნიგნობრულმა რელიგიამ იმთავითვე შეუწყო ხელი საკუთარი ანბანის მრავალმხრივ ფუნქციონირებას და კვლავ დაუბრუნა დროებით დაკარგული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; ქრისტიანულმა რელიგიამ აალორძინა, „მკვდრეთით აღადგინა“ ქართული ენა და ქართული დამწერლობა.

## გეოგრაფიკული მას იკვლევას წიგნი ლინგვისტიკაში

დაიბეჭდა ვაზეთ „ქუთაისში“ 1989 წლის 18  
თებერვალს.

ქალაქ ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ქარჩხაძე) არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ფილიალი, რომლის მიზანია სპეციალისტთა მომზადების სრულყოფა, საშუალო სკოლებთან კონტაქტის განმტკიცება, სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესება, მშობლიური ენის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარება.

ფილიალის შემადგენლობაში შედიან ქართული ენის კათედრის მეცნიერ-მუშაკები, სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის წევრები, სკოლის მოწინავე მასწავლებლები და მოსწავლეები.

ფილიალს ხელმძღვანელობენ ქართული ენის კათედრიდან ამ წერილის ავტორი და 33-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ჭუმბურიძე, მდივანია მასწავლებელი რ. ცინცაძე.

მუშაობა წარიმართება წლიური და პერსპექტიული გეგმების მიხედვით, რომელთაც საფუძვლად უდევს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, შესაბამისად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი.

საშეფო სკოლაში გაიხსნა აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელობის ქართული ენის კაბინეტი (გამგე – მასწავლებელი ი. კალანდაძე, საპატიო გამგე – მეათე კლასის მოსწავლე დავით გეგეჭკორი).

შექმნილია „ნორჩ ლინგვისტთა სკოლა“, სადაც მეცადინეობებს ატარებენ ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრები.

ფილიალი აქტიურად მონაწილეობს სკოლის მეთოდური საბჭოსა და სიტყვიერების მასწავლებელთა მეთოდგაერთიან-

ნების მუშაობაში, ისმენს გაკვეთილებს, აანალიზებს უახლოეს მეთოდებსა და საშუალებებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. ფართოვდება პედიინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრებისა და სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მონინავე მასწავლებელთა თანამშრომლობა სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომების მომზადებაში.

ჩვენი ფილიალი, სტუდენტთა პროფესიული მომზადების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათს მონანილეობას სკოლის სასწავლო პროცესში, სკოლისგარეშე და კლასგარეშე ღონისძიებებში, თანამშრომლობას პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

მე-8—მე-11 კლასის მოსწავლეთათვის გამოვაცხადეთ კონკურსი „ნორჩი ენათმეცნიერის“ საპატიო ნოდების მოსაპოვებლად.

„ნორჩ ლინგვისტთა სკოლის“ პარალელურად იმუშავენ მოსწავლეთა ქართული ენის წრე, რომელსაც უშუალოდ უხელმძღვანელებს პედიინსტიტუტის საენათმეცნიერო საზოგადოება. წრის წევრი მოსწავლეები შეასრულებენ მეცნიერული ხასიათის ნაშრომებს, შეაგროვებენ ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს, ჩაინერენ ტოპონიმებს, ჩატარდება თეორიული კონფერენცია თემაზე „შევისწავლოთ ხალხური საუნჯე“.

33-ე საშუალო სკოლაში არსებული ქართული ენის კათედრის ფილიალი განსაკუთრებით ზრუნავს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის უწმიდეს მოვალეობად იქცეს მრავალსაუკუნოვანი, უმდიდრესი ქართული ენის საფუძვლიანი, მეცნიერული შესწავლა, მისი დაცვა და მოვლა-პატრონობა.



## დიდი ენათმეცნიერი (პროფესორი თამაზ გამყრელიძე)

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1989 წლის 21 ნოემბერს თ. გამყრელიძის დაბადების 60 წელთან დაკავშირებით (თანაავტორები არიან დოც. მ. ქაცარავა და დოც. კ. კუბლაშვილი).

რა საოცარი სისწრაფით გარბის წლები... დღეს თამაზ გამყრელიძე უკვე 60 წლისაა. თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ უზემია მეცნიერული აზრის გამარჯვება. მოკლე საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს მათს უბრალო ჩამოთვლასაც კი.

თამაზ გამყრელიძე ფართო დიაპაზონის ენათმეცნიერია. მისი კვლევის სფეროში შედის ქართველური ენებისა და ენათმეცნიერების ზოგადი პრობლემები. თამაზ გამყრელიძის თაოსნობით ქართველური ენების კვლევა-ძიება დაიწყო სრულიად ახლებური მეთოდოლოგიის საფუძველზე. იგი თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობს ენათმეცნიერების ზოგადთეორიული საკითხების კვლევას, რადგან თვლის, რომ შეუძლებელია კონკრეტული ენების ღრმა მეცნიერული კვლევა, თუ მას არ მოეპოვება მკვიდრი თეორიული დასაყრდენი.

ფართო ლინგვისტური განათლება, ერთი მხრივ, და ქართველურ ენათა ღრმა მეცნიერული კვლევის უნარი, მეორე მხრივ, არის ის წინამძღვრები, რომლებიც გამყრელიძის ზოგადენათმეცნიერულ კონცეფციას მსოფლიო აღიარებას ანიჭებს.

ქართველური ენების ფონემატური სტრუქტურის კვლევას ეძღვნება მონოგრაფიული გამოკვლევა „დეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ დაქრონიულ ფონოლოგიაში“.

გამოკვლევაში განხილულია ქართველურ ენათა ფონემატური სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მოცემულია როგორც ამ სტრუქტურის სანიმუშო აღწერა, ისე მისი დახვე-

წილი ისტორიული ანალიზი. კერძოდ, ავტორის ყურადღების ცენტრში დებაფრიკაციული ცვლილებების საფუძველზე სვანური ენისათვის დამახასიათებელი ფონემური ცვლილებების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის საკითხის კვლევა დგას.

მონოგრაფია „სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ 1959 წელს გამოქვეყნდა. აქ წარმოდგენილი ფონოლოგიურ საკითხთა კომპლექსი, როგორც ნიგნის წინასიტყვაობაში თავად ავტორი შენიშნავს, „ჩამოყალიბდა ქართველური ენების თანხმოვანთა სისტემის შედარებითი ანალიზის შედეგად. ამ სისტემათა შეფარდება, რომელიც ძირითადად სპირანტებისა და აფრიკატების რიგებს შორის არსებული შესატყვისებებით განისაზღვრება, ავლენს რიგ გადახრებს საერთო ქართველურ სიბილანტურ ფორმათა კანონზომიერი რეფლექსებისაგან ისტორიულად დამონშებულ ქართველურ ენებში“.

თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის გახმაურებული ნაშრომი „სინანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ სინანტთა სისტემისა და აპოფონიის საკითხთა შესწავლას ეძღვნება.

ქართველურ ენათა მონაცემების დეტალურმა ანალიზმა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე (სხვაგვარად შეუძლებელია ლინგვისტური კვლევა-ძიების შედეგი ნაყოფიერი იქნეს!) მონოგრაფიის ავტორები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საერთო ქართველური ფუძეენა დიდ მსგავსებას იჩენს ინდოევროპულ ფუძეენასთან. დასკვნა ემყარება ძირითადად აბლაუტურ მონაცვლეობებს. დასახელებულ ნაშრომში „აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა პირველად არის წარმოდგენილი როგორც საერთო-ქართველური მოვლენა. აბლაუტი ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ განვითარებულად კი არ არის მიჩნეული, არამედ განხილულია, როგორც ცალკეულ ქართველურ ენებში ასახული პროტო-ქართველურ ანოფონიურ ხმოვანთმონაცვლეობათა მექანიზმი. იგი პოსტულირებულია საერთო ქართველური ენობრივი დონისათვის (პროტო-ქართველურისათვის)“.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის აღმოჩენა სრულიად ახალ ეტაპს ქმნის ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

საყოველთაო აღიარება ხვდა წილად თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მონოგრაფიას „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (რუსულ ენაზე).

მონოგრაფიის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ინდოევროპული ენების ქართველურ ენებთან ურთიერთობის პრობლემის კვლევა. ქართველური, ინდოევროპული და სემიტური ენების ურთიერთმიმართებაში განხილვა შესაძლებელს ხდის, აღდგენილ იქნეს ქართველურ ენათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და ისტორიულ-გენეზისური მოდელი. ამასთან, დადგენილი პარალელიზმებით ვლინდება ბევრი საერთო ქართველურსა და ინდოევროპულ ენებს შორის როგორც ფონეტიკურ, ისე გრამატიკულ დონეზე.

თ. გამყრელიძის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობიდან ყურადღებას იქცევს მისი განსაკუთრებული დაინტერესება ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხით. ამ ასპექტით ნამოყენებული კვლევის შედეგები მან ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა. ანბანური წერის ტიპოლოგიური წარმომავლობა“.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის სისტემურმა შეპირისპირებამ სემიტურ და ბერძნულ დამწერლობებთან, ამავე დროს, ქართულ ანბანში ასახულმა ფონემატურმა სტრუქტურამ მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი სტრუქტურულად თანხვედრილია არქაულ-ბერძნულ სისტემასთან და სათავეს უშუალოდ მისგან იღებს.

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი ადრექრისტიანული ეპოქის ძველი ქართული დამწერლობაა, შექმნილი ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ, IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე კულტურულ სამყაროში, – აღნიშნავს მკვლევარი, – ქართველობა განიხილება სწორედ როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის წარმომადგენელი ერი, რომლის კულტურა ახლებურად გარდაიქმნა და აღორძინდა ქრისტიანობის საფუძველზე, რომლის ეროვნული დამწერლობა და, მაშასადამე, „ახალი მნიგნობრობა“ ქრისტიანობის, ამ

დროისათვის ახალი რწმენისა და იდეოლოგიის საფუძველზე შეიქმნა”.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს ის ფაქტი, რომ თ. გამყრელიძემ წარმართული საქართველოსთვის ივარაუდა სულ სხვა ხასიათის არაანბანური ტიპის წერა და მასზე დაყრდნობით ახლებურად წაიკითხა ქართველი მემკვიდრის ლეონტი მროველის ცნობა მეფე ფარნავაზის მიერ ქართული მნიგნობრობის შექმნის შესახებ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში.

ჩვენში მუდამუდამს მოწინებებს აღძრავს თ. გამყრელიძე, როგორც უდიდესი ენათმეცნიერი, მაგრამ 9 აპრილის მძიმე დღეებმა დაადასტურა, რომ იგი ამასთან დიდი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილია, რომელსაც ტრაგიკულ სიტუაციაში დუმილი არ შეეძლო. 1989 წლის 19 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ თბილისის ტრაგედია მართო ჩვენი ტრაგედია არ არის, იგი მთელი ცივილიზებული სამყაროს ტრაგედიაა. „თბილისში დატრიალებული ტრაგედია შევა ქართველი ხალხის ისტორიაში, როგორც 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანი კვირა“, – თქვა მაშინ თ. გამყრელიძემ. ქართველი ხალხი მაღლიერებით აფასებს თამაზ გამყრელიძის მოქალაქეობრივ გამბედაობას, უდიდეს გულისტკივილსა და პატრიოტულ შემართებას ამ ამბებთან დაკავშირებით.

თ. გამყრელიძეს, როგორც ზოგადენათმეცნიერული პრობლემატკის მკვლევარს, მთელს მსოფლიოში აღიარებენ. მისი მოხსენებები და გამოკვლევები საკავშირო და საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე მუდამ იმსახურებს სპეციალისტთა ყურადღებას. თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით იგი დღეს უცხოეთის მრავალი ქვეყნის აკადემიის წევრი და ევროპის ლინგვისტთა საზოგადოების პრეზიდენტია. ამჟამად თამაზ გამყრელიძე მისთვის ჩვეული ენერგიითა და პასუხისმგებლობით უძღვება გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მუშაობას. არის ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ მთავარი რედაქტორი და სხვა მრავალი სასიკეთო წამოწყების თავკაცი.

მისი დაბადების 60 წლისთავზე ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მეცნიერს ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ბევრი დანყებული თუ ჩაფიქრებული საქმის წარმატებით განხორციელება.

## აკაკი შერიამელი – მშობლიური ენის სოფინდისათვის მებრძოლი

წაკითხულია მოხსენებად 1990 წლის 16 ნო-  
ემბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
აკ. წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავისად-  
მი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე  
დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1990 წლის 22 მარტს

„ქართული ჩემი დედაენაა, ყველაზე უტკბესი და უნეტარესი ჩემთვის“, – წერდა აკაკი და, მართლაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ეთაყვანებოდა მშობლიურ ენას, დიდ ილიასთან ერთად მესვეურებდა არა მარტო სიტყვაკაზმულ მწერლობას, არამედ ქართველი ერის საზოგადოებრივ აზრსა და კულტურულ ცხოვრებას, დაულალავად ეწეოდა ჭეშმარიტი ერისკაცის ჭაპანს.

აკაკი წერეთელი განგებამ მარტოოდენ ტკბილხმოვან მგოსნად როდი მოუვლინა საქართველოს; ღვთითკურთხეული ნიჭითა და შეუვალი პირდაპირობით დაჯილდოებულს დაავალა მშობლიური ენის ქომავობაც.

აკაკი წერეთლის მდიდარი მხატვრული შემოქმედება თუ პუბლიცისტური ნააზრვეი საცნაურს ხდის, რომ მწერლისათვის ქართული ენა ღვთაებრივი საუნჯის სამებათაგან ერთ-ერთი დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ჩვენი ერის მეობა; მშობლიური ენა ცოცხალი ორგანიზმია, ქართული სიტყვა სულიერი არსებაა, რომელსაც სათუთად მოპყრობა, გაფაქიზება, გასპეტაკება უნდა. აკი თავადაც ამბობს: „ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულ ენაზე, დავკვირვებივარ: ხან აღფრთოვანებულვარ, ხან დავნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები მიტეხია“.

მართლაც, როცა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში დაიწყო უმნიშვნელოვანესი გარდატეხის პერიოდი, აკაკი წერეთელი, როგორც ილია ჭავჭავაძის ღირსეული თანამებრძოლი, შემართული იღვწოდა

ახალი სალიტერატურო ენის აღდგენა-განვითარებისათვის.

პოეტი წუხდა, რომ „ის ენა, რომლის კანონები (გრამატიკა) დამთავრებული იყო ჯერ კიდევ X საუკუნეში არა მარტო ქალაღდზე, არამედ ხალხშიც კი სასაუბროდ, ახლა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მიზეზით ისეა დამდაბლებული, მთლიანი ქართული ენა იმდენადაა დაყოფილი, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეწოთირება“.

მწერლის აზრით, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი ხაზის აღსადგენად აუცილებელი იყო, პირველ ყოვლისა, უკუეგდოთ არქაიზებული ენის ნორმები, გარკვეულიყო სალიტერატურო ენის საფუძველი (საორიენტაციო დიალექტების საკითხი) და ჩატარებულიყო ქართული ორთოგრაფიის რეფორმები.

ენის ამ პრობლემებს აკაკიმ მიუძღვნა უამრავი წერილი, ნარკვევი და მსუსხავი ფელეტონიც კი.

გარდა იმისა, რომ ხალხური მეტყველებით ნასაზრდოები აკაკის პროზა და პოეზია წარმოადგენდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს, დედაენის სრულყოფა-განვითარებისათვის ბრძოლა იმდენად წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო მისთვის, რომ არ მოერიდა დიდ ქართველ ავტორიტეტებსაც კი და სრულიად ახალგაზრდამ ჩვეული პირდაპირობით გააკრიტიკა ძველი თაობის ლიტერატორთა ენობრივი ნორმები და დაასაბუთა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ რიტორიკითა და თეორიული დებულებებით.

ერთ-ერთ ფელეტონში („ქნების გასაპართლება“) აკაკიმ გააკრიტიკა ქართულ სალიტერატურო ენაში გაბატონებული სამი სტილის თეორია, ხაზგასმით მიუთითა ენ. „მაღალ სტილზე“, მის უარყოფითს შედეგებზე.

ფელეტონის მიხედვით ადვოკატი მაღალი სტილით ასე საუბრობს: „ენით ამით მეტყველიყო შავთელ ჩახრუნხითურთ მშვენიერ ლექსად. ამავე ენით ღაღადებდა ბრძენ, რიტორ, პიტიკოს ანტონ გაიოზითურთ... ენა ესა გასაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ“. ამიტომ მსაჯულებმა ასეთი

განაჩენი გამოიტანეს: „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყუილად გაფუჭდეს და ამისთვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს“.

და რომ ეს მართლაც არ მოხდეს, აკაკის აზრით, საჭიროა: სალიტერატურო ენა განთავისუფლდეს არქაული (გარდასული) ფორმებისაგან, ერთმანეთს დაუახლოვდეს წერა და წარმოთქმა, გამარტივდეს ორთოგრაფია; ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი (მისი მასაზრდოებელი წყარო) უნდა გახდეს ხალხის ცოცხალი მეტყველება, რადგან ქართული ენა ინახება ხალხში, იქ არის ენის ამოუნურავი სალარო. „სხვადასხვა მხარეში, – წერდა აკაკი, – ბევრი მისთანა სიტყვაა დარჩენილი, განსაკუთრებით მთა ადგილებში, რომ მათი გამოძენა და მითდღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა. აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუკი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძავია საყოველთაოდ. ამგვარი კანონიერი რამეებით რომ შევაესოთ და გავასუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის“. მწერალი თანვე სამართლიანად შენიშნავდა, რომ „იმ გაბნეული მარგალიტების მოძებნა, პოვნა, აკრეფა, მოგროვება და ხელახალ ძაფზედ ასხმა“ უნდა მოხდეს არა ერთ რომელიმე კუთხეში, არამედ ყველგან.

ცნობილია, რომ მგოსანიც სწორედ ცოცხალი მეტყველების საგანძურს მიმართავდა და მასზე დაყრდნობით ქმნიდა თავის მხატვრულ შემოქმედებას, რომლის ენაც ისეთივე ნათელი, მარტივი და სადაა, როგორც თვით ხალხის სასაუბრო ენა. ხალხური მეტყველებით ნასაზრდოებ ქართულ ენაზე ამოიზარდა ტკბილხმოვანებითა და მუსიკალობით გამორჩეული მისი პოეზიაც.

აკაკი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ყოველ ქართულ სიტყვას, ამიტომ იყო, რომ მან ჩვენს მწერლობაში მრავალ ლექსიკურ ერთეულსა და იდიომატურ გამოთქმას გაუკაფა გზა. ასეთებია: **ტყვა ტყვადობა** (გაუგონია ქართლის ერთ-ერთ სოფელში, გლეხის ოჯახში), **ბობოლა გაიძვრა**, **შეხმატკბილება** და ა.შ.

მეორე მხრივ, პროეტს სალიტერატურო ენაში დიალექტური მასალის განუკითხავად შემოტანა „ბაბილონის გოდოლის დაქცევად“ მიაჩნდა და კიდევ ამხელდა იმ მწერლებს, რომლებიც

დიალექტიზმების ხელოვნური მოჭარბებით ხელს უწყობდნენ სამწერლობო ენის დანაგვიანებას. „ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და გამბედავ მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა... არც ქვეყანასა და ხალხს იცნობს?“ – გულისწყრომით სვამს კითხვას აკაკი და თვითონვე მტკიცედ დასძენს: „რასაკვირველია, არა!“

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკიმ დიალექტიზმებით გატაცება არ მოუწონა ვაჟა-ფშაველასაც კი, რომლის პოეზიას მაღალ შეფასებას აძლევდა, ავტორს კი „მარგალიტების მთესველს“ უწოდებდა.

პოეტი აკრიტიკებდა იმ მწერლებსაც, დედაენის კანონის გაუთვალისწინებლად რომ თხზავდნენ ახალ-ახალ სიტყვებს და არ იცნობდნენ ხალხური მეტყველების ნიაღში ფესვგადგმულ ლექსიკურ ერთეულებს. ამ მხრივ საინტერესოა აკაკისეული ძიება ერთი ტერმინის დადგენის ისტორიაში: „დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპადი“. ზოგმა „წყალვარდნილი“ იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი“, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა! ვერ შეთანხმდნენ და ერთ გადაჭრილს ვერ დაადგნენ... არ იციან, რომ სიტყვა „ვოდოპადი“ ქართულად სხვადასხვა წოდებით (სხვადასხვა ტერმინით - უ.ფ.) იხმარება მათი განსაკუთრებული ხასიათის შესაფერად“. ამიტომ აკაკი გულდასმით სწავლობს ხალხურ მეტყველებაში ამ ცნების შინაარსს, უკვირდება კლდიდან გადმომსკდარი წყლის ნაირსახეობებს და აგროვებს შესაბამის ტერმინებს: „ხალხმა კარგად იცის, რომ ჩქერი ანუ გადამახინჯებულად ჩაქერი ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქეები ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსკდარი, თავზე ევლება ლოდებს... სიტყვა „ჩაქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წარმომდგარი... როდესაც მალლიდან კლდეზე გადმოჩუხჩუხებს წყალი და კლდის კედლებს არ შორდება, იმას ეძახიან ჩანჩქერს ანუ ჩქჩქერს. როდესაც მალლიდან შორსა სცემს ცოტად და კლდის კედელს არ ეკარება, იმას საჩქეფი ჰქვია. აგრეთვე, როცა მალლიდან უფსკრულისაკენ ექანება, ჯურღმულში ჩადის და კაცი ზეიდან დაჰყურებს, თუ პატარა წყალია, ჩახრი-აღა ჰქვია და, თუ დიდი წყალი – ჩაქუხა“.



აკაკის აზრით, ქართული ენის სინმინდისათვის ბრძოლა უკავშირდება სიტყვათა სესხების პროცესსაც. მართალია, მწერალს სიტყვათა სესხება მიაჩნდა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებად, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვას მოითხოვდა. დღესაც ყურადსაღებია დიდი მგოსნის მითითება: საჭირო ლექსიკური ერთეული, პირველ ყოვლისა, უნდა დაიძებნოს მშობლიური ენის წიაღში, რისთვისაც უნდა შემომწმდეს ძველი ქართული ძეგლებისა და კლასიკური მწერლობის ენა; შემდეგ დაუუკვირდეთ ცოცხალ მეტყველებას და, თუ მაინც ვერ მოვიძიეთ სათანადო სიტყვა, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შემოვიტანოთ იგი სხვა ენიდან. სწორედ ამ გზითაა აღდგენილი ძველი ქართული სიტყვა გვირაბი. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ თავად მწერალს: „როდესაც ლიხის უღელტეხილში ტონელი გაიყვანეს (XIX საუკუნის 90-იან წლებში), დაიბადა აუცილებლობა ამ სიტყვის ქართული ეკვივალენტის მონახვისათვის. ქართულმა გაზეთმა თათბირიც მოიწვია, რათა მონახულიყო ტონელის ტოლფარდი სიტყვა, გადაწყდა ქვახროტა დაეკანონებინათ, მაგრამ ეს ხელოვნური სიტყვა არ აკმაყოფილებდა თათბირის მონანილეთ. ბოლოს საჭიროდ დაინახეს ამ მიზნით შეესწავლათ ძველი მწერლობის ძეგლები. მათ შორის განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. გავინანილეთ შრომა და ამ გზით წავაწყდით გვირაბს“.

როგორც ცნობილია, ქართულ მწერლობაში მშობლიური ენის სინმინდისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან. იმდროინდელი ენის თეორეტიკოსები ლიტერატურული ნორმების დადგენისას უმთავრესად ემყარებოდნენ კეთილხმოვანების (ეფფონიის) პრინციპს, რომლის ძირითადი კრიტერიუმი იყო – თუ რამდენად არ ეწოთირება ყურს ესა თუ ის ენობრივი მოვლენა, რამდენად კეთილხმოვანია – საამო მოსასმენი.

ცხადია, კეთილხმოვანება სუბიექტური მეთოდია და მისი გამოყენება გრამატიკული მოვლენების კვალიფიკაციისას გაუმართლებელია, მაგრამ იმ დროისათვის იგი ისე ფართოდ დაინერგა ჩვენი ენის პრაქტიკაში, რომ მას მეტ-ნაკლებად ყველა

მწერალი მიმართავდა. მაგალითად, აკ. წერეთელიც კეთილხმოვანების საფუძველზე ანიჭებდა უპირატესობას ზოგიერთ გრამატიკულ ფორმას. ი. გოგებაშვილთან პოლემიკის დროს აკაკი აღნიშნავდა, რომ სიტყვათა შეხამებაში „თავის დღეში“ ორ სს (თავისს) არ ხმარობს, რადგან ამას კეთილხმოვანება მოითხოვსო. თუმცა, მეორე მხრივ, როცა ი. გოგებაშვილი უპირატესობას **გაღიარე** ფორმას აძლევდა **აღვიარესთან** შეპირისპირებით იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძნელი გამოსათქმელიაო, აკაკი გადაჭრით უარყოფდა ევფონიას და მოითხოვდა გრამატიკულად სწორი **აღვიარებ**-ის დაკანონებას.

აკაკი წერეთელმა ამ საკითხს მიუძღვნა 3 წერილი, იაკობ გოგებაშვილმა – 10, გ. წერეთელმა – 4, ს. ხუნდაძემ – 6 ფელეტონი, ვ. დოდაშვილმა – 7 სადავო საკითხი ასე წამოიჭრა: ი. გოგებაშვილის საბავშვო ზღაპარში ნახმარი იყო „გაღიარებ“ ნაცვლად გრამატიკულად სწორი „აღვიარებ“ ფორმისა. აკაკიმ ეს ახალი ფორმა დაინუნა და სპეციალურ წერილში ჩიქორთული უწოდა. ამას მოჰყვა იაკობის პასუხი „პანია სამაგიერო“, სადაც დიდი პედაგოგი შეეცადა დაესაბუთებინა ოპონენტისათვის, რომ **აღვიარებ** ძველი ფორმაა, **გაღიარებ** ახალი. ორივე კანონიერია, **გაღიარებ** ფორმა კი დასაკანონებელიაო.

აკაკი წერეთელი სისტემატურად მსჯელობდა ქართული ენის მართლწერის კონკრეტულ საკითხებზე, სახელისა და ზმნის ცალკეულ სადავო ფორმათა შესახებ; გულისტკივილით მიუთითებდა სამწერლობო ენაში დადასტურებულ უმართებულო ფორმათა სიჭრელეზე. სწორედ ამის გამო მისივე თაოსნობით ყოველკვირეულ ჟურნალ „კვალში“ გამოიყო სპეციალური განყოფილება „სასწორმეტყველო“, რომელსაც უნდა ემხილებინა სალიტერატურო ენაში წარმოჩენილი „ურიგო ფორმები“.

ჟურნალის ეს განყოფილება თავის მისიას ზედმინწევნით ასრულებდა.

აკაკი ყველგან და ყოველთვის ამოდიოდა ქართული სალიტერატურო ენის სინმიზის დაცვის პოზიციებიდან. ცნობილია, რომ ერთ-ერთ სადავო საკითხთან დაკავშირებით მწერალმა კრიტიკული ისარი პირველად ი. გოგებაშვილისაკენ მიმართა,

რადგან, მისი აზრით, „ის სხვებზე უფრო შესამჩნევია. ის ზრდის, ის წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას. ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომებსაც მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას“.

ქართული ენის სინამდის დაცვა, მისი მოვლა-პატრონობა აკაკის სამართლიანად მიაჩნდა მასწავლებლის უპირველეს მოვალეობად.

სასიქადულო მამულიშვილის ეს შეგონება კვლავაც შეგვახსენებს, რომ „ყველა ქართველის ვალია თავის მდიდარს, მრავალი ღირებულების მქონე ენას პატივი სცეს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღება არ მოაკლოს და არ დაივიწყოს ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი“ (არნ. ჩიქობავა).

## დოცენტი დავით მაჭავარიანი – სამაგალითო მასწავლებელი და ხელმძღვანელი

წაკითხულია შესავალ სიტყვად 1991 წლის 28 მარტს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრასთან არსებული სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკის, საენათმეცნიერო წრის ყოფილი ხელმძღვანელის, დოც. დ. მაჭავარიანის დაბადების 90-ე წლისთავს.

დღეს ქართული ენის კათედრასთან არსებული სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის წევრები თქვენთან ერთად მოკრძალებულ პატივს მივაგებთ უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკის, სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ყოფილი ხელმძღვანელის, დოც. დ. მაჭავარიანის ნათელ ხსოვნას.

ბატონი დავითი, სამაგალითო აღმზრდელი და თვალსაჩინო მეცნიერი, 87 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ – მისმა ყოფილმა სტუდენტებმა და კოლეგებმა – გულწრფელი ცრემლით ფიზიკურად ვერ გავაცილეთ ძვირფასი მასწავლებელი სამუდამო განსასვენებლისაკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ამ გადაუხდელი ვალის საზღაური იყოს ამიერიდან ყოველი ჩვენგანის მიერ ბატონი დავითის გულთბილი მოგონება.

დავით მაჭავარიანი 52 წლის განმავლობაში უმნიველოდ ემსახურებოდა მშობლიურ ენას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ჯერ როგორც სკოლის რიგითი მასწავლებელი, ხოლო შემდეგ – თითქმის 30 წელი – როგორც პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, დოცენტი.

ვისაც კი საქმე ჰქონია ბატონ დავითთან, ყველამ კარგად უნყის, რომ იგი ცხოვრობდა ერთადერთი პრინციპით – „საქმე-მან შენმან გამოგაჩინოს.“

მართლაც, ჭეშმარიტად გამოაჩინა ეს უპრეტენზიო, თავ-  
მდაბალი და გულისხმიერი ადამიანი დაულალავ შრომაში გა-  
ტარებულმა წლებმა.

ბატონი დავითი ახალგაზრდობას თავად აძლევდა შრომის-  
მოყვარეობისა და პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითს.  
იგი გახლდათ ნიჭიერი და ფართოდ ერუდირებული მკვლევა-  
რიც; დაინტერესებული იყო ენათმეცნიერების სხვადასხვა დარ-  
გის საკითხებით, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-  
მობდა ეტიმოლოგიურ ძიებებს, ქართველურ ენათა შესატყვი-  
სობის დადგენას.

ცხადია, ამჯერად ჩვენ დანვრილებით ვერ შევეხებით ბატონი  
დავითის მეცნიერულ მემკვიდრეობას, მაგრამ ზოგადად მაინც  
აღვნიშნავთ, რომ იგი უალრესი პასუხისმგებლობით იკვლევდა  
ყველა საკითხს, მეცნიერული კეთილსინდისიერებით იყენებდა  
სპეციალურ ლიტერატურას და უხვი ფაქტობრივი მასალების  
გამონვლილვითი ანალიზის საფუძველზე გამოჰქონდა დასკვნები,  
რომლებიც ლინგვისტიკაში ყურადსაღები და გასაზიარებელია.

დ. მაჭავარიანის მოღვაწეობიდან საგანგებოდ უნდა გა-  
მოიყოს მისი – როგორც სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის  
ხელმძღვანელის შესაშური და სამაგალითო საქმიანობა. იგი  
1969-1979 წლებში გახლდათ ამ წრის შეუცვლელი თავკაცი. მარ-  
თლაც რომ განსაკუთრებული ამაგი დასდო ბატონმა დავითმა  
პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრასთან არ-  
სებულ სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეში ახალგაზრდა ლინ-  
გვისტების დაოსტატებას.

წლების განმავლობაში დ. მაჭავარიანის სტუდენტურ სამეც-  
ნიერო საკრებულოში ბევრმა ახალგაზრდამ გადადგა მეცნიე-  
რული წრეობის პირველი ნაბიჯები, იგემა კოლეგების კრიტი-  
კის ქარცეცხლიც, იგრძნო ხელმძღვანელის ძუნწი, მაგრამ მრავ-  
ლისმთქმელი შექების მაღლიც.

ხელმძღვანელს გულწრფელად ახარებდა წრის წევრთა გულ-  
მოდგინება, საქმის სიყვარული და გატაცება და... კიდევ დაი-  
წერა სტუდენტური ენათმეცნიერული კრებული „ალიონი“. ამ  
ხელნაწერის შექმნით ორი კარგი საქმე გაკეთდა: ჯერ ერთი,

ახალგაზრდული ენთუზიაზმი შედეგით გამოიხატა და, მეორეც, ამ კრებულში მოთავსებული მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული თემების სახით შემოგვეჩვენა ბევრი საინტერესო, სანდო მასალა ქართული დიალექტოლოგიიდან, ენათმეცნიერების სხვა დარგებიდან.

სწორედ ამ ხელნაწერმა კრებულმა და მისი მეცნიერხელმძღვანელის საქმიანობამ შთაგვაგონა ჩვენ – სტუდენტთა ენათმეცნიერო წრის ამჟამინდელ ხელმძღვანელსა და წრის წევრებს დღეს, დაბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით, თქვენთან ერთად უფრო ახლოს გაცნობოდიტ დ. მაჭავარიანს როგორც მეცნიერს და როგორც ადამიანს.

ბატონი დავითი დღეს რომ ჩვენ გვერდით ყოფილიყო, ასეთი ღონისძიების გამართვისა კი არა, უბრალოდ, კერძო მაღლობი თქმის უფლებასაც არ მოგვეცემდა. ახლაც, ამ წუთშიც, ასე მგონია, მკაცრი სახით წამოიმართება და ჩვეული კატეგორიულობით გამოაცხადებს: ეს როგორ შეიძლება, მე რას წარმოვადგენ, რა გამიკეთებია, რომ საგანგებოდ ჩემზე ილაპარაკოთ. დღეს ამდენი საქმეა და ამაზე დროს როგორ კარგავთო. მაგრამ სწორედ დღეს გვჭირდება ბატონი დავითის მსგავსი ფუტკარივით მოუღლეელი ლექტორების, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული მასწავლებლების, სტუდენტისათვის თავდადებული აღმზრდელების ღვანლის გახსენება; სწორედ დღეს, ესოდენ რთულსა და დაძაბულ სიტუაციაში, სანიმუშოდ უნდა მოვიგონოთ გულისხმიერი, თავმდაბალი, მოყვასის პატივისმცემელი ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ ცხოვრობდნენ და უმნიკვლოდ საქმიანობდნენ და რომლებიც, საბედნიეროდ, ჩვენს ინსტიტუტს მრავლად ჰყავდა.

ჩვენი დღევანდელი სესიის მიზანიც სწორედ ესაა: უფრო სემა მოვიგონოთ ღირსეული ადამიანი, ხოლო სტუდენტობამ მაღალზნეობრიობაზე ერთხელ კიდევ მოისმინოს ერთი საინტერესო ლექცია, მოისმინოს და გაითავისოს წინაპართა ნაღვანის კეთილი ნაყოფი, რამეთუ, ბრძნული ნათქვამისა არ იყოს, მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ მათი ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არაფერს გამოვიტანთ.

## დონენტი ქეთევან გოჭენიძე – ენათმეცნიერი და პედაგოგი

წაკითხულია მოხსენებად 1991 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქ. ძონენიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

დონენიძე ქეთევან სამსონის ასული (23.XII.1916 ქუთაისი - 4.IX.1969 ქუთაისი) ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

1933 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1937 წელს – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ა. შანიძისა და ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. მას შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ – კათედრის დოცენტად, 1958 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა ქართული ენის კათედრას.

ქ. ძონენიძე კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართული გრამატიკის კურსებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ძველი და ახალი ქართული ენისა და ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე.

1950 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვს ილიას, აკაკის, ვაჟას, დ. გურამიშვილისა და დ. კლდიაშვილის თხზულებათა ენობრივი თავისებურებანი.

ქ. ძონენიძის მეცნიერული ნამუშავევიდან განსაკუთრებით

ფასეული და „დიდი შენაძენია ქართული დიალექტოლოგი- ისათვის“ (ა. შანიძე) მონოგრაფია „ზემოიმერული კილოკავი“ (დაიბეჭდა ორ ნიგნად 1973-1974 წლებში), რომელიც განკუთ- ვნილი იყო სადოქტორო დისერტაციად. სამწუხაროდ, ავტორს არ დასცალდა, ოფიციალურად წარედგინა იგი საპაექროდ.

პირველ ნიგნში შეტანილია ზემოიმერულის ენობრივი მი- მოხილვა და სოფელ-სოფელ ჩაწერილი ტექსტები, მეორეში კი – ლექსიკონი.

ქ. ძონენიძის ნიგნებში საჭირო და სანდო ცნობებს იპოვის ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი...

ყოველივე ზემოთქმული გახლავთ მოკლე ოფიციალური ბიოგ- რაფია დოც. ქეთევან ძონენიძისა.

ვინაც ქალბატონ ქეთევანს იცნობდა როგორც ლექტორს, როგორც ადამიანს, ყველას კარგად მოეხსენება, რომ იგი მარ- თლაც იყო გამორჩეული პიროვნება, გამორჩეული გასაოცარი ნიჭიერებითა და პრინციპულობით, საქმისადმი უსაზღვრო ერ- თგულებითა და ახალგაზრდობის სიყვარულით, გულთბილობითა და მეტისმეტი კეთილშობილებით, ასევე გამორჩეული და მომხიბვლელი ქალური კდემამოსილებით, სხივოსანი გამოხედ- ვითა და ბავშვური გულუბრყვილობითაც კი.

ქ. ძონენიძე იყო ჩინებული მეცნიერი და ჭეშმარიტი აღ- მზრდელი. მისი ყოველი სიტყვა, როგორც დაუნერეელი კანონი, უსაზღვრო ძალასა და ენერგიას პმატებდა სტუდენტს. თითქოს ახლაც ჩამესმის მის მიერ ლექციებზე არაერთგზის წარმოთ- ქმული წინადადება: „როცა ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრება ვარდისფერი განთიადი მეგონა“. ჩვენც, მის შეგირდებს, ის წლები მართლაც გვეგონა ვარდისფერი განთიადი, განთიადი, სადაც საყვარელი მასწავლებლის თანადგომით იკვთებოდა ჩვენი ჭაბუკური ოცნებანი და სამომავლო გეგმები.

ქალბატონ ქეთევანთან შეხვედრა ყოველთვის მალეღვებდა, მაგრამ ეს იყო ლეღვა სიყვარულისა, სიბარულისა, მისი სიახლოვის ნატვრისა.

ქ. ძონენიძე ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა სტუდენტობისას როგორც თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის ლექტორი.



მისი ყოველი ლექციის თეორიული დებულებანი გაჯერებული იყო პოეზიის სურნელით, ხოლო თავად ლექტორის სიტყვები – „შეზავებული მარილითა მადლისაჲთა“.

ქ-ნ ქეთევანს ხელენიფებოდა ქართული ენის გრამატიკის ურთულესი საკითხებიც კი მისანვლომი გაეხადა სტუდენტებისათვის. ყოველი მისი ლექცია ავლენდა ლექტორის ფართო ერუდიციას, ნიჭიერებასა და დიდ განათლებას, საგნის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. და მაშინ არც კი ვიცოდით, თუ ჩვენი ქეთო მასწავლებელი ასევე ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ძველი ქართული ენის გრამატიკის საკითხებსაც. არ ვიცოდით, რომ მისი პირველი მეცნიერული ნაშრომები სწორედ ძველ ქართულში დაინერა.

ახალი აღთქმის ხელნაწერი ტექსტებით ქ. ძონენიძის დაინტერესება განსაზღვრა ა. შანიძემ. ამ ფაქტს თავად ხელმძღვანელი 1974 წელს ასე იგონებდა: „ჯერ კიდევ 40-იან წლებში პავლეს ეპისტოლეების მეცნიერული შესწავლის საქმე მივანდე ერთ ჩემს მონაფეთაგანს, ჯერ ჩემს სტუდენტს, შემდეგ ჩემსავე ასპირანტს და მერე კი ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგეს დოცენტ ქეთევან ძონენიძეს“.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ქ. ძონენიძემ ძველი ქართული ხელნაწერების მონოგრაფიული შესწავლა.

ტექსტებზე დაკვირვებამ ახალგაზრდა მკვლევარი მალე დაარწმუნა, რომ ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ბევრი ენობრივი მოვლენის კვალიფიკაცია მოითხოვდა ხელახალ გადასინჯვასა და დაზუსტებას.

იმხანად სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ განთანდებულებიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების სანყის პუნქტს დროსა და სივრცეში და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?

ძველი ქართულის უხვი საილუსტრაციო მაგალითები კი სხვაგვარ ჩვენებას იძლეოდა. მალე ქ. ძონენიძემ 1946 წელს დაბეჭდილი საყურადღებო გამოკვლევით „განთანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში“ დაასაბუთა, რომ განთანდებულებიანი მოქმედებითის თავდაპირველი ფუნქცია იყო

მოქმედების სანყისის გამოხატვა დროში. ადგილის აღნიშვნა მას შედარებით გვიან დაეკისრა, ეს ფუნქცია მისთვის მეორეულია.

1947 წელს დაიბეჭდა ქ. ძონენიძის ახალი გამოკვლევა „**ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში**“.

ძველი ქართულის ნორმების მიხედვით, ემფატიკური ხმოვანი მოუდიოდა მხოლოდ საზოგადო სახელებს სამ ბრუნვაში (მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში).

ქ. ძონენიძის წინაშე ბუნებრივად დაისვა ორი კითხვა: 1) დაცულია თუ არა ძველი ქართულის ნორმები ა-ს ხმარების თვალსაზრისით, 2) როდის არა აქვს საზოგადო სახელებს მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკური დაბოლოება?

ამ კითხვებზე გაცემულ იქნა ასეთი პასუხები: 1) ემფატიკური ა ხელნაწერებში დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს, 2) ემფატიკური ხმოვანი საზოგადო სახელს არ დაერთვის, როცა ის კომპოზიტის ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. ეს წესი სისტემებრათა გატარებულა.

ქ. ძონენიძემ ძველ ქართულში წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგები ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში, რომელიც 1950 წელს წარადგინა სადისერტაციო ნაშრომად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „**სახელთა ბრუნვა ბავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით**“.

წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, რომ საანალიზოდ გამოყენებულია ბავლეს ეპისტოლეების სამი ხელნაწერი. არც ერთ მათგანს არ ახლავს ანდერძი, შესაბამისად, არაა მინიშნებული ხელნაწერის გადაწერის ადგილი, დრო, გადამწერისა და მომგებლის ვინაობა.

ქ. ძონენიძემ, პირველ ყოვლისა, ხელნაწერთა სხვადასხვა ნუსხის ურთიერთშეჯერებისა და ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით ეპისტოლეთა შედგენის თარიღად X საუკუნე მიიჩნია.

„თემის დამუშავებისას მთლიანად ვემყარებოდით სამ ხელ-

ნანერს, – ნერს დისერტანტი. – სახელთა ბრუნებისას ჯერ განვიხილავდით ძველი ქართულის მოქმედ ნორმებს, შემდეგ, თუ იყო, ამ ნორმიდან გადახვევებს, როგორც ჩვენი ხელნაწერების თავისებურებათა განმსაზღვრელებს“.

მართლაც, ამ პრინციპითაა დაწერილი მთელი ნაშრომი, მასში გამოვლენილია მრავალი ახალი ენობრივი ფაქტი, მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომს მალალი შეფასება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა ილია აბულაძემ და ვარლამ თოფურიაშვილმა. დისერტაციაში წარმოჩენილი ძირითადი დასკვნები ახალი სიტყვა იყო ქართულ ენათმეცნიერებაში.

ქ. ძონენიძემ გარდა ძველი ქართულის თეორიული საკითხების კვლევისა, შრომატევადი სამუშაო შეასრულა ეპისტოლეთა ტექსტის დადგენისა და გამოცემისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფიზიკურად ვეღარ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. ძეგლის გამოცემა დაასრულა მისმა ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად პროფესორმა კ. დანელიამ და 1974 წელს დასტამბა წიგნად „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიების“ სახელწოდებით.

მართალია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ქ. ძონენიძის შემოქმედებითს საქმიანობაში ძირითადი ადგილი დაიკავა ახალი ქართულისა და დიალექტების მეცნიერულმა კვლევამ, მაგრამ ძველ ქართულში მისი ნაღვანი – სანდო და უტყუარი დასკვნები ყოველთვის იქნება ენათმეცნიერთათვის ყურადსაღები და ანგარიშგასაწივი.

## სწავლასა და მკვლევარულ საქმიანობაში (ეტიმოლოგია და ფონეტიკა)

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1993 წლის 28  
ოქტომბერს

საქართველოსა და გერმანიის კულტურული ურთიერთობა ხანგრძლივი ტრადიციებითაა ნასაზრდოები. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გერმანელი მოგზაურები, დიპლომატები, წმიდა მამები და მეცნიერები სხვადასხვა მიზნით ჩამოდიოდნენ საქართველოში – კავკასიის ედემად წოდებულ მხარეში და მეტნაკლებად განსხვავებულ ზოგად ცნობებს აწვდიდნენ თანამემამულეებს ამ ქვეყნის ისტორიასა და კულტურაზე.

უძველესი ქართული ენა და დამწერლობა, მისი თვითმყოფადი ლიტერატურა გერმანელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებიდან. მას შემდეგ ამ ქვეყანაში შეუწელებელი ინტერესით წარმოებს ქართველოლოგიური კვლევა-ძიება.

გერმანიაში ქართველოლოგიის მასშტაბურობა და მაღალნაყოფიერება უდავოდაა დაკავშირებული იქაური ქართველების მამულიშვილურ საქმიანობასთან. ამგვარ პატრიოტთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბროფესორი ნიკოლოზ ჯანელიძე (ჯანესი). იგი ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც ბედულ კულმართობამ სამუდამოდ დააშორა მშობლიურ მინა-წყალს და გერმანიაში მოახვედრა.:

დაიბადა 1920 წელს სამტრედიისში. სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ დიპლომის მიღება ვერ მოასწრო – 1941 წელსვე გაიწვიეს ომში. იბრძოდა ქართველთა სასაფლაოდ აღიარებულ ქერჩში. დაიჭრა და ნანილს ჩამოშორდა. მართალია, ამ დროს ნ. ჯანელიძე სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ტყვეობას ვერ ასცდა... იგი მუშად აიყვანა თავის მამულში ერთმა გერმანელმა გლეხმა, რომელიც გულთბილად ეპყრობოდა შრომისმოყვარე ჭაბუკს და ეხმარებოდა გერმანულის დაუფლებაში.

მალე ნ. ჯანელიძემ კეთილი მეპატრონისა და იმხანად გერმანიაში მცხოვრები აკაკი გამსახურდიას დახმარებით თავი დააღწია ტყვეობას და ჩავიდა რომში სახელგანთქმულ ქართველ ემიგრანტ მეცნიერთან, პროფ. მ. თარხნიშვილთან, რომლის ხელმძღვანელობითაც გაიარა ასპირანტურის კურსი და მიიღო ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მონაწილეობა.

ნ. ჯანელიძე რომში დიდხანს არ დარჩენილა. დაბრუნდა გერმანიაში, მოახერხა ქალაქის მეორადი საწარმოს გახსნა, რითაც მოიპოვა მინიმალური საარსებო საშუალება.

1950 წლიდან ნ. ჯანელიძემ მუშაობა დაიწყო ქართული ენის ლექტორად ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში, ასწავლიდა ქართულ ენას რამდენიმე სტუდენტს, მათ შორის იყო დღეისათვის ცნობილი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი.

საუნივერსიტეტო მოღვაწეობის პარალელურად ნ. ჯანელიძე მშობლიური კულტურის პოპულარიზაციის მიზნით მსურველებს ასწავლიდა ქართულ ენას, ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს, ნორჩ გერმანელებს შთამბეჭდავად მოუთხრობდა რადიოთი ქართულ ზღაპრებს...

და ასე თანდათან დაიპყრო უცხოელმა კაცმა გერმანული საზოგადოების გული. ენამახვილი, იუმორით აღსავსე ქართველი ბევრს მოსწონდა, ბევრი უმეგობრდებოდა.

- სადაც კი ფეხი დადგა ბატონმა ნიკომ, ყველას ქართული გამარჯობა ასწავლა, - ამბობდნენ იქაური ქართველები და გერმანელები.

ნ. ჯანელიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ლიტერატურული საქმიანობით გატაცებულმა, ხელმოკლეობის მიუხედავად, დააარსა საკუთარი გამომცემლობა „საქართველო“, სადაც ბეჭდავდა თარგმანებსა და ორიგინალურ ნაწარმოებებს. მათ შორის იყო ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობი“, ნაწყვეტები ი. ჭავჭავაძის მოთხრობებიდან, „ნინო მოციქული“ და სხვ.

1984 წელს ნ. ჯანელიძემ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული პროზაული თარგმანი, რომელიც შესრულებული ჰქონდა მეუღლესთან ერთად. ნიგნს ახლავს კილის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს ჰაინრიხ ნიშანის წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილუ-

ლია ქართველი ხალხის უძველესი კულტურა, მისი თავისთავადობა: „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ქართული კულტურის მწვერვალია. ამასთან ის არის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ქვაკუთხედი და ნიშანსვეტი.

უცხოეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა ნ. ჯანელიძის ნიგნმა „ქართული სამზარეულო“ (იგი რამდენჯერმე გამოიცა), მაგრამ მაინც მისი მოღვაწეობის გვირგვინად მიჩნეულია 1974 წელს გერმანულ ენაზე დასტამბული „ქართული ზღაპრები“. ნიგნის გარეკანს ამშვენებს ლ. გუდიაშვილის ნამუშევარი, ტექსტში ჩართულია ქართულ მოტივზე შესრულებული ილუსტრაციები, ბოლო გვერდებზე კი მოცემულია ცნობები საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნების, ისტორიისა და ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ.

გერმანელმა მკითხველმა გულთბილად მიიღო „ქართული ზღაპრები“. მრავალ რეცენზიასა და გამომხაურებაში წარმოჩენილი იყო ნიგნის ღირსება და მთარგმნელ-გამომცემლის დიდი დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში.

ნ. ჯანელიძემ ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთათვის შეადგინა „გერმანულ-ქართული სასაუბრო“. გერმანულ ენაზე დაბეჭდა და იაკობ გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი „დედაქა“. საგულისხმოა, რომ ნიგნს ახლავს ისტორიული ნარკვევი „არგონავტიბიდან დღევანდელ დღემდე“, საქართველოს რუკა და ქართველი მეფის – ფარნავაზის სურათი.

გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ამსახველი ბევრი საინტერესო ღონისძიებაა დაკავშირებული ნ. ჯანელიძის სახელთან. დავასახელებთ მხოლოდ ორიოდ მაგალითს.

1966 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ნ. ჯანელიძემ ჰამბურგის უნივერსიტეტში მოაწყო საგანგებო გამოფენა და საღამო გამოჩენილი გერმანელი მეცნიერების ერორ ბრაუნის, იულიუს ასფალგის, ბ. შპულერისა და სხვათა მონაწილეობით. იმავე წელს გერმანულ ენაზე გამოსცა ამ ღონისძიებათა ამსახველი მასალების კრებული.

1988 წელს ნ. ჯანელიძემ ქალაქ იტცეჰოეში მოაწყო ქართული ნიგნის დიდი გამოფენა, განსაკუთრებული ამაგი დასდო

საარბრიუკენში ქართული კულტურის დღეების წარმატებას, რისთვისაც მას მიენიჭა ალბერტ შვაიცერის მშვიდობის პრემია.

გასაოცარმა სულიერმა მხნეობამ, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებამ, მოყვასის სიყვარულმა ნ. ჯანელიძეს საყოველთაო აღიარება მოუპოვა უცხოეთში. სახელოვანი მეცნიერის დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით ჰამბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ფიშერ-აპელი მისალოც ბარათში წერდა: „გულითადად გილოცავთ აკადემიური სენატისა და პირადად ჩემი სახელით დაბადების 65 წლისთავს. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და უნივერსიტეტის სახელით მადლობას გიცხადებთ თქვენი მრავალწლიანი მუშაობისა და კვლევისათვის, რომელმაც თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა სტუდენტებს და, საერთოდ, მეცნიერებას, ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეს“.

ნ. ჯანელიძე იყო ქართული კულტურის, ხელოვნების, ენისა და ლიტერატურის, ქართული ყოფის მგზნებარე მოყვარული. უცხოეთში მცხოვრებს არც ბიზნესზე უფიქრია და არც ფულის შოვნაზე. პირიქით, ახლობლების თქმით, კაპიკს კაპიკზე აწებებდა, რომ საკუთარი სახსრებით დაესტამბა ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო შედეგები, რათა უცხოელი მკითხველი ეზიარებინა უძველესი ცივილიზაციის მქონე ჩვენი ხალხის კულტურისათვის.

ჭეშმარიტად ვალმოხდილი წავიდა სასიქადულო მამულიშვილი ამ ქვეყნიდან. 1993 წლის აპრილში გერმანიის მინამ სამუდამოდ მიიბარა ნ. ჯანელიძის ნეშტი.

მადლობით მოგონება გვმართებს იმ ქართველისა, რომელმაც ემიგრანტის სახელით მრავალი წელი გაატარა უცხოეთში და იქვე აღესრულა, მაგრამ არც ერთი დღე არ უცხოვრია საქართველოზე ფიქრის, ქართული კულტურის უანგარო სამსახურისა და მის პოპულარიზაციაზე ზრუნვის გარეშე.

## ანტონ კათალიკოსის ქართული ბრავატიკა და „საბი სტილის“ საბითხი ქართულ ფერკოლაში

წაკითხულია მოხსენებად 1886 წლის 25 ნოემბერს  
ქუთაისის ქართული ენისა და ლიტერატურის სას-  
წავლო-მეთოდური საბჭოს მიერ ჩატარებულ კონ-  
ფერენციაზე, რომელიც მიუძღვნა ანტონ კათალი-  
კოსის დაბადების 275-ე წლისთავს.

ქვემარტივად განუზომელია ანტონ კათალიკოსის ღვაწლი საქართველოს ისტორიაში, იგი იყო არა მხოლოდ სულიერი მოძღვარი ქართველი ერისა, არამედ იმავდროულად ღრმად განსწავლული შემოქმედი – მეცნიერი და პრაქტიკოსი მასწავ-  
ლებელიც. საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსების – ეფრემ მცი-  
რის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, მთანმიდელების ღირსეული მემკვიდრე, ერთი მხრით, როგორც ქართული ეკ-  
ლესიის მეთაური, იღვნოდა ქვეყნის გაძლიერებისა და სულიე-  
რი გადარჩენისათვის, მეორე მხრივ კი, როგორც უდიდესი ერისკაცი, დღენიდაგ ზრუნავდა საქართველოში კულტურულ-  
საგანმანათლებლო საქმიანობის აღდგენა-განვითარებისათვის.

მხოლოდ ანტონ კათალიკოსის მსგავს ადამიანს – გენიოსური ნიჭისა და ენციკლოპედიური განათლების მქონეს – შეეძლო ერთდროულად ყოფილიყო თეოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, ფიზიკოსი, ბუნების-  
მეტყველი, პოეტი და ყველა ამ პროფილის პედაგოგიც კი.

ანტონ კათალიკოსმა სათავე დაუდო ჩვენში სხვადასხვა დარგის მეცნიერულ შესწავლას.

ღირსსაყვანობია ის გარემოება, რომ ანტონ I, როგორც დი-  
დი პედაგოგი, სწავლებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანი-  
ჭებდა სახელმძღვანელოებს. სემინარიაში მათი უქონლობის გა-  
მო პრაქტიკული საჭიროებისათვის თავად ქმნიდა სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოს, რომელთა სახით დღეს ხელთა გვაქვს



მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ამჯერად ჩვენ მოკლედ შევჩერდებით ერთ-ერთ მათგანზე  
- ქართული ენის გრამატიკაზე.

ანტონის აზრით, გრამატიკა სიბრძნის კარია, იგი სწორად ლაპარაკისა და წერის ხელოვნებაა. სიბრძნის სიყვარული კი არ შეიძლება სწორად საუბრისა და წერის გარეშე. ამდენად, ყოველი მოსწავლისათვის გრამატიკის შესწავლაც აუცილებელია. მაგრამ, რადგან ძველი ქართველი ფილოსოფოსების ნაშრომებში არ აღმოჩნდა არც ერთი გრამატიკული წიგნი, ანტონმა გადანყვიტა შეესწავლა ქართული ენის ბუნება და შემდგომ თავად შეექმნა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. ამ მიზნით გაიცნო დიდად განათლებული მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი და მისი დახმარებით საფუძვლიანად ჩასწავდა ქართული ენის რთულსა და სპეციფიკურ ბუნებას, მის მორფოლოგიასა და სინტაქსს და ევროპული გრამატიკების ზოგადი ენობრივი მოდელების გათვალისწინებით კიდევ დაწერა „ქართული გრამატიკა“.

ანტონმა ჩამოაყალიბა ქართული ენის გრამატიკული სისტემა და გამოკვეთა მისი სპეციფიკურობა ევროპულ ენებთან შედარებით. სწორედ ესაა ანტონის უდიდესი დამსახურება ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში, სწორედ ამიტომ სამართლიანად თვლიან მას ქართული ენათმეცნიერების დამწყებად, ფუძემდებლად.

ანტონის გრამატიკის ორი რედაქცია არსებობს: მოკლე და ვრცელი. პირველი დაიწერა 1753 წელს, მეორე კი - 1767 წელს.

„ქართული გრამატიკა“ შედგება წინასიტყვაობისა და სამი ძირითადი ნაწილისაგან. I-II ნაწილში განხილულია მორფოლოგიის საკითხები, მესამეში - სინტაქსისა.

ანტონის მიერ ჩამოყალიბებული დებულებანი საფუძვლად უდევს არა მარტო მომდევნო, არამედ თანამედროვე გრამატიკებსაც. ამათგან თვალსაჩინოებისათვის დავიმონშებთ მხოლოდ ზოგიერთს:

1) გრამატიკის შესასწავლი ობიექტებია ასო, მარცვალი, სიტყვა, წინადადება. ასო უნდა იყოს იმდენი, რამდენიცაა ბგერა.

2) მეტყველების ნაწილებია: სახელი (იგულისხმება არსებითი, რიცხვითი, ზედსართავი - უფ.), ნაცვალსახელი, ზმნა, თანდებული, ზმნიზედა, შორისდებული, კავშირი, მიმღეობა.

3) არსებით სახელს აქვს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები. ქართულში სახელთა ბრუნება ერთგვაროვანია, ე.ი. ევროპული ენებისაგან განსხვავებით ბრუნება ერთია. სახელის ფუძე იკუმშება ან იკვეცება.

4) ქართულს არა აქვს სქესის კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშნები.

5) საზოგადოდ რიცხვი ორგვარია: მხოლობითი და მრავლობითი.

6) ანტონმა პირველმა შეამჩნია, რომ ქართულში ზმნა ყველაზე რთული მეტყველების ნაწილია. მას აქვს რამდენიმე კატეგორია: პირი, რიცხვი, გვარი...

7) ზმნას შეეწყობა პირი, რომელიც გამოიხატება სათანადო ნიშნებით.

8) გვარი სამი სახისაა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. ანტონმა ზმნაში გამოყოფა და ერთმანეთისაგან განასხვავა სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები.

ქართული ენის გრამატიკაში ავტორი ვრცლად მსჯელობს სინტაქსის საკითხებზეც. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ანტონის გრამატიკის მეშვეობით დამკვიდრებული ბევრი ლინგვისტური ტერმინი დღესაც უცვლელად გამოიყენება.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ანტონის განსაცვიფრებელმა ენობრივმა ალლომ და ნიჭიერებამ სასკოლო სახელმძღვანელოდ გამიზნული გრამატიკა აქცია ვრცელ ენათმეცნიერულ ნაშრომად, რომელსაც თანამედროვე ეტაპზე მაღალი შეფასება ეძლევა.

და მაინც, ანტონ კათალიკოსს – პირველი მეცნიერული გრამატიკის ავტორს – მომდევნო თაობებმა ბრალდებად ნაუყენეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება, რაც დაკავშირებული იყო სამი სტილის თეორიასთან.

ცნობილია, რომ მწერლობაში სამი სტილის თეორია სათავეს იღებს ძველი რომიდან, შემდგომ იგი გავრცელდა ევროპი-

სა და აზიის ქვეყნებში. საქართველოში ამ თეორიის პირველ პროპაგანდისტად ითვლება იოანე პეტრინი. XVII-XVIII საუკუნეებში ეს თეორია რუსეთშიც აღორძინდა, რაშიც დიდია მიხ. ლომონოსოვის როლი.

ენ. „სამი სტილი“ გულისხმობს სხვადასხვა სტილის (მაღალი, საშუალო და დაბალი) ენის არსებობას, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ერთიან სალიტერატურო ენას.

XVIII საუკუნეში ჩვენშიც უპირისპირდებოდა ერთმანეთს მკაცრად ნორმირებული, ჩარჩოებში მოქცეული მნიგნობრული ქართული და ცოცხალი სასაუბრო მეტყველება. პირველს ძირითადად იყენებდა სასულიერო მწერლობა, მეორეს – საერო. ე.ი. ბუნებრივად წარმოიშვა ნაირგვარი (სხვადასხვა) სტილის ენა. თავად ანტონი, დიდი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც აღიზარდა იოანე პეტრინის, ეფრემ მცირისა და სხვათა ნაშრომებზე, XVIII საუკუნეში წერდა ამ ფილოსოფოსთა ენობრივი სტილით, რაც ამ დროისათვის ხელოვნური, მძიმე ენის შთაბეჭდილებას ტოვებდა. და ყველაფერი ეს იყო მანამდე, სანამ ანტონი თეორიულად გაეცნობოდა სამი სტილის საკითხს.

დღეს მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ანტონი, მართალია, იცნობდა ზემოაღნიშნულ თეორიას, გრამატიკის პირველ რედაქციაში კიდეც აღუნიშნავს ამის შესახებ, მაგრამ გრამატიკის ბოლო – ვრცელ რედაქციაში საერთოდ აღარ შეუტანია, რადგან თეორიულად მას აღარ იზიარებდაო.

მოხდა ისე, რომ ქართულ მწერლობაში სამი სტილის თეორიის არსებობა ქრონოლოგიურად დაემთხვა ანტონის მოღვაწეობის პერიოდს. და, რადგან ანტონი თავისთავად წერდა ძველი ქართულით – ფილოსოფოსთა კლასიკური ენით, ანტონისეული წერის სტილი განისაზღვრა ენ. „სამი სტილის“ თეორიით, თავად ანტონი კი ჩათვალეს ამ თეორიის დამწერგავად, რასაც დაუკავშირეს სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება. ეს კი იმაში გამოიხატა, რომ სალიტერატურო ენა დაშორდა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, გართულდა მართლწერა...

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი სალიტერატურო ქართულის აღდგენა და

შემდგომი განვითარება დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძის სახელს. და მოგვიანებით, უფრო მკვეთრად რომ წარმოეჩინათ ილიას ღვაწლი ამ ასპექტით, ასევე მკვეთრად გახაზავდნენ ანტონის ენის სირთულეს, მის უარყოფითს გავლენას სალიტერატურო ენის განვითარებაზე... და ასე თანდათან ჩაითვალა ანტონი ახალი სალიტერატურო ქართულის შემფერხებლად.

მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა საფუძვლიანად შეისწავლეს ანტონ კათალიკოსის მეცნიერული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით კი მისი ქართული გრამატიკა, პირველმა ალ. ფოცხიშვილმა გაბედა გაებათილებინა ანტონისადმი წაყენებული ბრალდება. მან დამაჯერებლად აჩვენა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში იოანე პეტრიწის მიერ ანტონამდე იყო დამკვიდრებული ე.წ. სამი სტილის თეორია, რომ ანტონი არ არის მისი არც შემომტანი და არც დამწერგავი. ერთი კი ცხადია, რომ იოანე პეტრიწის გავლენა საერთოდ დიდია ანტონზე, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ანტონის მძიმე ენა. მაგრამ ისე დიდია ანტონ კათალიკოსის, როგორც მეცნიერის, დამსახურება, რომ ენის სირთულე სრულიადაც ვერ ჩრდილავს მის ნაღვანს.

მოგვიანებით გ. ბაბუნაშვილმა, თ. უთურგაიძემ და სხვებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ ანტონის ენამ კი არ შეაფერხა სალიტერატურო ენის განვითარება, პირიქით, თავად ანტონი ცდილობდა XII საუკუნის კლასიკური ქართული დაეკავშირებინა XVIII საუკუნის ქართულთან. რაც შეეხება სამი სტილის თეორიის არსებობას ჩვენს მწერლობაში, ეს უფრო ანტონის მიმდევრების დამსახურებაა, ვიდრე ანტონისაო.

დღეს მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე იღვწოდნენ ანტონ კათალიკოსის ჭეშმარიტი დამსახურების წარმოსაჩენად. მათ არა მარტო გააბათილეს ანტონისადმი წაყენებული ბრალდებანი (სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება ერთი საუკუნით და „ვეფხისტყაოსნის“ ცალების დანვა), არამედ ფართო საზოგადოებისათვის მისანვდომი გახადეს ანტონის მეცნიერული მემკვიდრეობაც. ჩვენი თაობა ვალშია ამ სასიქადულო მამულიშ-

ვილის წინაშე. მაღლობა ღმერთს, რომ ახლა მის ნაშრომებზე დაყრდნობით შეგვიძლია ობიექტურად შევაფასოთ დიდი მეცნიერის შემოქმედებითი საქმიანობა და ასეთი სახით გავაცნოთ იგი მომავალ თაობებსაც. ეს იქნება ჩვენი ადამიანური თუ პროფესიული ვალის მოხდაც იმ კაცის წინაშე, რომელმაც სახელოვნად ატარა სულიერი წინამძღვრისა და ქვეყნის მოჭირნახულე ერისკაცის მძიმე ტვირთი.

## ქართული ენის გრამატიკა იტალიურად

დაიბეჭდა გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ (1997 წელი, №8-9).

საქართველოსა და იტალიის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ჩვენი ენითა და უძველესი დამწერლობით. პირველი ქართული ნიგნიც სწორედ ამ ქვეყანაში დაიბეჭდა.

ღირსსაცნობია ისიც, რომ ქართული ენის პირველი გრამატიკებიც იტალიელმა მისიონერებმა შეადგინეს ჯერ კიდევ XVII საუკუნის I ნახევარში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ დონ ჯაკომო დი სტიფანოს, ანტონიო ჯარდინას, მარიო მაჯოსა და სხვათა ნაშრომები.

ქართული ენისა და კულტურისადმი ინტერესი არ შენელებულა შემდგომ საუკუნეებშიც. ამ ასპექტით განსაკუთრებით ფასეულია ვენეციის, მილანისა და სხვა უნივერსიტეტებში ქართველოლოგიური ცენტრების ნაყოფიერი მოღვაწეობა.

დღეს იტალიაში ბევრი ქართველოლოგია, კიდევ უფრო მეტია საქართველოს ისტორიით, ლიტერატურით, ხელოვნებითა და კულტურით დაინტერესებული. ამიტომაცაა, რომ იტალიაში პრაქტიკულ სასაუბრო ქართულ ენას არაერთი უცხოელი ახალგაზრდა ეუფლება...

და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სამი საუკუნის წინათ შედგენილი გრამატიკები, რომელთაც თავის დროზე მართლაც რომ დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის პოპულარიზაციისათვის მთელს ევროპაშიც კი, თანამედროვე იტალიელს ვეღარ გაუნეცს სათანადო დახმარებას. თანამედროვე უცხოელს რომ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკა სჭირდება, ეს ცხადზე უცხადესი გახდა იტალიელი მეცნიერის ლუიჯი მანტოვანისათვის, რომელიც რამდენიმე წლის წინათ უშუალოდ გაეცნო ქართულ ენას, მოიხიბლა მისი მუსიკალური ჟღერადობით, განსაკუთრებით კი დაინტერესდა ჩვენი ენის მეტად ორიგინალური

სტრუქტურითა და გრამატიკული სისტემით.

ლუიჯი მანტოვანი იტალიელი მღვდელია, სტიმატინების კონგრეგაციის წევრი. დაამთავრა მილანის წმიდა საგალობლების სამუსიკო ინსტიტუტი (პაპის სახელობისა); ცხოვრობს ვერონაში, ასწავლის იტალიურს, ლათინურს, მუსიკას, ისტორიას, გეოგრაფიას ვერონის საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორიც იყო წლების მანძილზე.

მამა ლუიჯი ფლობს რამდენიმე ევროპულ ენას, ზოგ მათგანს მეცნიერულადაც იკვლევს. დაწერილი აქვს საშუალო სკოლებისათვის „იტალიური ენის მკორე გრამატიკა“ (1991 წ.).

მამა ლუიჯი მანტოვანმა ქართული ენის გრამატიკაზე მუშაობა დაიწყო რამდენიმე წლის წინათ. პირველად იგი საფუძვლიანად გაეცნო იტალიელ წინამორბედთა ნაშრომებს, შემდეგ კი – უცხოელთა მიერ შედგენილ ქართული ენის თანამედროვე გრამატიკებს, მაგალითად, პ. არონსონის, პ. ფოგტის, პ. ფეინრიხისა და სხვათა შრომებს. გარდა ამისა, რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს მეცნიერული კონსულტაციებისათვის (ამ ბოლო წლებში მამა ლუიჯი საზაფხულო არდადეგებს ქუთაისში – კათოლიკურ ეკლესიაში ატარებს).

ლუიჯი მანტოვანი საკმაოდ კარგად იცნობს საქართველოს ისტორიულ წარსულს, თანამედროვე ცხოვრებას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, თანდათან სრულყოფს სასაუბრო ქართულს.

წლების მანძილზე ლუიჯი მანტოვანის შესაშური შრომისმოყვარეობის, ფართო განათლების, განსაკუთრებული ენობრივი ალღოს, უცხოელი ქართველოლოგების ნაშრომების გათვალისწინებითა და ქართველი კოლეგების კონსულტაციების შედეგად შეიქმნა საინტერესო ნიგნი „ქართული ენის მკორე გრამატიკა“, რომელიც ახლახან დასტამბა გამოცემლობა "Edizioni Urban"-მა.

ესაა იტალიურად დაწერილი პირველი ნაბეჭდი გრამატიკა ქართული ენისა, განკუთვნილი უცხოელთათვის.

სარეცენზიო ნიგნი ფართო ფორმატის 436 გვერდიანია. შედგება რამდენიმე ნაწილისაგან (შესავალი, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი).

შესავალში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ვითარების

შესახებ. აქვეა წარმოჩენილი ქართული ენის ზოგადი ბუნება, მისი სპეციფიკურობა სხვა ენებთან შედარებით.

ნიგნში საკმაო სისრულითაა დახასიათებული ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, კერძოდ: ბგერითი შედგენილობა, ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა, საგანგებოდაა გამოყოფილი ე.წ. ხმარებიდან გასული ასოები; აქვეა საუბარი ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურებზეც.

ნიგნის ძირითადი ნაწილი მორფოლოგიას ეძღვნება. მოცემულია ბრუნებისა და უღლების პარადიგმატული სისტემები. საგულისხმოა, რომ გრამატიკის ავტორი საგანგებოდ უცხოელი მკითხველისათვის გახაზავს ქართულ ენაში არსებითი სახელის სიმარტივეს სქესის კატეგორიის უქონლობის გამო და, სამაგიეროდ, ზმნის მეტისმეტ სირთულეს.

სწორედ ქართული ზმნის მრავალფეროვნებამ და კატეგორიების სიუხვემ ათქმევინა ლუიჯი მანტოვანის: „ქართული ენა ლამაზია, მაგრამ რთულია“.

მორფოლოგიასთან შედარებით მოკლედაა განხილული სინტაქსის საკითხები, მაგრამ ძირითადად მაინც გამოკვეთილია ქართული ენის მარტივი და რთული წინადადებების სტრუქტურული მხარე და მისი სპეციფიკურობა.

მართალია, ნიგნი დანერვილია იტალიურ ენაზე, მაგრამ თეორიული დებულების საილუსტრაციო მაგალითები, გრამატიკული ტერმინოლოგია წარმოდგენილია ქართულ-იტალიურად. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულია ტრანსკრიფციაც.

ნაშრომი ფასეულია იმითაც, რომ საილუსტრაციო მაგალითები, ძირითადად, შერჩეულია ქართული სინამდვილიდან, რასაც, თავის მხრივ, ზოგადი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს.

ჭეშმარიტად კარგი საჩუქარია იტალიელი მკითხველისათვის მამა ლუიჯი მანტოვანის მიერ შედგენილი „ქართული ენის მცირე გრამატიკა“, რომელიც არის ამავე დროს, ქართველებისა და იტალიელების მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობების კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება.



## ღმთის ნაქრთხი ტალანტი (ბროფესორი არნოლდ ჩიქობავა)

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტი-ში“ 1998 წლის 5 დეკემბერს არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

„ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი! - ბიბლიური სიბრძნეა ამ სიტყვებში. და მაინც ადამიანი მიდის, საქმე – ნამოქმედარი რჩება. ტრადიცია შემდგომადობის გარეშე არ არსებობს“. ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ მეცნიერს არნ. ჩიქობავას, ვისაც მტკიცედ სწამდა ქართველი ხალხის უსაზღვრო შესაძლებლობანი და მომავალი, ვინც მაღალი ინტელექტით განათებული ცხოვრებითა და „საქმე-ნამოქმედარით“ თავადაც კვებავდა ამ რწმენას.

100 წლის წინათ სამეგრელოს ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში, გლეხის ოჯახში, დაიბადა არნოლდ ჩიქობავა. ეკონომიური ხელმოკლეობის გამო საოცრად ნიჭიერმა ბავშვმა მხოლოდ სენაკის ორკლასიანი სკოლის დამთავრება შეძლო... თუ არა განგების სასწაულით მოვლენილი ახალგაზრდა გიმნაზიელის თანადგომა, ალბათ, სოფელშივე დასრულდებოდა არნ. ჩიქობავას საგანმანათლებლო გზა.

გიმნაზიელის დახმარებით დამოუკიდებლად მომზადებულმა ყმანვილმა ჩააბარა შესასვლელი გამოცდები და 1911 წელს ჩაირიცხა ქუთაისის ქართული გიმნაზიის III კლასში.

...იყო კვლავ უსახსრობა, საათობით ფიზიკური შრომა სწავლის ქირის გადასახდელად, მაგრამ უფრო ძლიერი იყო დაუოკებელი წყურვილი განათლებისა.

1917 წელს არნ. ჩიქობავა წარჩინებით ამთავრებს გიმნაზიას და 1918 წელს ხდება ახლადგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილების სტუდენტი. აქ იგი ისმენდა აკ. შანიძის, ივ. ჯავახიშ-

ვილის, გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძისა და სხვათა ლექციებს.

1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ჯარნ. ჩიქობავა აკ. შანიძის წარდგინებით დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1924 წელს მან ჩააბარა სადოქტორო გამოცდები.

1928 წელს არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა „**მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში**“, რომელიც 1929 წელს წარადგინა სადოქტორო დისერტაციად. ეს იყო პირველი დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან. შემონებამ ბრწყინვალედ ჩაიარა. „**მარტივი წინადადების პრობლემა**“ და მისმა საჯაროდ დაცვამ აშკარა გახადა, რომ თბილისის უნივერსიტეტს შესწევს ძალა, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართული მეცნიერების განვითარებაში.

1933 წელს არნ. ჩიქობავა დაამტკიცეს პროფესორად. მისივე ინიციატივით ამავე წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა. პარალელურად სათავეში ჩაუდგა ახლადგახსნილი (1933) პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას ქუთაისში, 1936-1937 წლებში კი განაგებდა გორის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ენათმეცნიერების კათედრას.

1941 წელს არნ. ჩიქობავა დაამტკიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსად, 1950-1963 წლებში იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; 1951-1952 წლებში საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია, 1952-1964 წლებში კი უფროსალ „**Вопросы Языкознания**“-ს რედკოლეგიის წევრი. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე (1985) მისი რედაქტორობით გამოდიოდა „**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი**“.

არნ. ჩიქობავას მეცნიერული მოღვაწეობა თავიდანვე მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: 1) კონკრეტულ ენათა მეცნიერული ანალიზი და 2) ზოგადენათმეცნიერულ პრობლემათა

კვლევა-ძიება. მისი მრავალმხრივი მეცნიერული მემკვიდრეობიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქართველური და კავკასიური ენების საფუძვლიანი შესწავლა.

არნ. ჩიქობავამ მრავალი ფუძემდებლური ნაშრომი მიუძღვნა ქართველურ ენებს, განსაკუთრებით ჭანურს, რითაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა. ამავე დროს თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებამ მოამზადა არაერთი საუკეთესო სპეციალისტი როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიის სამეცნიერო ცენტრებისათვის.

...ძნელია არნ. ჩიქობავას მეცნიერული ნამუშავევის სრულყოფილი აღნუსხვა ცი. და მინც, მის ნაღვანს გვირგვინად ადგას საშვილიშვილო საქმე – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის თავკაცობა. 1945 წლიდან არნ. ჩიქობავა იყო განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე. 1964 წელს მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გასრულდა რვატომეულის გამოცემა, რითაც „ქართულ ენას უკვდავების ძეგლი დაედგა“ (ვ. კუპრაძე).

ქართული ენის ამ ნამდვილი საუნჯის გამოცემამ ფართო გამომხაურება ჰპოვა მსოფლიოს ლინგვისტურ საზოგადოებაში. ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი წერდა: „ეს ლექსიკონი დაიჭერს ღირსეულ ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის და ეს არის ძეგლი აღმართული ენის და მისი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად. და სამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინაც განახორციელა იგი“.

არნ. ჩიქობავამ თავის ერს ძვირფას განძად დაუტოვა 300-ზე მეტი ცალკეული გამოკვლევა, ნიგნებად დასტამბული ათეულობით მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რაც წლების მანძილზე წარმოადგენს ახალი თაობის მეცნიერული წრთობის ჭეშმარიტ საზრდოს.

არნ. ჩიქობავა სიცოცხლეშივე იყო აღიარებული უდიდეს მეცნიერად და თვალსაჩინო მოღვაწედ. მას მინიჭებული ჰქონ-

და საქართველოს, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის, აფხაზეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1951 წელს მიენიჭა ლომონოსოვის სახელობის პრემია, 1960 წელს - ჰუმბოლდტის სახ. ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სამეცნიერო წოდება, 1981 წელს - ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია, 1968 წელს აირჩიეს დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად...

დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, არჩეული გახლდათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს III, IV, V, VI მოწვევის დეპუტატად (აქედან ორჯერ - ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის წარდგინებით, რითაც ინსტიტუტის კოლექტივმა გამოხატა სიყვარული, პატივისცემა და დიდი ნდობა ერის სასიქადულო შვილის მიმართ).

არნ. ჩიქობავა თავისი მეცნიერული საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტთან, ვითარცა ამ ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მესაძირკვე და გამორჩეული მოძღვარი.

მეცნიერების ჭეშმარიტი ქურუმი გახლდათ უაღრესად გულისხმიერი ადამიანიც, კაცი-ლეგენდა, ახალგაზრდობის ქომაგი და დამრიგებელი. მაგალითისათვის დავიმონებთ პროფ. ალ. ჭინჭარაულის მოგონებიდან მხოლოდ ერთ ფაქტს: „არნ. ჩიქობავა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელმოკლე სტუდენტ-ასპირანტებს. ერთხელ ბ-ნმა არნოლდმა მასთან დაიბარა ერთი ცოლშვილიანი ასპირანტი, დროებით უმუშევარი. ესაუბრა და ერთი წიგნი გაატანა - გადაათვალიერე, საჭირო წიგნიაო. ასპირანტმა კიბეებზე ჩამოსვლისას შეამჩნია, რომ წიგნში კონვერტი იდო და შიგ 100 მანეთი იყო. შებრუნდა პროფესორთან - წიგნს ფული გამოჰყოლიაო. ბ-ნ არნოლდს გაელიმა და უთხრა: მაგას სესხად გატანთ; როცა გექნებათ, მაშინ მომეცითო. ჩვენ შემდეგ ავუხსენით ასპირანტს, რომ ამ „სესხის“ დაბრუნებაზე აღარ ეფიქრა“.

ბ-ნი არნოლდი პირველად ვნახე 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენ-

ციაზე. აქვე იყვნენ პროფესორები: აკ. შანიძე, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე და სხვ. მაშინ ჩვენ, სტუდენტებმა, ქუთაისელი ლექტორებისაგან მეტ-ნაკლებად ვიცოდით ამ სახელგანთქმულ მკვლევართა მეცნიერული მიღწევები და პიროვნული თვისებებიც. არნ. ჩიქობავას ახასიათებდნენ როგორც საუკეთესო მეცნიერს, კეთილშობილ პიროვნებას, თუმცა გრძნობების გამოხატვაში თავშეკავებულსა და შედარებით სიტყვაძუნწს, ამავე დროს მეცნიერულ შეფასებაში მკაცრს, მაგრამ ობიექტურს.

...1973 წლის 29 მაისს ენათმეცნიერების ინსტიტუტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. 12 საათისათვის სამეცნიერო საბჭო შეიკრიბა, მობრძანდა ბ-ნი არნოლდიც. ვიცანი და შინაგანად კიდევ უფრო აელედი.

დაცვის დანწყებამდე ჩემდა მოულოდნელად მომიახლოვდა ბ-ნი არნოლდი. საოცარი სითბოთი მკითხა: – თქვენ ბრძანდებით დისერტანტი? შემდეგ დაუმატა: „არ შეგეშინდეთ, თავი ისე წარმოიდგინეთ, ვითომც საკუთარ სტუდენტებს უხსნით ლექციას. მშვიდად იყავით, საშიში არაფერია“, – თქვა და დაიკავა თავისი ადგილი.

ალბათ, ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული წუთები, მომენტები, რომლის მნიშვნელობის სრულყოფილ შეფასებას ვერ ახერხებ, არ შეგიძლია სიტყვებით გამოხატო ის სულიერი განცდა, რასაც იმ დროს შინაგანად გრძნობ. მაშინდელი წუთები ჩემთვის სწორედ ასეთი იყო. თითქოს სადღაც გაქრა სულიერი ფორიაქი, ღელვა... უმაღლესი შეიცვალა ჩემი ადრინდელი წარმოდგენა ბ-ნი არნოლდის „მკაცრ“ პიროვნებაზე. ვიგრძენი, რომ მან, ჭეშმარიტმა პედაგოგმა, იმ სიტუაციაში საჭიროდ მიიჩნია წინასწარ გაემხნევებინა სრულიად უცხო აუდიტორიის წინაშე მდგარი და იქაური სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი დისერტანტი. მართლაც საოცარია ძალა სიტყვისა!

დაცვის პროცესი კარგად წარიმართა. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მომანიჭა ქაძიებელი ხარისხი. ბ-ნი არნოლდი პირველი მოვიდა მოსალაოცად. ხელი ჩამომართვა, ცოტა ხნით შეჩერდა და მითხრა: „მომეწონა თქვენი გამოსვლა. თქვენ მართა-

ლი ხართ II თურმეობითის ნ-ს კვალიფიკაციისა და ქრონოლო-  
გის საკითხში" (მასალებით მიღებული დასკვნა უპირისპირ-  
დებოდა ტრადიციულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებულ თვალ-  
საზრისს გაეკეთებინა/გაეკეთებო ფორმებთან დაკავშირებით).  
კიდევ რამდენიმე თბილი სიტყვა თქვა და ბოლოს ხევსურუ-  
ლად დამლოცა: „ხელ მაგიმართასთ!“

მომავალი თაობების ვალია, პატივისცემით მოიხსენიონ  
სახელოვანი წინაპარი, ნახევარი საუკუნე მტკიცე ბურჯად რომ  
ედგა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას.

## ქართული ენის უახლესი მომავალი მამა ლუიჯი მანტოვანი

დაიბეჭდა გაზეთ „ქართულში“ 1999 წლის  
აპრილის ნომერში.

იტალიაში ქართული კულტურისადმი საუკუნეების წინათ აღმოცენებული განსაკუთრებული ინტერესი დღეს უფრო მასშტაბური ხდება. აქ არა მარტო მეცნიერი ქართველოლოგები იკვლევენ ქართველთა სულიერი ცხოვრების ცალკეულ ასპექტებს, არამედ აშკარად გამოიკვეთა ქართული პრაქტიკული სასაუბრო ენის, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ზოგადი საკითხებით დაინტერესებულთა ფართო წრე.

სწორედ ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტად დასაფასებელია იტალიელი მღვდლის ლუიჯი მანტოვანის ენათმეცნიერული საქმიანობა.

მამა ლუიჯი ვერონიდანაა, სტიმატინების კონგრეგაციის წევრი, იგი ასწავლიდა იტალიურს, ლათინურს, მუსიკას, ისტორიას, გეოგრაფიას ვერონის საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორიც თავად იყო წლების მანძილზე.

მამა ლუიჯი უაღრესად განათლებული პიროვნებაა, ფლობს ევროპულ ენებს, დანერვილი აქვს „იტალიური ენის მკორე გრამატიკა“ (1991). იგი ქართულ ენას გაეცნო რამდენიმე წლის წინ. 1994 წელს ვერონის სტიმატინების კონგრეგაციის გადამწყვეტილებით საქართველოში უნდა გამოეგზავნათ ადგილობრივი კათოლიკე მრევლისათვის მღვდლები ჯუზეპე პაზოტო და გაბრიელე ბრანგანტინი. ამიტომაც წმიდა მამებმა იტალიაშივე დაიწყეს ქართული ენის შესწავლა იმხანად ვერონის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის ლელა ბერიძის დახმარებით. მალე იგი გაიცნო მამა ლუიჯი მანტოვანმაც და შემდეგ მათი ნაცნობობა მეცნიერულ თანამშრომლობაში გადაიზარდა.

მამა ლუიჯი, რომელსაც მომადლებული აქვს განსაკუთრებული ენათმეცნიერული ალლო, იმთავითვე ძალიან მოიხიბლა

რთული, მაგრამ მეტად საინტერესო ქართული ენით და ასე თანდათან გამოიკვეთა მისი ქართველოლოგიური კვლევის გზაც.

მას შემდეგ მამა ლუიჯი გულმოდგინედ და შესაშური ინტერესით შეუდგა ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას: ისმენდა ლ. ბერიძის კონსულტაციებს, საზაფხულო არდადეგებს ატარებდა ქუთაისში (როგორც კათოლიკური ეკლესიის მღვდელი), უშუალოდ აკვირდებოდა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, ზნეჩვეულებებს; ეცნობოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას. გარდა ამისა, მას დიდი დახმარება გაუწია ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომებმა, უცხოელი ქართველოლოგების თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებმა; ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერების მიერ შედგენილმა ენათმეცნიერულმა ნაშრომებმა.

ევროპული ენების ცოდნა მამა ლუიჯის საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვეს ჩვენი ენის ორიგინალურ სტრუქტურაში, ადვილად გამოკვეთოს ქართული ენის სპეციფიკურობა.

წმიდა მამას მიაჩნია, რომ უცხოეთში უფრო უკეთ უნდა იცნობდნენ ამ უმშვენიერეს მხარეს არა მარტო თავისი უძველესი ისტორიული წარსულითა და დღევანდელით, არამედ საოცრად მდიდარი და მუსიკალური ჟღერადობით გამორჩეული ქართული ენით. სწორედ ამ კეთილშობილურმა მიზანმა და ქართველი ხალხის პატივისცემამ შეაქმნევინა მამა ლუიჯის „ქართული ენის მცირე გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1897 წელს იტალიაში.

მამა ლუიჯი შესანიშნავი პრაქტიკოსი პედაგოგიცაა. მან კარგად უწყის ქართული გრამატიკის, განსაკუთრებით ზმნის სისტემის სირთულე და ამიტომ თანამემამულეთა დასახმარებლად, კერძოდ, იმათთვის, „ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს“, შეადგინა და ლ. ბერიძის თანაავტორობით გასულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“, რომელიც ზემოაღნიშნული გრამატიკის უშუალო გაგრძელებაა.

წიგნის სტრუქტურა ასეთია: პირველ ნაწილში მოცემულია კითხვის წესების სავარჯიშოები, მეორე ნაწილი კი ეთმობა გრამატიკული საკითხების სავარჯიშოებს 10 გაკვეთილის მოცულობით.



ნიგნს დანართის სახით ახლავს ქართულ-იტალიური სა-  
საუბრო, ზედსართავი სახელის ანტონიმური წყვილებისა და  
სავარჯიშოებში გამოყენებული სიტყვების ქართულ-იტალიური  
ლექსიკონი.

სარეცენზიო ნიგნი ფასეულია იმითაც, რომ საილუსტრაციო  
მაგალითები ძირითადად შერჩეულია ქართული სინამდვილიდან,  
აქვეა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები, ქართული ხალხური ანდა-  
ზები და წინადადებები ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან.

ეს ნიგნები გულთბილად მიიღო იტალიელმა მკითხველმა.  
ბევრი მათგანი მშობლიურ ენაზე სწორედ ამ გრამატიკებით  
ეზიარა ქართული ენის ხიბლსა და მადლს...

მამა ლუიჯი 1998 წლის შემოდგომიდან უკვე ქუთაისის  
მკვიდრია. იგი წირვა-ლოცვით ემსახურება თავის მრევლს, ქუ-  
თაისელ ახალგაზრდებს უსასყიდლოდ ასწავლის იტალიურ ენას,  
თანვე აგრძელებს მეცნიერულ კვლევას. ამჯერად იგი ინტენსი-  
ურად მუშაობს ვრცელი ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედ-  
გენაზე, დაინტერესებულია, აგრეთვე, ქართველურ ენათა ეტი-  
მოლოგიებით.

აღსრულებოდეს კეთილშობილური მიზნები მამა ლუიჯი  
მანტოვანის – ქართული ენის უანგარო მსახურსა და ქართვე-  
ლი ერის დიდ მეგობარს.

**P.S.**

2000 წლის აპრილში მამა ლუიჯი მოვინვიეთ ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღისადმი მიძ-  
ღენილ საზეიმო ღონისძიებაზე. მან ჩვენი ხალხისა და ქართუ-  
ლი ენის სიყვარული გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

**პატივცემულო რექტორო, პროფესორებო და სტუდენ-  
ტებო!**

**ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ვიმყოფები დედაენის  
დღესასწაულთან დაკავშირებით. მე მჯერა, რომ ეს დღე-  
სასწაული განსაკუთრებულია საქართველოსთვის. ეს თქვე-  
ნი სიამაყეა, რადგანაც მშობლიური ენის სიყვარული ნიშ-**

ნავს საკუთარი სამშობლოს სიყვარულს: მართლაც, ყოველი ენა ხალხის სულის სარკეა და, აგრეთვე, მისი ქვეყნის თითქმის ისტორიული სინთეზი.

მე ძალიან მომწონს თქვენი ენა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი შეხება მასთან (გრამატიკული სახელმძღვანელოს გარეშე) გადაულახავ ბარიერად მეჩვენებოდა.

მას განსაკუთრებით სამი ასპექტის გამო ვაწასებ:

1. ზმნის შედგენილობა, შერწყმული, სინთეტური, ძალიან მდიდარი უხესიგყვაობით; და ბრუნებათა სინტაქსი, რაც ასე მრავალსახოვანია ყოველ დროთა სერიებში. განსხვავებით სხვა ენებისაგან, ქართულ ენაში ზმნის ცოდნა ნიშნავს ენის ნამდვილ ცოდნას.

2. სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც აირეკლავენ ქართული ხალხის მგრძნობიარე და კონკრეტულ ხასიათს. რა მშვენიერია, მაგალითად, ეს სიტყვა: „გულისყური“.

3. წინადადების შედგენილობა: ქართულში, ჩვეულებრივ, მარცხნივაა მიმართული, ზმნასთან შესაბამისად; იტალიურისაგან განსხვავებით, რომელიც მარჯვნივაა მიმართული. ალბათ, იმიტომაც მომწონს, რომ ის მსგავსია ლათინური ენისა, რომელიც მე მიყვარს.

ჩემი დაახლოება ქართულ ენასთან მსახურების სურვილმა განაპირობა, ჯერ პირადად ჩემთვის, ხოლო შემდეგ მათთვის, ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს. დღეს, როცა ეკონომიკური თუ კულტურული მიზეზებით დასავლეთისაკენ გაიხსნა გზა, ბევრი პიროვნება გამოხატავს ამ ენის გაცნობის სურვილს.

აქედან წარმოიშვა ჩემი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელსაც უკვე იცნობთ, და გასული წლის სექტემბერში გამოცემული „ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“, რომლის მიზანია ზემოთ თქმული „გრამატიკის“ თანდათანობით შესწავლაში მოწაფეების გაძღოლა.

ორივე ნაშრომის გამო მოვალე ვარ მადლობა გადაუხადო პედაგოგს თბილისიდან, ლელა ბერიძეს, რომელიც ამჟამად გერმანიაშია, და ასევე ამ უნივერსიტეტის

ლექტორს - ქალბატონ ქუქუნა ფეიქრიშვილს.

დღესდღეობით ვმუშაობ ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე. უკვე დავამუშავე, საბოლოო 15000 (თხუთმეტი ათასი) სიტყვიდან 6000 (ექვსი ათასი) სიტყვა. შემდეგ მას, ღვთის ნებით, მოჰყვება იტალიურ-ქართული ლექსიკონიც.

თქვენ შორის დიდხანს ყოფნით, ვიმედოვნებ, რომ შეეძლებ არა მხოლოდ ქართულად წერას, არამედ ასევე თქვენი ენის გაგებას და თავისუფლად საუბარს. ჯერჯერობით კი მხოლოდ ვბორძიკობ.

მ. ლუიჯი მანჩინი  
L. Luigi. Mancini

წაკითხულია 2000 წლის 26 აპრილის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის მიერ ჩატარებულ საღამოზე, რომელიც მიუძღვნა ამავე კათედრის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნას.

პოეტი ამბობს: „მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ მივაკარო“.

სწორედ ეს ფრაზა მომაგონდა მაშინაც, როცა კათედრაზე გადაწყვიტეთ, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საზეიმო ღონისძიება წელს შეგვეცვალა ჩვენი კათედრის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნის საღამოთი.

ღიახ, ჩვენ, ამქვეყნად „დარჩენილი“ მონათენი, ვალდებულნი ვართ, პატივით მოვიგონოთ ძვირფასი მასწავლებლები, რომ მათს ხსოვნას არ შეეხოს „სიკვდილის ხელი“. და ვიდრე თუნდაც ერთი მომგონებელი ეყოლება მასწავლებელს, იგი ხომ ჭეშმარიტად აგრძელებს სიცოცხლეს.

არიან ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ ცხოვრობენ, მაგრამ უმნიკვლოდ საქმიანობენ და მისაბაძ ნიმუშად იქცევიან თაობებისათვის. სწორედ ამგვარ სპეტაკ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება დავით პავლეს ძე მაჭავარიანი.

დავით მაჭავარიანი დაიბადა 1900 წლის 9 ოქტომბერს ზუგდიდის მაზრაში, გლეხის ოჯახში. 1921 წელს დაამთავრა ზუგდიდის პუმანიტარული ტექნიკუმი, 1928 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი და დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა ჯერ ჩხოროწყუში, შემდეგ ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში.

დ. მაჭავარიანი 1950 წლიდან ქუთაისში გადმოდის და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას აგრძელებს პედაგოგიური

ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ივ სუფიქსის ხმარების ზოგი თავისებურება ძველ ქართულში“.

1979 წელს გავიდა პენსიაში. ერთხანს ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ კი – თბილისში შეიღებთან. გარდაიცვალა 1988 წელს. დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე.

ამ მოკლე ოფიციალური ცნობების მიღმა მოკრძალებით დგას უაღრესად მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, სამაგალითო აღმზრდელი, ქართული ენის უანგარო მსახური.

დ. მაჭავარიანი კითხულობდა ლექციებს ქართული ენის მორფოლოგიაში, უძღვებოდა სპეცკურსებსა და სპეცსემინარებს, ხელმძღვანელობდა პედაგოგიურ პრაქტიკას. მის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებული ლექციები აშკარად ადასტურებდა ლექტორის ფართო ერუდიციასა და განათლებას. იგი განსაკუთრებული ინტერესით იკვლევდა ქართველურ ენებს, რაშიც დიდად ეხმარებოდა მეგრულის საფუძვლიანი ცოდნა.

ბ-ნი დავითი ჩვენს კურსს 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანს ასწავლიდა. იყო პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი. სწორედ მან პირველმა შეგვიყვანა ახალბედა სტუდენტები ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის რთულსა და მეტად საინტერესო სამყაროში.

თავდაპირველად ბ-ნი დავითი ყველას გვეგონა საშინლად მკაცრი, მიუკარებელი, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით, რომ ვცდებოდით.

თურმე გარეგნულად ასე „ცივი“ ლექტორი საოცრად კეთილი და გულთბილი ყოფილა. ნამდვილად უყვარდა ყველა სტუდენტი... არასოდეს არ დაიგვიანებდა ლექციაზე, გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყველგან და ყოველთვის იყო უაღრესად პუნქტუალური. რაც მთავარია, მისი ლექციის თითოეული ნუთი გაჯერებული იყო მხოლოდ ქართული ენით. შეფასებაში გახლდათ პრინციპული, შეუვალი. ვინ გაუბედავდა ბ-ნ დავითს ნიშნის თხოვნას ან სხვა შეღავათს. ბ-ნი დავითისათვის მშობლიური ენა იქცა ცხოვრების კერპად,

ამიტომაც არავის აპატიებდა დედაენისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

მე პირადად ბევრჯერ მიგრძენია ბ-ნი დავითისაგან სიტბო და სიყვარული, უამრავი ტკბილი მოგონება ჩამრჩა ხსოვნაში ჯერ როგორც სტუდენტს და შემდგომ – კათედრის ნევრს. ამჯერად მხოლოდ ორიოდღეზე მოგიტხრობთ.

სტუდენტობისას მე და ჩემი თანაკურსელი გოგონა ერთად ვცხოვრობდით ნაქირავებ ბინაში ინსტიტუტთან ახლოს. მაშინ ჩვენი გათბობისა და საჭმლის მომზადების ერთადერთი საშუალება იყო ძველებური ნავთქურა. ზამთრობით ნავთის ყიდვა ძნელი იყო. საათობით დავეძებდით ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ნავთს; ხანდახან ქუჩაშიც ჩამოატარებდნენ და სპეციალური საყვირით ამცნობდნენ მოსახლეებს. ასეთი რამ იშვიათი იყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დროს ჩამოვიღიდა მენავთე, როცა ჩვენ ლექციები გვექონდა. ლექცის გაცდენა ხომ წარმოუდგენელი იყო...

და აი, ერთხელ, I კურსზე ვიყავით, ბ-ნი დავითის პრაქტიკუმი გვიტარდებოდა 7 ნომერ აუდიტორიაში. მე დაფასთან ვიდექი, წინადადებას ვვარჩევდი. უცბად ჩვენი ბინის ახლოს გაისმა: მენავთის საყვირის ხმა. აწრიალდა მერხზე ჩემი ამხანაგი გოგონა, ჩუმად მანიშნა – რა ექნათო. მეც ძალიან შევწუხდი, ნავთის შეძენის იოლი საშუალება ხელიდან გვეცლებოდა, მაგრამ რას ვიზამდი? დაფასთან გასული კი არა ჩვეულებრივად მერხზე მჯდომი ვინ გაუბედავდა ბ-ნი დავითს გარეთ გაშვებას ან რაიმეს ცხოვნას. მე წინადადების გარჩევას მაინც ვაგრძელებდი, ე.ი. ვლაპარაკობდი, თუმცა გონებაში ისევ ნავთი მიტრიალებდა. ეტყობა ჩემი შინაგანი აფორიაქება სახეზედაც გამომჩნება, რაც ბ-ნი დავითისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა თურმე. იგი დაფასთან ახლოს მოვიდა და ძალიან თბილად მკითხა: რა მოხდა, ხომ არაფერი განუხებს?

ამ მოულოდნელმა სიტბომ და ყურადღებამ მეც ცოტა გამათამამა და მორიდებით ვუპასუხე: მენავთემ ჩამოიარა და ნავთის ყიდვა გვინდა-მეთქი. მაშინვე შემანყვეტინა და მითხრა: ნადი, გაიქეცი და იყიდეო. ეს ყველაფერი ალბათ ერთ წუთში მოხდა. ჩემი ამხანაგები გაოცებულები მოგვჩერებოდნენ, ეგო-

წათ ჩემი სიტყვებისათვის ლექტორისაგან საყვედურს დავიმ-  
სახურებდი. მაგრამ, საბედნიეროდ, მათი შიში არ გამართლდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ეს უბრალო შემთხვევა იყო, მაგ-  
რამ იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ, მთელმა ჯგუფმა, სულ  
სხვა თვალთ შევხედეთ ბ-ნ დავითს და ვიგრძენით, რომ მასში  
უხვად ყოფილა მამობრივი სითბო და სიყვარული.

და მართლაც, ჩვენი ერთობლივი მუშაობის 5 წლის მან-  
ძილზე ყველას გულწრფელად გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი,  
მიუხედავად მისი სიმკაცრისა, გამუდმებული საყვედურებისა,  
შენიშვნებისა და მუქარისაც კი („ბევრი თქვენგანი აქ შემთხვე-  
ვითაა მოხვედრილი... ბევრი დიპლომს ვერ აიღებს“ და ა.შ.).

ბ-ნი დავითისათვის ქართული გრამატიკა ყველაფერი იყო.  
მისი პირუთვნელი ქომაგი და დამცველი მცირეოდენ შეცდომა-  
საც არავის აპატიებდა. სტუდენტებს ყოველთვის გვაფრთხილებდა,  
დაშვებული შეცდომა მაშინვე უნდა გასწორდესო. ეს იყო მისი  
პრინციპული მოთხოვნა. მისმა ამ პრინციპულობამ ერთხელ  
მეც ჩამაყენა უხერხულობაში.

IV კურსზე ვიყავი. ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის მეთო-  
დისტი გახლდათ ბ-ნი დავითი. გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა  
VI კლასში. ახალ მასალად ასახსნელი მქონდა ზმნის ობიექტუ-  
რი პირები და მათი გარჩევის ხერხი. სასკოლო წიგნში ამ  
საკითხზე ეწერა: პირდაპირია ობიექტი, რომელსაც სუბიექტის  
მოქმედება უშუალოდ ეხება. ირიბია ობიექტი, თუ სუბიექტის  
მოქმედება უშუალოდ არ ეხება. წინასწარ შევადგინე გეგმა-  
კონსპექტი, სათანადო მაგალითებიც უხვად დავიმონმე. ბ-ნმა  
დავითმა ყველაფერი შემიმონმა (როგორც ყოველთვის).

...დაიწყო გაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ ჩემი თანა-  
კურსელები, საგნის მასწავლებელი და ბ-ნი დავითი. გაკვეთილი  
ცოცხლად მიმდინარეობდა, მოსწავლეები მონდომებით პა-  
სუხობდნენ. წინა მასალის გამოკითხვით კმაყოფილი გადავედი  
ახალი მასალის ახსნაზე. როგორც წიგნში იყო, პირდაპირი  
ობიექტის განმარტებისას ძირითადი აქცენტი გადავიტანე შინა-  
არსობრივ მხარეზე და დავიწყეთ მაგალითების დასახელება:  
წერს წერილს, აშენებს სახლს... და ამგვარ ზმნებს შინაარსიდან

გამომდინარე მართლაც მექანიკურად მივაყოლე „ეფერება ბავშვს“, თანაც იქვე, წინა მერხზე, მჯდომ ბავშვსაც თვალსაჩინოებისათვის თავზე გადავუსვი ხელი, ე.ი. სუბიექტის მოქმედება უშუალოდ ეხებოდა ობიექტს, რომელიც მე პირდაპირად ჩავთვალე. ამ დროს სრულ სინყნარეში გაისმა ბატონი დავითის ხმა: „ეფერება“ ზმნაში ობიექტი არ არის პირდაპირი! ეს იყო მაშინ ჩემთვის რალაც მოულოდნელი ელდა. საშინლად ავლელდი ამ უნებლიე შეცდომის გამო. თანაც ეს შეცდომა ხმამაღლა გაცხადდა ბ-ნი დავითის მიერ... მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რომ გაკვეთილი უნდა გავაგრძელო.

მართლაც, მოვიკრიბე გონება და გაკვეთილი უშეცდომოდ, ჩვეულებრივ ცოცხალ რიტმში დავამთავრე, თუმცა დარჩენილ წუთებში ბ-ნი დავითისაკენ სირცხვილით არ გამიხედავს. კიდევ უფრო ვნერვიულობდი გაკვეთილის გარჩევის დროს. ჩემი სიტყვა ასე დავინყე: იმ შეცდომის შემდეგ მე ველარაფერს ვიტყვი... და ბ-ნმა დავითმა უცებ შემანყვეტინა: იმ შეცდომის შესახებ აღარ გაიმეორო, იქ არაფერი მომხდარა. ახლა შენ ისაუბრე გაკვეთილის მიზანზე, მსვლელობაზე... საბოლოოდ ბ-ნმა დავითმა დეტალურად გაარჩია გაკვეთილის ყველა მომენტი და ფრიადი შეფასებაც დამინერა. თუმცა იმ დღეს მეც და ჩემი ამხანაგებიც ერთგვარად გულდანყვეტილებიც ვიყავით: ხომ შეიძლებოდა ბ-ნი დავითს ხმამაღლა, კლასის გასაგონად არ გამოეცხადებინა ეს შეცდომა, ხომ შეიძლებოდა ნერვიულობის გამო პრაქტიკანტს გაკვეთილი კარგად ველარ გაეგრძელებინა და ა.შ.

ბ-ნი დავითი ასეთ საქმეში იმდენად პრინციპული და შეუვალი იყო, რომ სხვაგვარად ნამდვილად ვერ მოიქცეოდა!

მას შემდეგ 36 წელი გავიდა და, როცა ამ მასალას ვხსნი, ყოველთვის მაგონდება ჩემი ლექტორი, ის გაკვეთილი და იმ შეცდომის მიზეზიც. ზოგჯერ სტუდენტებს კიდევ ვუყვები ჩემს „თავგადასავალს“ და ვაფრთხილებ, ობიექტების გარჩევის ძირითად საშუალებად გამოიყენონ ფორმა და არა სემანტიკა.

მოსაგონარი ბ-ნი დავითის შესახებ კიდევ ბევრია... ამჯერად მთელ მის ცხოვრებასა და ღვანლს მოკლედ ასე შევაჯამებდი: დავით მაჭავარიანი, ფუტკარივით მოუღლეელი ლექტორი, თავის



საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული მასწავლებელი, დაკვირვებული მკვლევარი, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა მუდამ იქნება ფასეული ქართულ ლინგვისტიკაში; ეს საოცრად თავმდაბალი, მაგრამ მაღალი სულის მქონე ჩუმი და უპერეტენზიო მუშაკი 52 წლის მანძილზე უმნიკვლოდ ემსახურებოდა მშობლიურ ენას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას, 52 წელი ერთგულად ეწეოდა მოძღვრის მძიმე, მაგრამ საპატიო ჭაპანს.

დღეს რომ ჩვენს ქალაქსა და სხვა რეგიონს ჰყავს ქართული ენის ბევრი საუკეთესო მასწავლებელი, შემოქმედი და ახლის მაძიებელი პედაგოგი, ამაში ხომ უდავოდ დიდი წვლილი ბ-ნ დავითს მიუძღვის, რადგან იგი პირველი უკვალავდა გზას ახალბედა სტუდენტს მეცნიერული ცოდნისაკენ.

დღეს რომ სიტყვიერების მასწავლებლები შემართებით იღვნიან დედაენის სინმინდისათვის, მათ ამ ძნელ გზაზე უსათუოდ დიდ ძალას ჰმატებთ ბ-ნი დავითისაგან ანდერძივით გადმოცემული საქმისადმი ერთგულება, პირდაპირობა და შეუვალობა, სისპეტაკე და მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარული.

დღეს რომ ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ერთგულად ემსახურება ეროვნულ საქმეს, ამაშიც მაგალითის მიმცემად მუდამ ეყოლებათ ამაგდარი მასწავლებელი, ოსტატი, ვისი პედაგოგიური ხელოვნებაც სიცოცხლის ბოლომდე იქნება სულიერი საზრდო შეგირდისათვის.

## დოკუმენტ ოთარ დეისაძის ხსოვნას

წაკითხულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წლის 26 აპრილს ქართული ენის კათედრის მიერ ჩატარებულ საღამოზე, რომელიც მიუძღვნა ამავე კათედრის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნას.

დოც. ოთარ გრიგოლის ძე დეისაძე დაიბადა 1926 წელს ქუთაისში. 1948 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით, ამჟღავნებდა ქართული ენის საფუძვლიან ცოდნასა და მეცნიერული კვლევის ინტერესს. იმთავითვე ჩანდა, რომ იგი ფლობდა რთული ენობრივი პრობლემების ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარს. მისი მსჯელობა იყო თანმიმდევრული, დახვეწილი და უტყუარ არგუმენტაციაზე დაყრდნობილი. მაგრამ, სამწუხაროდ, თავად ნაკლებად უფროთხილდებოდა ამ დიდ შესაძლებლობას და, თუ არა მისი მასწავლებლის ქეთევან ძონენიძის უდიდესი ძალისხმევა, ალბათ, იგი ვერ შექმნიდა იმ მნიშვნელოვან გამოკვლევებს, რომლებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი და გაზიარებულია.

მოგეხსენებათ, რომ ქ-ნ ქეთევანს სხვა სიკეთესთან ერთად მომადლებული ჰქონდა უნარი სხვათა ნიჭიერების შეცნობის და აღიარებისა. იგი აღფრთოვანებული, გულწრფელი სიხარულით ამოუდგებოდა გვერდით ახალგაზრდას და ყოველნაირად უწყობდა ხელს შემოქმედებითი ნიჭის მთელი სისრულით გამოვლენაში. ამიტომ იყო, რომ ბ-ნი ოთარი კათედრაზე დატოვა სამუშაოდ ჯერ ლაბორანტად, შემდეგ – მასწავლებლად.

ოთარ დეისაძემ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის გვარი და მისი სწავლება“. სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტიებმა. შემდგომში დაინყო მუშაობა მონოგრაფიაზე, რომელიც ითვალის-

წინებდა ზმნის ძირითადი კატეგორიების სწავლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაასრულა იგი. გარდაიცვალა 1985 წელს.

ოთ. დეისაძე 1977-1984 წლებში იყო ქართული ენის კათედრის გამგე.

კითხულობდა ლექციებს ქართული ენის გარმატიკაში, სალიტერატურო ენის ისტორიაში, ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. ვისაც ბ-ნი ოთარის ლექცია მოუსმენია, დაგვეთანხმება, რომ მისი ლექციებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი მეცნიერული დონე; ნათელი, დახვეწილი სტილი, ლოგიკური მსჯელობა; ჰქონდა საოცარი ენობრივი ალლო, ღვთისაგან მომადლებული ნიჭი და ნათელი გონება. ნამდვილი მეთოდისტი მასწავლებელი გახლდათ.

ბ-ნი ოთარი ჩვენს კურსს მეთოდოლოგიას ასწავლიდა. მისი ლექციები, მართლაც მძივივით ასხმული, თანმიმდევრული და ადვილად მისაწვდომი იყო.

ოთ. დეისაძე ცოტა თავისებური ხასიათისა გახლდათ, ურთიერთობაში ზოგჯერ სიფიცხესაც ავლენდა, მაგრამ იცოდა სხვისი შრომის დაფასებაც და აღიარებაც. ამა თუ იმ პრობლემებზე მსჯელობისას კათედრის წევრთა აზრსაც ხშირად იზიარებდა და ითვალისწინებდა.

...ბედნიერია ის მასწავლებელი, რომლის ლექციებს წლების შემდეგაც სიამოვნებით მოიგონებენ მოსწავლეები და მათი ხელახალი მოსმენის სურვილსაც გამოთქვამენ. სწორედ ამგვარ მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნება ბ-ნი ოთარი, ხოლო მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის იქნება ფასეული ქართულ ლინგვისტიკაში.

## პროფესორ პოლიკარპე ჯაჯანიძის ცხოვრება და ღვაწლი

წაკითხულია მოხსენებად 2000 წლის 25 სექტემბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2. ჯაჯანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. პოლიკარპე პარმენის ძე ჯაჯანიძე დაიბადა 1910 წლის 28 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში. იქვე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა, 1930 წელს კი წარჩინებით დაასრულა ქუთაისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ანარიის საბჭოთა მეურნეობაში დირექტორის მოადგილედ.

1932 წლიდან იგი იცვლის პროფესიას და იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. 1933 წელს სწავლას აგრძელებს ქუთაისში ახლადგახსნილი პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1937 წელს. მაშინვე ქართული ენის კათედრისაგან აღიძრა შუამდგომლობა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა პ. ჯაჯანიძე ჩაერიცხათ ასპირანტურაში ქართული ენის განხრით. იმავე წლის სექტემბერში გახდა პ. ჯაჯანიძე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი. მის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ენათმეცნიერები: აკ. შანიძე და ვ. თოფურია ქართულ ენასა და დიალექტოლოგიაში, არნ. ჩიქობავა – ზოგად ენათმეცნიერებაში, გ. ახვლედიანი – ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში.

საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ასპირანტთა საფუძვლიან მომზადებას. ამიტომ იყო, რომ 1938 წლის გაზაფხულზე ცოდნის გაღრმავების მიზნით ასპირანტები: პ. ჯაჯანიძე, ქ. ძონენიძე და ანტ. კიზირია

მიავლინეს ჯერ სარატოვში, შემდეგ – ლენინგრადში.

მომდევნო წელს აკ. შანიძემ ისინი გადაიყვანა, თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე, ასპირანტურის სრული კურსის გასავლელად.

პ. ჯაჯანიძე 1940 წელს ამთავრებს ასპირანტურას და მუშაობას იწყებს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ იქ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან 1941 წელს, სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში 414-ე წითელდროშოვანი დივიზიის 1375-ე ლეგიონის მეთაურის მოადგილედ. მისი საბრძოლო დამსახურება მრავალგზის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით: წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, კავკასიის დაცვისათვის, კენიგსბერგის აღებისათვის.

პ. ჯაჯანიძე 1946 წელს დაუბრუნდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს და დაიწყო მუშაობა ქართული ენის კათედრაზე უფროს მასწავლებლად; 1947 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის უცხოურ ენათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, 1952-1955 წლებში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა.

1969 წლიდან სათავეში ჩაუდგა ქართული ენის კათედრას, რომელსაც განაგებდა 1977 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე.

ასეთი იყო პროფ. პ. ჯაჯანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ოფიციალური ქრონიკა.

ბ-ნი პოლიკარპე გახლდათ თვალსაჩინო მეცნიერი და საუკეთესო მასწავლებელი, რომელსაც შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე ამშვენებდა უდიდესი შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება და ახალგაზრდობის სიყვარული.

მრავალმხრივია მისი მეცნიერული მოღვაწეობის სფერო: ერთნაირი ინტერესით იკვლევდა ძველი და ახალი ქართულის გრამატიკას, დიალექტებსა და ტოპონიმიკას, უძველეს ხელნაწერ ტექსტებს. იგი ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. მათში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი და, შენაშაბამისად, გამოტანილია სანდო და ფასეული დასკვნები.

ბ-ნი პოლიკარპე ჯერ კიდევ სტუდენტობიდან განსაკუთრებით დაინტერესდა ძველი ქართულით. ამიტომ იყო, რომ შემდგომ აკ. შანიძის ხელმძღვანელობით საკვალიფიკაციო თემად შერჩეულ იქნა საკითხი „ზნათა ბირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი აღთქმის წიგნის ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით“. სწორედ ამ ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე პ. ჯაჯანიძეს 1952 წელს მიენიჭა ფილ. მეცნ. კანდიდატის ხარისხი. ამავე პერიოდში გამოსაქვეყნებლად მოამზადა პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერის „სინური მრავალთავის“ სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა საძიებელი, სიმფონია ლექსიკონი. („სინური მრავალთავი“ გამოქვეყნდა 1959 წელს აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით); შეადგინა აგრეთვე „მოციქულთა საქმის“ სიმფონია ლექსიკონი.

პროფ. პ. ჯაჯანიძე არ იყო მხოლოდ ერთი პროფილის მკვლევარი. იგი ჩვეული გულმოდგინებით სწავლობდა დასავლურ დიალექტებსაც. მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს: „ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი“, „მასალები იმერულის ლექსიკონისათვის“, „წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები“ და ა.შ. მაგრამ მაინც მეცნიერისათვის უმთავრეს მიზნად იქცა გურულისა და აჭარულის თავისებურებათა შესწავლა.

ბ-ნი პოლიკარპე წლების მანძილზე მართლაც დაუღალავად, მუხლჩაუხრელად აგროვებდა გურიასა და აჭარაში დიალექტოლოგიურ მასალებს, სოფელ-სოფელ იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და გამოწვლილვით იკვლევდა მათ, რათა მთელი სისრულით დაედგინა გურული დიალექტის თავისებურებანი აჭარულთან მიმართებაში. სწორედ ამ ნაშრომთა საფუძველზე მოამზადა ვრცელი მონოგრაფია სათაურით **გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში**, რომელიც 1971 წელს წარადგინა საპაექროდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს, ავტორს კი მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვრცელ მონოგრაფია-გამოკ-

ვლევას დამატების სახით ერთვის ტექსტები და სალექსიკონო მასალა, რომლებიც 1977 წელს გამოქვეყნდა ცალკე ნიგნად სახელწოდებით „გურული დიალექტი“.

სიცოცხლის ბოლო წლებში საფუძვლიანად იკვლევდა გელათური ხელნაწერების ენას და გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც. სპეციალისტებისათვის საინტერესო და ფასეულია პროფ. პ. ჯაჯანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელმაც სათანადო წვლილი შეიტანა ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში.

საყურადღებო გამოკვლევებითა და რესპუბლიკურ კონფერენციებზე საჯარო გამოსვლებით ბ-ნი პოლიკარპეს ქართველ ლინგვისტთა წრეში იცნობდნენ როგორც დაკვირვებულ მკვლევარსა და ქართული ენის უანგარო მსახურს. იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ქართული ენის სამეცნიერო საბჭოს წევრი, დიალექტოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციის წევრი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოების წევრი.

ბატონმა პოლიკარპემ, ფუტკარივით მშრომელმა და მოუღლებელმა მკვლევარმა, მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. ამ ნაშრომთაგან ბევრი დაბეჭდილია, ბევრიც გამზადებული ჰქონდა სასტამბოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად ავტორმა ვერ მოასწრო მათი ნიგნებად გამოცემა.

პროფ. პ. ჯაჯანიძე გახლდათ არა მარტო თვალსაჩინო მეცნიერი, არამედ კარგი პედაგოგიც. იგი კითხულობდა ლექციებს ენათმეცნიერებასა და ძველ ქართულში, ხელმძღვანელობდა პედაგოგიურ პრაქტიკას.

ბ-ნი პოლიკარპეს ყოველი ლექცია მართლაც გამოირჩეოდა აკადემიურობით, მაღალი მეცნიერული დონით, ლოგიკურობითა და დახვეწილობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, მისი ლექცია-პრაქტიკუმები იყო მეცნიერებაში ახლის ძიების ჩვევათა გამომუშავების საუკეთესო საშუალება. ამა თუ იმ საკითხის ახსნისას ბ-ნი პოლიკარპე

ჯერ გვაცნობდა სხვა მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც იმ დროს ჩვენთვის ნაკლებ ხელმისაწვდომი იყო, შემდეგ საკუთარ თვალსაზრისსაც შემოგვთავაზებდა და ბოლოს ჩვენგანაც მოითხოვდა შეძლებისდაგვარად გარკვეული დასკვნის გამოტანას.

ამ მხრივაც დიდად დავალებული ვართ ბ-ნი პოლიკარპესაგან, რამდენადაც შემდგომში ჩვენს მუშაობას საფუძვლად დაედო მისი პედაგოგიური მეთოდები და სალექციო სტილი. ეს ხომ მასწავლებლის უდავო გამარჯვებაა.

მოგეხსენებათ, რომ ბ-ნი პოლიკარპე გახლდათ შესანიშნავი ქართული ოჯახის უფროსი, საუკეთესო მამა ქალ-ვაჟისა, საყვარელი ბაბუა შვილიშვილებისა, რომლებიც სათუთად უვლიან და უფრთხილდებიან მამის მეცნიერულ ნაღვანს, ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს და პატივს მიაგებენ მშობლების ნათელ ხსოვნას.

ჩვენ კი, ყოფილ სტუდენტებსა და კოლეგებს, მუდამ დაგვრჩება მისაბამ მაგალითად მასწავლებლის შესაშური შრომისმოყვარეობა, მეცნიერული კვლევისას პუნქტუალობა და სიფრთხილე, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება, ადამიანური სითბო და სიყვარული.



## ჯანსუღ ღვინჯილია — ეროვნული სულიერების დიდი ქომაგი

დაიბეჭდა გაზეთ „ქართულში“ 2001 წელს (შემოკლებით).

ახლახან სრულიად საქართველომ უდიდესი გულსტიკვილით გააცვილა ზეციური საუფლოსაკენ თავისი ღირსეული შვილი, თვალსაჩინო მწერალი და კრიტიკოსი, ეროვნული სულიერების დიდი მესაიდუმლე და ქომაგი, საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ერისკაცი ჯანსუღ ღვინჯილია.

ბ-ნი ჯანსუღის ნიჭიერება თითქმის თანაბრად სწვდებოდა ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს. იგი ერთნაირი გატაცებით, ჩვეული სიღინჯითა და მოვლენების სირღმისეულ ნვდომა-გააზრებით იკვლევდა საქართველოს გმირულ ისტორიასა თუ შეჭირვებულ დღევანდელობას, სიტყვაკაზმული მწერლობის მრავალსაუკუნოვან გზას... უსაზღვროდ ნუხდა ქართველი კაცის ამჟამინდელ, მიძინებულ, პასიურ ყოფაზე. გულსტიკვილით მიუთითებდა განსაკუთრებით ეროვნული ცნობიერების შესუსტება-დაქვეითებაზე. მაგრამ ყოველთვის იმედიანი თვალით უყურებდა მომავალს; სწამდა, რომ მშობლიური ენა — ეს დედაძარღვი ქართველობისა, მამული და სარწმუნოება კვლავაც შეძლებენ ქართველი ერის დაუბერებელი შინაგანი ენერგიის სასიკეთოდ გამოვლენას, კვლავაც აღორძინდება ქართული გენი.

ჯანსუღ ღვინჯილია — პრინციპული და პირუთენელი შემფასებელი ყოველთვის გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა ისეთი ნაშრომების გამოქვეყნებას, რომლებიც ეროვნული ცნობიერების გაღვიძებასა და ქართველი კაცის სულიერ ამაღლებას ემსახურებოდა. სწორედ ამგვარი სიტბოთი და სიყვარულითაა დანერვილი 6 წლის წინ მისი ერთი მოკლე საგაზეთო სტატია, რომელიც ეძღვნება პროფესორ შუშანა ფუტყარაძის მართლაც

შესანიშნავ ნიგნს „ჩვენებურების ქართული“ და რომლითაც ბნმა ჯანსულმა ლამაზად გაახშიანა პირადად ჩემი გულისთქმა ამ ნიგნზე და მადლიერება ავტორის მიმართ.

ამ ნიგნის გაქსიობას გულგრილად ვერ შეძლებ. რამდენ-გზის ნაგვიკითხავს „საქართველოს ისტორიის“ ფურცლებზე - „არც ერთ აგრესიოს არ მოუყენებია საქართველოსთვის იმო-დენა ზარალი, რამდენიც“... რომელი ერთი უნდა ვახსენიოთ. ამ ნიგნის მიხედვით უი ვიგებთ, რომ „არცერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მოუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) უთხებებისათვის, რაც მუჭაჯირობამ მოუყვანა“. მუჭაჯირობა არაბული სიყვავა და ემიგრანტს ნიშნავს, ხოლო, ემიგრან-ცი რასაც ნიშნავს, უარგად იკის ევროპულ განათლებას ზი-რებულმა მუითხველმა. მუჭაჯირობის გზით მოყვანილი უნდურება დაიწყო მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში და მთელი საუკუნე გაგრძელდა. დაიწალა ძირძველი საქარ-თველი ქართული მოსახლეობისაგან. ერთი ციფრიც უმარს საილუსტრაციოდ: მარცხი ქობულეთში, საარქივო მასალების მოხავემებით, 1879 წლის გასახლების შემდგომ არი ათ-სი მცხოვრებიდან ხუთასილც დარჩა. როგორც იყვინან, - უო-მენწარი ზედმეწა - უნდურება აუნერელოა, ზარალი - გა-ნუსაბღვრელი. მაგრამ დიდი ჰოეწი იყვინს - „არ შეიძლება მოყვდეს ლამაზი არსი ჩვენი უაქობისა“ - საქართველოც არ მოყვდა, არ მოყვდა გასახლების შემდეგ. ნიმუშად წინ გვიდევს ნიგნი „ჩვენებურების ქართული“. ავწორი განლავთ ქალბაწონი შუშანა ფუწყარაძე. ნიგნი გამოსცა ას-ლან ანაშიძის ფონდმა. ნიგნში წვრილადაა მოთხრობილი საქართველოსთვის თავსდაწეხილ უნდურებანზე და იმა-ზეც, თუ როგორ შეინარჩუნა ქართველმა ქაირველობა უცხოეთში.

ჩვენ ამ ნიგნის გამოსვლა ეროვნული ცნობიერების გასხივოსნებად მიგვარჩინა. დიახ, ღრმად გაჯერებული ეროვნული სულისხვეითების გარეშე ასეთი საქმის გასრუ-

ლებს ვერ მოხერხდებოდა. იგი წარმართავდა ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ქ-ნ შუშანა ფუცყარაძის დაუტოვებელ ლაშქრობებს უცხოეთში და იქ მასალების მოპოვებას. ეს სულს უვითებდა განაპირობებდა ამ საქმის დაფინანსებას და ბოლოს - წიგნის გამოცემის რთულ საქმეს - და ყოველივე დასრულდა წარმატებით.

წიგნში წარმოიჩენილია ჩვენი მრავალწინაული სალხის ცუდიველი, რაც მან გადაიწანა სამშობლოდან გადასვენის შემდგომ, ამასთან, მისი დაუცხრომელი სწრაფვა — საღვთის, ანსებობის რომელიღაც უნაყოფოში, გადაენახა თავისი თავისთავადობა, ენა, სულ სსიძებოდა თავისი წარსული და დიდი სამშობლო-მემტევეთი, მოჭფერებოდა მას. ამ ამბების მიმართ გულგრილი ვერ იქნები.

შეიძინა თავი შენი! ყოველ ქართველს ჭგონია, უარგად ივის საუთოარი ქვეყნის ისჯორია. სინამდვილეში ირუვევა, რომ ცოცხამ ივის, უმრავლესობას უი ნათელი წარმოადგენს არ აქვს თავისი ქვეყნის წარსულზე.

ნათელი წარმოადგენს რომ შეგვექმნას, ისეთი წიგნები უნდა ვიკითხოთ, როგორცდაც გვევლინება შუშანა ფუცყარაძის „ჩვენებურების ქართული“. იგი გაზიარებო ჩვენს საერთო ერიოვნულ ცუივილს, მოგანვდიო მრავალ ძვირფას ინფორმაციას და აგავსებო საქართველოს საზღვრებს გარეთ გაბნეული ქართველობის მიახლოებისა და მოფერების სურვილით.

ჯანსულ ღვინჯილია ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ტრფიალი გახლდათ. იგი ყოველ ფრაზას სათუთად ელოლიავენბოდა, ხვენდა, არუქურთმებდა, ცდილობდა ღრმა აზრისათვის სიტყვიერი სამოსიც მოხდენილი შეერჩია. ამასაც ადვილად ახერხებდა...

ერთი მხრით, ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკური მარაგის საფუძელიანმა ცოდნამ და, მეორე მხრით, სიტყვიანარმოების შემოქმედებითმა ალლომ, ჭაბუკობიდანვე უხვად რომ იყო მასში მომადლებული, ავტორს შესაძლებლობა მისცა შეექმნა მდი-

დარი ლიტერატურული თუ მეცნიერული მემკვიდრეობა – პირველხარისხოვანი მხატვრული თხზულებანი თუ ისტორიული ნარკვევები, რომელთა ენობრივი მხარეც ისევე ფასეულია, როგორც ამ შრომებში გაანალიზებული პრობლემატიკა. ყოველივე ამის შესახებ კარგად მოეხსენება ქართველ საზოგადოებრიობას, ფართო მკითხველსაც...

ამჯერად მინდა გავიხსენო ჯ. ლვინჯილიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი ადრინდელი ეპიზოდი.

ჯანსულს სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდით. იგი ერთი კურსით წინ იყო, მისი მეუღლე ნანა ახობაძე კი ჩემი თანაკურსელი და მეგობარი გახლავთ. ამიტომ ჩვენც მალე დავმეგობრდით.

ჯანსული მთელს ინსტიტუტში ცნობილი იყო, როგორც უნიჭიერესი სტუდენტი, პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული და თავადაც ახალბედა პოეტი. ის იყო ჭაბუკი, რომელშიც იმავდროულად მომეტებულად იგრძნობოდა აზროვნების ისეთი ფილოსოფიური სიღრმე, რაც იმ ასაკისათვის ჩვენ მაშინ ცოტა უცნაურადაც გვეჩვენებოდა.

ყოველთვის ტკბილად მომაგონდება ჩვენი სტუდენტური წლები. ხშირად ვიკრიბებოდით ერთად. ჯანსულის წყალობით, ჩვენს სამეგობრო წრეს ლიტერატურულ სალონს ვეძახდით... ჯანსული გატაცებით გვიკითხავდა საკუთარსა თუ სხვათა ლექსებს. განსაკუთრებით უყვარდა ტატოს, გალაკტიონის, ლეონიძის პოეზია, აღმერთებდა ვაჟას, კ. გამსახურდიას... ზეპირად იცოდა არა მარტო ლექსები, არამედ პოემები და მოზრდილი ნაწყვეტები პროზაული ნაწერებიდანაც კი. მონუსხულები ვუსმენდით საოცარი გრძნობით წარმოთქმულ სიტყვებს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“... „მარჯვენას არ სჭრის მუცალსა“ „დღეს 32 წელი შემისრულდა...“ „გულზვიადიც ვიყავი და მშიშარაც... მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მილაღატნია...“

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯანსული მართლა იწვოდა პოეზიის სიყვარულით. სიტყვაკაზმული მწერლობა და საქართველოს ისტორია მისთვის ყველაფერი იყო. ეს მუხტი ადვილად გადაეცემოდა მის ირგვლივ მყოფებს, განსა-

კუთრებით პედინსტიტუტის ახალგაზრდა შემოქმედთა წრის წევრებს. სწორედ ეს წრე ჯანსულის ხელმძღვანელობით მაშინ იქცა პოეტურ სიტყვას „შეჭიდებული“ ჭაბუკებისა და გოგონების შემოქმედებითი წრთობის სამჭედლოდ. ჯანსული ცდილობდა დაესტამბათ ლიტერატურული კრებული (ჟურნალი) მაგრამ იმ დროს ფინანსური უსახსრობის გამო ეს არ ხერხდებოდა. ბოლოს გადანყვიტა გამოეცათ ხელნაწერი ალმანახი სახელწოდებით „ლირა“. ახალგაზრდები ამ აზრს მონონებითა და სიხარულით შეხედნენ. ჟურნალის რედაქტორობა თავად ჯანსულმა იკისრა. მანვე განსაზღვრა ალმანახის სტრუქტურა (პოეზია, პროზა, თარგმანები, წერილები); ყველა მასალა ნაიკითხა, ავტორებთან შეთანხმებით გარკვეული შენსორებებიც შეიტანა და საბოლოოდ შემონმებული გადასაწერად მე გადმომცა.

ეს დავალება მეც სიამოვნებით მივიღე და დაახლოებით 260 გვერდიანი (დიდი ფორმატის) ჟურნალი, შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი, რამდენიმე კვირაში მზად მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინვე ვერ მოხერხდა ხელნაწერი ნიგნის მხატვრული გაფორმება. ჯერ იყო და ჯანსულს სახელმწიფო გამოცდები დაეწყო, მერე სამუშაოდ გაანაწილეს ვანის რაიონის რომელიღაც უკიდურეს სოფელში და ამიტომაც მან ფიზიკურად ვერ შეძლო ენთუზიაზმით დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ეს მოხდა 1964 წელს.

მას შემდეგ, წლების განმავლობაში, ალმანახი პირვანდელი სახით ინახებოდა ჩემთან. მისი ბედი ჯანსულსაც ძალიან აწუხებდა და, რადგან უფრო მოგვიანებითაც ტექნიკური მიზეზების გამო (ყველა ავტორთან დაკავშირება ვერ შეეძლით, რომ ზოგიერთი სათაური მაინც დაგვეზუსტებინა...) შეუძლებელი ხდებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით ჟურნალის სრულყოფილი გაფორმება, ამიტომაც თავად ჯანსულმა მართებულად ჩათვალა, მასალები დარჩენილიყო ქუთაისის პედინსტიტუტში, სადაც დაიბადა ამ კარგი საქმის აღსრულების იდეა.

1992 წელს ჟურნალი „ლირა“ გადავეცი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა შემოქმედთა წრის ხელმძღვანელს ლუკა დვალიშვილს, 2000 წელს კი ალმანახმა

საბოლოო ბინა დაიდო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, როგორც იმდროინდელ სტუდენტთა საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტი. ღირსსაცნობია ისიც, რომ წიგნში წარმოდგენილი ბევრი ავტორი დღეს საქართველოში ცნობილი პოეტი, ლიტერატორი თუ საზოგადო მოღვაწეა (ალმანახი მე თვითონ გადავეცი მუზეუმის დირექტორს – პროფ. მ. ნიკოლეიშვილს).

„ღირა“ იწყება რედაქტორის (ჯ. ღვინჯილიას) წინასიტყვაობით, რომელიც თავისთავად არის ერთი საყურადღებო ნარკვევი. მასში ჩამოყალიბებულია ზოგადი პრინციპები შემოქმედის მოვალეობა-პასუხისმგებლობის შესახებ; გამოკვეთილია თავად რედაქტორის მრწამსი და დამოკიდებულება ამ ღვთიური მადლისადმი; იგრძნობა ის დიდი შემოქმედებითი ენერჯია, რომელმაც ჯანსუღ ღვინჯილიას საქვეყნოდ მოუპოვა სახელი და დიდება.

ადამიანობა — მარადიული პროფესია  
(პროფესორი ვ. თოფურია)

დაიბეჭდა გაზეთ „ქართულში“ 2001 წლის დეკემბრის ნომერში ვ. თოფურიას დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

მიმდინარე (2001) წელს ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 100 წლისთავი. ამას წინათ ჩატარდა ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია. ჩემ და სამწუხაროდ, მის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მივიღე. გული დამწყდა, რადგან ახლაც ვერ გამოვხატე „დიდი მასწავლებლის“ მიმართ ის სიყვარული და უალრესი მონივნება, რასაც წლების მანძილზე ვგრძნობდი და უხმოდ ველოლიავებოდი... სწორედ ამ შინაგანმა უკმარისობამ მაიძულა მცირე მოგონებით მიმეგო მოკრძალებული პატივი ამ ღირსეული ადამიანის ხსოვნისათვის.

მე არ ვყოფილვარ ბ-ნი ვარლამის სტუდენტი, არც მისი ლექციები მომისმენია, მაგრამ მუამაყება, რომ გახლდით მისი „მონათეთა მონათე“. უკვე სტუდენტობიდან ვიცოდით ბევრი რამ ვ. თოფურიას მეცნიერულ მიღწევებზე, ადამიანურ ღირსებებზე. ჩვენი ლექტორები: ქეთევან ძონენიძე, პოლიკარპე ჯაჯანიძე, მიხეილ ალავიძე და სხვები ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იგონებდნენ თავიანთ მასწავლებელს. მაშინ ისიც ვიცოდით, რომ „თოფურ“ მეგრულად „თაფლს“ ნიშნავდა და გვარი „თოფურია“ ზედმიწევნით მიესადაგებოდა ბ-ნი ვარლამის ბუნება-ხასიათს.

ვ. თოფურიას მეცნიერული ღვაწლი საქვეყნოდაა ცნობილი,

ამიტომ ჩვენ ამ მხრივ არაფერს ვიტყვით. მხოლოდ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ მისი ენათმეცნიერული შემკვიდრეობა, გასაოცარი პასუხისმგებლობით შესრულებული ყოველი გამოკვლევა მუდამ გაპყვება კეთილ მეგზურად ფილოლოგთა თაობებს; საკითხის გამონვლილვითი ანალიზი, დასკვნებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება და ნათელი მსჯელობა ყოველთვის იქნება ზუსტი ბარომეტრი ლინგვისტიკისათვის, ხოლო მისი სათნოება, სულიერი სისპეტაკე, ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა და თანადგომა, მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარული და ქომაგობა, ლეთისაგან მომადლებული ნიჭი მასწავლებლობისა მუდამ დარჩება მისაბაძ ნიმუშად.

...1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება „სოფელ ახალშენის მეტყველება“. სხდომას ესწრებოდნენ აკ. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე და სხვები (რომლებსაც ფიზიკურად არ ვიცნობდი). ბუნებით მოკრძალებულს, მაშინაც გული მიკანკალებდა, როგორ შეაფასებდნენ ეს ბუმბერაზი მეცნიერები ჩემს ამ პატარა მოხსენებას, რომელიც ეხებოდა სამხრეთ საქართველოდან წამოსული იმერეთში ჩასახლებული მესხების მეტყველებას. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა. მოხსენებაში წარმოდგენილმა მასალამ მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. ბ-ნი ვარლამი საგანგებოდ შეეხო ჩემს თემას, დაწვრილებით გამოძვითხა სოფლის ისტორია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლინგვისტურად ძალიან საინტერესო სამუშაო ჩანს და უხვ მასალას გამოავლენსო... იქვე მომცა ახალი დავალება – გამეგრძელებინა დაკვირვება ამ მეტყველებაზე, რომელიც იმერულ და მესხურ კილოთა შერევის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენსო, რომ ამგვარი მასალების აღნუსხვა-შესწავლით საშვილიშვილო საქმე კეთდებო... თანვე მუშაობის კონკრეტული გეგმაც ჩამომიყალიბა: „მეტყველების ნიმუშები უნდა ჩაიწეროთ უბან-უბან, ცალკეული ოჯახების მიხედვითაც კი; განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება იმ ოჯახებზე, სადაც იმერული რძალი ცხოვრობს; გაითვალისწინეთ ინფორმატორთა სქესი, ასაკობრივი სხვაობა და ა.შ. გახსოვ-



დეთ: ჩასული პიროვნება ისე ზუსტად ვერ აღიქვამს და აღ-  
ნუსხავს მეტყველების თავისებურებებს, როგორც ადგილობრი-  
ვი მკვიდრი..."

რამდენიმენუთიანი ჩვენი ეს დიალოგი ჩემს ცხოვრებაში  
უბედნიერესი მომენტი იყო. ბ-ნი ვარლამის გულისხმიერებამ,  
კოლეგიალურმა დამოკიდებულებამ, გამამხნეველმა სიტყვებმა  
კიდევ უფრო გამიძლიერეს ინტერესი ენათმეცნიერული სა-  
კითხებისადმი, გარკვეულწილად განსაზღვრეს ჩემი სამომავ-  
ლო ცხოვრების გზა. იმ დღეს თავადაც დავრწმუნდი, რომ ვ.  
თოფურიას – ამ სათნო ადამიანს, თოვლივით სპეტაკი ჭაღარა  
რომ ამშვენებდა, მართლაც ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული,  
სხვათაგან გამორჩეული ხიბლი და ზემოქმედების უნარი, რაც  
ადამიანში, პირველყოვლისა, იწვევდა მოწინებასა და მოკრძა-  
ლებას, თანვე იძლეოდა წინსვლის სტიმულს, არწმუნებდა საკუ-  
თარ ძალაში...

მართლაც, ზემოაღნიშნული მითითების მიხედვით ვსწავ-  
ლობდი ჩემი სოფლის მეტყველებას, ბევრი საინტერესო მასა-  
ლაც მოვიპოვე, მაგრამ ბ-ნი ვარლამთან მისი წარდგენა ვერ  
მოხერხდა. იგი მალე გარდაიცვალა.

...და მაინც სანთელ-საკმეველს გზა არ დაუკარგავს. ამ დი-  
დი მეცნიერის შთაგონებით დაწყებულ საქმეს წლების მანძილ-  
ზე ვაგრძელებდი, მასალებს ვავსებდი და ვაზუსტებდი. და  
ყველაფერი ეს ბოლოს გავეართიანე წიგნში „მესხური დიალექტის  
საღიქსიკონო მასალა“.

ვარლამ თოფურიას მადლი, მისი სულიერი სინძინდე შემ-  
დგომ წლებშიც მასაზრდოებდა არაპირდაპირი გზით. ჩემი, რო-  
გორც ასპირანტის, ხელმძღვანელი გახლდათ პროფ. ივანე ქაე-  
თარაძე, მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი დიდი მასწავლებელი  
და მოძღვარი – ვარლამ თოფურია, რომლის ცხოვრება-მოლ-  
ვანეობისა და პიროვნული თვისებების შესახებ ხშირად მე-  
საუბრებოოდა. იგი მიაჩნდა ადამიანობის, კაცურკაცობის ეტა-  
ლონად და თავადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ბ-ნი ვარლა-  
მისეული მრწამსითა და საზომით.

ვუსმენდი ჩემს ხელმძღვანელს და ვფიქრობდი: ჭეშმარიტად

ბედნიერია ის მთესველი, რომლის კეთილი თესლი ასეთ უხვ ნაყოფს გამოიღებს: ივანე ქავთარაძეს, როგორც მეცნიერსა და ადამიანს, ბ-ნი ვარლამის ნათელი (მადლი) ამშვენებდა, უმნიკ-ვლოდ ემსახურებოდა მშობლიურ ენას, უხვად გასცემდა სიტბოსა და სიყვარულს.

...გადის დრო, თაობები იცვლებიან, მაგრამ მარადიულია ის პროფესია, რომელსაც ადამიანობა ჰქვია.

პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის  
ცხოვრება და მოღვაწეობა

წაკითხულია მოხსენებად 2002 წლის ნ ოქტომბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბ. ჯორბენაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტში“ 2002 წლის ოქტომბრის ნომერში.

პროფ. ბესარიონ არკადის ძე ჯორბენაძე დაიბადა 1942 წლის 31 აგვისტოს ქ. თბილისში.

1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

1962-1964 წლებში აკად. ვ. თოფურიას ნარდგინებით მივლინებული იყო ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლატვიური ენისა და ლიტერატურის შესასწავლად.

1964 წელს ნარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში ქართული ენის განხრით.

1969 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგედ.

ბ. ჯორბენაძემ 1970 წელს ნარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“, ხოლო 1979 წელს — სადოქტორო დისერტაცია და ერთხმად მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1972-1981 წლებში ბ. ჯორბენაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი, 1981 წლიდან კი — ამავე კათედრის პროფესორი. კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ქართულ დიალექტოლოგიაში, მიჰყავდა სპეცკურსები „ქართული ზმნა“ და „ენა და ეროვნული კულტურა“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სპეც-

კურსები უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა მისივე წინადადებით. ამავე პერიოდში პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზეც: 1982-1985 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე; 1986-1987 წლებში კი - უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; 1987 წლის 23 ნოემბერს არჩეულ იქნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

მრავალმხრივი იყო ბ. ჯორბენაძის სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. იგი გახლდათ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სამეცნიერო კრებულის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი; ჟურნალ „მაცნის“ (ენისა და ლიტერატურის სერიის) რედაქტორის მოადგილე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1989-1990 წლებში ხელმძღვანელობდა კომისიას, რომლის ინიციატივით შედგა და დამტკიცდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა.

1993 წლის 4 მაისს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ბ. ჯორბენაძე წარადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მაგრამ 10 მაისს იგი გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად.

ამიერიდან მისი სული შეუერთდა ზეციურ საუფლოს, ამ ქვეყნად კი დატოვა უზარმაზარი შემოქმედებითი ნაღვანი, რომელიც გამორჩეულ ადგილს დაიჭერს ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

ასეთი გახლდათ პროფ. ბ. ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ოფიციალური ქრონიკა.

როცა ბ-ნი ბესიკის შესახებ დაიწყებს კაცი ფიქრსა თუ საუბარს, შეუძლებელია უნებურად არ მოაგონდეს ილიას შენანიშნავი სიტყვები: „ზოგი კაცი იმისთანაა, რომ არ ვიცით,

რომელი მხრიდამ დაუწყოთ ყურება, რადგან ყოველი მხრი-  
დამ დიდებული სანახავია".

ჩვენც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: ბ. ჯორბენაძე სწო-  
რედ რომ დიდებული სანახავია, როგორც სრულიად განსხვა-  
ვებული სტილის მოაზროვნე-ლინგვისტი და მრავალმხრივი სა-  
ზოგადო მოღვაწე, საუკეთესო მასწავლებელი და პოეტური  
სულით შთაგონებული პიროვნება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბ. ჯორბენაძე  
გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის  
ბოლომდე იყო ახალი თაობის ქართული ენათმეცნიერული აზ-  
როვნების ერთ-ერთი თავკაცი და მესვეური.

განგებამ ბ-ნი ბესიკი უხვად დააჯილდოვა განსაკუთრებული  
ნიჭიერებით, შესაშური შრომისმოყვარეობითა და მაღალი ადა-  
მიანური თვისებებით. სწორედ ამ ღვთიურმა მადლმა შეაძ-  
ლებინა მას – ერთ ადამიანს – ხანმოკლე სიცოცხლეში პედაგო-  
გიური და საზოგადოებრივი საქმიანობის გვერდით შეექმნა  
ესოდენ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

დიდი ერუდიციისა და ფართო მეცნიერული თვალსაწიერის  
წყალობით, ერთნაირი გატაცებით იკვლევდა ლინგვისტიკის რო-  
გორც ზოგადთეორიულ პრობლემებს, ისე კერძო ენობრივ სა-  
კითხებს, ქართველურ ენებსა და დიალექტებს, მწერლის ენასა  
და სტილს.

130-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორს წიგნებად გამოქ-  
ვეყნებული ჰქონდა 10 მონოგრაფია.

დახვეწილი ლოგიკური მსჯელობის მქონეს ხელეწიფებოდა  
ნათლად ჩამოეყალიბებინა სათქმელი... წერდა გატაცებით, სილ-  
რმისეულად. ხშირად ერთი კონკრეტული საკითხი მის ხელში  
ზოგად პრობლემად იქცეოდა და მონოგრაფიულ დამუშავებას  
ითხოვდა... ასე იქმნებოდა ახალ-ახალი წიგნები, რომელთა ნა-  
წილი, სამწუხაროდ, ავტორს გამოუქვეყნებელი დარჩა. მაგრამ,  
საბედნიეროდ, სანთელ-საკმეველი გზას არ კარგავს. ბ-ნი ბესი-  
კის ოჯახის წევრები, უახლოესი მეგობრები, ყოფილი ასპირან-  
ტები და სტუდენტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ  
მეცნიერის არქივში დარჩენილი მასალები ფართო საზოგადოების

კუთვნილება გახდეს. ამ მხრივ განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ ბ. ჯორბენაძის საზოგადოებას (შეიქმნა 1993 წელს) და მის ხელმძღვანელს პროფ. გ. გოგოლაშვილს, რომელიც მართლაც რომ შესაშურ ერთგულებას იჩენს უფროსი მეგობრის ღვანლისა და სახელის სადიდებლად. ბ-ნი გიორგის რედაქტორობით და საზოგადოების გრიფით უკვე დაიბეჭდა ბ. ჯორბენაძის რამდენიმე ახალი მონოგრაფია.

ბ. ჯორბენაძე, როგორც მეცნიერი, ბედნიერი პიროვნება გახლდათ. მან ახალგაზრდობაშივე დამსახურებულად გაითქვა სახელი თავისი ნაშრომებით, კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიითა და საოცრად ლოგიკური დასკვნებით. მის გამოკვლევებსა და წიგნებს კარგად იცნობენ არა მარტო სპეციალისტები, კოლეგები, არამედ ჩვენი სტუდენტებიც.

1989 წელს დაიბეჭდა წიგნი „ბალაგარი შწერლობისა“. მასში განხილულია ქართველი კლასიკოსების – კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილისა და სხვათა შემოქმედება. სპეციალისტებმა წიგნს მაღალი შეფასება მისცეს, საეტაპო მნიშვნელობისად მიიჩნიეს იგი. შემოგთავაზებთ ნაწყვეტს პროფ. მ. ქურდიანის რეცენზიიდან: „ქართველ ენათმეცნიერთა ახალი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბ. ჯორბენაძე ამ წიგნით ლინგვოსტილისტიკის უბრალო გამგრძელებლად კი არა, ახალი დისციპლინის ლინგვოპოეტიკის ტრადიციის ერთ-ერთ მესაძირკვლედაც გვევლინება... წიგნში გვხვდება მხატვრული ტექსტის კვლევისთვის მეტად ფასეული გამიჯვნა „პოეტური ხედვისა“ და „პოეტური ხილვისა“.

სწორედ ამგვარი სულისკვეთებითაა დაწერილი ბ. ჯორბენაძის წიგნი „პოეზიის ენა“. იგი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი ბესიკის სათუთი დამოკიდებულება მწერლის ენისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. ახლო მეგობრების ცნობით, სიჭაბუკეში იგი ლექსებს წერდა თურმე, პირადად იცნობდა გალაკტიონ ტაბიძეს, რომლის პოეზია საოცრად ხიბლავდა და სულიერად ამალლებდა. მართლაც, მწერლის ენისადმი მიძღვნილი ბ. ჯორბენაძის ნაშრომები გაჯერებულია პოეტური სულით. აქ ყოველ გვერდზე მშრალი

ენათმეცნიერული მსჯელობა როდია, პირიქით, თითქოს ხელახლა კითხულობ პოეტურ ქმნილებასა თუ პროზაულ ნაწარმოებს.

ბ. ჯორბენაძე იყო საუკეთესო მასწავლებელი. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა ენათმეცნიერებაში, მრავალს ასწავლა საქმის ერთგულება და სიყვარული, მრავალმა უხვად მიიღო მისი ადამიანური სითბო და სულიერება. სხვაგვარად ალბათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მას ხომ მემკვიდრეობად გადმოეცა ძვირფასი მასწავლებლისგან – ვ. თოფურიასგან მშობლიური ენისადმი თავდადებული სამსახური, სათნოება და პრინციპულობა.

ცნობილია, რომ ბ-ნი ბესიკი აღმერთებდა ვ. თოფურიას, ყველგან და ყოველთვის სიკეთის ცოცხალ მაგალითად ესახებოდა იგი. ღირსეული შეგირდი სიამაყითა და უსაზღვრო სიყვარულით აღნიშნავდა ხოლმე: „ვ. თოფურია იყო სპეტაკი, როგორც ის წმინდა ტაძარი მეცნიერებისა, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლე ემსახურა. ადამიანური სითბო ეტყობოდა მის ყოველ ნახელავს, მასთან გატარებული ყოველი წუთი იყო უამი სულიერი განწმენდისა და სტიმული კეთილის მოქმედებისთვის“.

ეს სიტყვები ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ ბ-ნი ბესიკის მიმართ. იგი დარჩება სამაგალითო მეცნიერად და განუმეორებელ პიროვნებად. ყოველ ჭეშმარიტ ქართველს მუდამ გაჰყვება სტიმულად და შთაგონებად მშობლიური ენისა და კულტურის სამსახურის გზაზე ანდერძად დატოვებული მისი შესანიშნავი სიტყვები: „რა არის ის ძალა, რომელიც წარმოაჩენს ხალხის სულისკვეთებას? რაა ის არსებითი ნიშანი, რომელიც დაამკვიდრებს ეროვნულ თვითშეგნებას, თავის ადგილს მიუჩენს ერს სხვა ერებს შორის და ამით ცხადყოფს მის თვითმყოფადობას?“

რა არის ის, რაც ხიდად გაიდება წინაპარსა და შთამომავალს შორის, წარსულსა და აწმყოს შორის, რა აერთიანებს აწმყოსა და გარდასულს?

ერთადერთი რამ – დედაენა!

ყველა ჩვენგანის ვალია პატივი სცეს თავის დედაენას... არ დაავიწყდეს, რომ ჩვენი დედაენა ჩვენივე კაცობის გვირგვინია, ჩვენი ვინაობის მაცნე საკაცობრიო ცივილიზაციაში და ამიტო-

მაცაა ჩვენი რუდუნების უპირველესი საგანი“.

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენს ვალსა და პასუხისმგებლობას და, რაც მთავარია, გვარწმუნებს, რომ ბ. ჯორბენაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ქომაგად ეყოლება დედაენას – „ჩვენივე კაცობის გვირგვინს.“



## ბელგიელი აკრთმავლობის მიხედვით ვან ესბროკი

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტი“  
ში“ 2002 წლის მაისის ნომერში („მ. ესბროკის  
ცხოვრება და ღვაწლი“) და 2004 წლის თებერ-  
ვალში („მ. ესბროკის ხსოვნისათვის“).

მიშელ ვან ესბროკი დაიბადა 1934 წლის 16 ივნისს ბელგი-  
აში, ქ. მალინში, ნახევრად ფლამანდრიული და ნახევრად ფრან-  
გული წარმოშობის ოჯახში. მისი გვარი – ვან ესბროკი ფლა-  
მანდრიულია, საოჯახო ენა ფრანგული იყო. მაგრამ, რადგანაც  
მიშელის მამა – პროფესორი გუილიამ (ჟიულიენ) ვან ესბროკი  
(გარდაიცვ. 1974 წ.) გეოლოგიაში ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას  
კოლუმბიის უნივერსიტეტში 1921-1923 წლებში, ხოლო დედა –  
იდა ბრუსელმანსი (გარდაიცვ. 1965წ.) 1914-1918 წლებში ლონ-  
დონში სწავლობდა, ამის გამო ესბროკების ოჯახში ინგლისუ-  
რადაც საუბრობდნენ.

ამასთან დაკავშირებით ბ-ნი მიშელი ასე იგონებდა: „მარ-  
თალია, ჩემი გვარი ფლამანდრიული წარმოშობისაა, ჩემს ძარ-  
ღვებში კი ფრანგული სისხლი ჩქეფს. ოჯახშიც ფრანგულად  
ვლაპარაკობდით, რის გამოც მრავალ წინააღმდეგობას  
ვანყდებოდით მეზობლების მხრიდან. კარგად მახსოვს მეორე  
მსოფლიო ომი, ტანკების გრუხუნის, ქვემეხების გრიალი და, რაც  
მთავარია, ის საფრთხე, ფლამანდრიული წარმოშობის გამო  
ჩვენს ოჯახს რომ ემუქრებოდა“.

მ. ვან ესბროკი ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე და ბეჯითი  
ყოფილა. როცა მისი თანატოლები თამაშით ერთობოდნენ, იგი  
ჩაიკეტებოდა ოთახში და საინტერესო წიგნებს კითხულობდა.  
ენების შესწავლის სურვილმაც ადრეული ასაკიდანვე გაიტაცა.  
მის ირგვლივ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ,  
ამიტომ ბავშვობიდანვე ადვილად აითვისა რამდენიმე ევროპუ-  
ლი ენა.

დანყებითი და საშუალო განათლება ბრიუსელში მიიღო. 1951 წელს დაამთავრა წმ. მიხეილის ბერძნულ-ლათინური კოლეჯი (სასულიერო სემინარია), შემდეგ სწავლას აგრძელებს ბრიუსელის წმ. ლუის სასწავლებელში სამართლის ფაკულტეტზე, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი წელი დარჩა.

1953 წელს მიშელი შეუერთდა იეზუიტთა საზოგადოებას სამხრეთ ბელგიის პროვინციაში, სადაც იმყოფებოდა 1955 წლამდე. 19 წლის ჭაბუკი გახდა იეზუიტთა ორდენის წევრი და სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია არჩევანისათვის.

საგულისხმოა, რომ მომავალი ქართველოლოგი ამ წლებში პარალელურად ემზადებოდა კლასიკურ ფილოლოგიაში, ფილოსოფიაში. მან სამი წელი დაჰყო წმ. ალბერტ დე ლუვინას პაპის (ეპისკოპალურ) ინსტიტუტში, რათა მიეღო ხარისხი ფილოსოფიაში. 1959 წელს დაწერა ნაშრომი "La prohairesis cher Aristote et cher les rheteurs greees". იმავე წელს აიღო კლასიკური ფილოლოგიის სახელმწიფო ლიცენზია.

1960 წლიდან მ. ესბროკი ბერძნულ-ლათინური ენების პროფესორია.

მ. ვან ესბროკმა ერთწლიანი სამხედრო სამსახურიც გაიარა. ამის შემდეგ მას ერთი წლის განმავლობაში ჰყავდა 32 ბავშვისაგან შემდგარი კლასი.

1962 წელს ბ-ნი მიშელი გახდა ბოლანდისტთა საზოგადოების ბიბლიოთეკის წევრი. სწორედ აქ პირველად მიეცა საშუალება შეესწავლა წმიდანთა ცხოვრება, მაგრამ იგი იმთავითვე დარწმუნდა, რომ ქართული ტრადიციების ცოდნის გარეშე ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის კვლევა შეუძლებელი იქნებოდა; მხოლოდ წმიდანების ჩამოთვლაც კი არ მოხერხდებოდა ქართული წყაროების გაუთვალისწინებლად. სწორედ ამ ფაქტორმა ძირითადად განსაზღვრა მ. ვან ესბროკის სამუდამო დაკავშირება ქართულ ენასა და მწერლობასთან, თორემ ვიზუალურად იგი უფრო ადრე გაეცნო ქართულ ანბანს, როცა ოჯახურ ბიბლიოთეკაში შემთხვევით აღმოაჩინა ფურცელი, რომელზედაც ქართული ანბანი და რამდენიმე ქართული სიტყვა ეწერა. მიშელის მამას ეს ანბანი ჩაუწერია XX საუკუნის

20-იანი წლების დასაწყისში ორი ქართველი სტუდენტისაგან. მართალია, ქართული ასოები მაშინვე მოსწონებია ახალგაზრდა მიშელს, მაგრამ მისი შესწავლა იმჯერად არ დაუწყია. ეს მოხდა უფრო მოგვიანებით, 1960 წელს. მოვუსმინოთ თავად მ. ესბროკს: „ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ბერძნულ-ლათინური ენების პროფესორი გახლდით, საჭირო წიგნისათვის შესვლა მომიხდა ბოლანდისტთა საზოგადოების ბიბლიოთეკაში. გადავშალე ერთი მათგანი და შემომანათა პაულ პეეტერსის მიერ გამოცემული ქართული ტექსტის ლამაზმა ასოებმა. ახლა იმდენად მომხიბლა ამ ასოებმა, რომ მტკიცედ გადავწყვიტე, საფუძვლიანად შემესწავლა ქართული ენა“.

ამ დროს ბელგიაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ქართველოლოგი, ორიენტალისტი, არმენოლოგი პროფ. ჟერარ გარიტი. მიშელ ვან ესბროკს ნება დართეს დასწრებოდა ჟ. გარიტის ლექციებს ლუვენის უნივერსიტეტში, როგორც თავისუფალი მსმენელი ძველი ქართული და ძველი სომხური ენების შესასწავლად. ამ დროს ის-ის იყო გამოიცა პროფ. ჟ. გარიტის ნაშრომი "Calendrier palestino-georgien" ბოლანდისტების უბლიკაციებით.

ერთი წლის შემდეგ მიშელ ვან ესბროკისათვის ცხადი გახდა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სირთულე და მრავალმხრიობა. მისი სრულყოფილი შესწავლა ძნელი იქნებოდა პირველი ათასწლეულის მხოლოდ ორი აღმოსავლური ენით (ძველი ქართულითა და ძველი სომხურით). ამის გამო ახალგაზრდა მკვლევარს დართეს ნება, დაუფლებოდა არაბულსა და სირიულ ენებს ბეირუთის ნმ. ჯოზეფის უნივერსიტეტში, მაგრამ აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა; 1964 წელს უკან, ლუვენში, გაიხმეს თეოლოგიის შესასწავლად.

1970 წელს მიშელ ვან ესბროკმა მიიღო დოქტორის ხარისხი თეოლოგიაში და აკურთხეს მღვდლად. მღვდლად კურთხევის პირველ პერიოდში იგი ეწეოდა აქტიურ სასულიერო მოღვაწეობას, „შემდეგ კი, – იგონებს ბ-ნი მიშელი, – მივხვდი, რომ ღმერთს სურდა, ჩემი ცხოვრება წმიდანთა ცხოვრების შესწავლისა და ძველი ხელნაწერების დაზუსტებისათვის მიმეძღვნა,

რის გამოც მივატოვე აქტიური სამოძღვრო მსახურება და ბერული ცხოვრებით დავემყოფილდი, რამაც ჩემი ორდენის ზოგიერთი ძმის უკმაყოფილება გამოიწვია". აქვე შევნიშნავთ, რომ ბ-ნი მიშელი უფრო მოგვიანებითაც აღიარებდა: „ძველი ხელნაწერების შესწავლამ ისე გამიტაცა, რომ ჩემი ცხოვრება მთლიანად მას მივუძღვენი. მე ვთვლი, რომ ძველ ტექსტებზე „მონადირე“ ვარ“.

1972 წელს პარიზიდან ბელგიაში დაბრუნდა მამა ფრანკო ჰალკინი და თან ჩაიტანა ქართული ათონური II ხელნაწერის ფოტოები. ეს დოკუმენტები გადაღებული იყო პარიზის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის მარსელ რიჩარდის მიერ. იმ დროს პარიზში მისი წაკითხვა არავის შეეძლო. და ამ რთულ საქმეს ხელი მოჰკიდა მიშელ ვან ესბროკმა. მან გადწერა მთლიანი კოდექსი (მოახდინა ტრანსკრიბირება) და დარწმუნდა, რომ იგი მიეკუთვნებოდა იმ კრებულის კატეგორიას, რომელსაც ეწოდა „მრავალთავი“.

მეცნიერული სიზუსტისათვის მთავარი და უპირველესი ამოცანა იყო ამ ხელნაწერების შედარება სხვა ეგზემპლარებთან, ამიტომ ბ-ნი მიშელი 1972 წელს პროფ. ჟ. გარიტის რეკომენდაციით გამოგზავნილ იქნა საქართველოში. იგი 15 დღე ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ დროიდან იწყება მ. ესბროკის მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა ქართველ კოლეგებთან. სხვადასხვა დროს კეთილმასპინძლობას უწევდნენ საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ სტუმარს პროფესორები: ელ. მეტრეველი, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, თ. მგალობლიშვილი, ზ. სარჯველაძე, ლ. ბერიძე და სხვანი.

27 წლის ასაკიდან მ. ესბროკი პროფ. ჟ. გარიტის მოწაფე იყო. მოძღვრისა და ღირსეული შეგირდის საქმიანი მეცნიერული ურთიერთობა წლების მანძილზე გრძელდებოდა. სწორედ მათ შესახებ შეიძლება გავიმეოროთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამი: „ჭეშმარიტი სულიერი შვილი მსგავსი მამისაჲ, კეთილმონაფეჲ, ნაცვალი მოძღვარისაჲ“ (ლ. ბერიძე). ჟ. გარიტის ხელმძღვანელობით იქცა მ. ესბროკის მეცნიერული

კვლევის ძირითად მიმართულებად ქრისტიან წმიდანთა ცხოვრების შესწავლა, კერძოდ: ბიზანტიის პაგიოგრაფია, ძველი ქართული და სომხური სასულიერო მწერლობა.

ღვთისაგან მომადლებული ნიჭიერება-გულისხმიერების, ენებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებისა და საქმის სიყვარულის წყალობით მიშელ ესბროკმა მოკლე დროში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, განსაკუთრებით გაინათა ძველ ქართულში, თავისუფლად კითხულობდა და იკვლევდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. ყოველივე ეს იმდენად საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ბ-ნი მიშელისათვის, რომ თავისი სულიერი მოძღვრის პროფ. ჟ. გარიტის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც ეძღვნებოდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. 1972 წლისათვის მ. ესბროკის დისერტაცია უკვე მზად იყო, მაგრამ ჟ. გარიტის მძიმე ავადმყოფობის გამო მისი დაცვა დროებით გადაიდო...

**1975 წელს ბ-ნმა მიშელმა ჟ. გარიტის თანდასწრებით ბელგიაში დაცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „უძველესი ქართული მრავალთავები“.** მასში გაანალიზებულია IX-X საუკუნეების ექვსი უმნიშვნელოვანესი ძეგლი (სინას, უდაბნოს, ათონის, კლარჯეთის, სვანეთის, პარხლის მრავალთავები); დაძებნილია მათი ყველანაირი შესაძლებელი უცხოური წყარო, პარალელი; მითითებულია არსებული ლიტერატურა.

ნაშრომში ავტორი განიხილავს ქართული მრავალთავის სტრუქტურას, მისი განვითარების ისტორიას; კრებულში შემავალ პომილეტიკურ მასალას, დოგმატიკური ანალიზის საფუძველს; გამოჰყოფს მრავალთავის უძველეს პლასტს (V ს.), განსაზღვრავს მის მნიშვნელობას როგორც ძველი ქართული მწერლობის, ისე ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკისა და პომილეტიკის ისტორიის შესასწავლად.

მ. ვან ესბროკის ზემოაღნიშნული მონოგრაფია ბელგიაში გამოსცეს ცალკე წიგნად ლუვენის კათოლიკურმა უნივერსიტეტმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა 1975 წელს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა და უცხოელმა

სპეციალისტებმა; შესაბამისად, მან ავტორს საქვეყნოდ მოუტანა ჭეშმარიტი მეცნიერული აღიარება.

საგულისხმოა ისიც, რომ მ. ვან ესბროკის ამ საინტერესო ნაშრომს და საერთოდაც ამ მიმართულებით მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას უდიდესი ღირებულება აქვს, რადგან მრავალთავის ტიპის კრებული უკვე აღარ არსებობს და, ამდენად, ქართული მრავალთავები პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. სწორედ მათი მეშვეობით ხდება შესაძლებელი ისტორიული ფაქტების დადგენა-დაზუსტება უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლა-კვლევისას.

ავტორის მეცნიერულ დამსახურებად ითვლება აგრეთვე იმის აღიარება, რომ მრავალთავში ძირითადი და პირველადი არის ჰომილეტიკური მასალა, ჰაგიოგრაფია კი გვიანდელი დანამატი, რომ უძველეს კრებულთა არქეტიპი უკვე ვახტანგ გორგასლის დროს უნდა თარგმნილიყო.

1975 წლიდან მ. ვან ესბროკი ბელგიის ხელისუფლებისადმი საკუთარი თხოვნით ჩაერთო საბჭოთა კავშირსა და ბელგიას შორის მკვლევართა გაცვლით პროგრამებში. მან ბევრჯერ მიიღო მონაწილეობა ამ პროგრამებში; ეძებდა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისსა და ერევანში. ამდენად, მას მიეცა საშუალება შეესწავლა თანამედროვე რუსული, ქართული და სომხური.

1982 წელს ბ-ნი მიშელი მიინვიეს რომში პაპის აღმოსავლურ ინსტიტუტში (Pontificio Istituto Orientele), რათა ესწავლებინა ძველი ქართული და ძველი სომხური ენები.

1985 წელს, ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში როგორც Jean-Pierre Mahe-ს ხელმძღვანელი.

1986 წელს მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტმა სთხოვა მას წარედგინა თავისი კანდიდატურა ქრისტიანული აღმოსავლური ფილოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე პროფ. იულიუს ასფალგის შემდეგ.

1987 წელს მ. ვან ესბროკი აირჩიეს კათედრის გამგედ. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა პენსიაში გასვლამდე, 1999 წლის 31 ივლისამდე.

პენსიაში გასვლის შემდეგ ბ-ნი მიშელის ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლა წმინდა მეცნიერული კვლევებით.

მ. ვან ესბროკი მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა აქტიურ შემოქმედების მოღვაწეობას. მეცნიერული კონტაქტები და ახლო პირადი ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ ქართველოლოგებთან, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართველოლოგიურ ჟურნალებში („ბედი ქართლისა“, „ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი“...), აქვეყნებდა საინტერესო გამოკვლევებს, წერდა რეცენზიებსა და მიმოხილვებს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზეც. იგი არის ავტორი წერილებისა ქართული ლექციონარის, აპოკრიფული და პაგიოგრაფიული ძეგლების შესახებ. საგულისხმოა ისიც, რომ გამოკვლევებს თან ერთვის ძეგლთა თარგმანები ფრანგულ ენაზე. სისტემატურად მონაწილეობდა ქართველოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

ბ-ნი მიშელი იყო გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის Deutsche patristische kommission-ის წევრი.

მ. ვან ესბროკის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიული ნუსხა (2002 წლის მონაცემებით, ავტორის მიერ შედგენილი) ითვლის 9 წიგნს, 231 გამოკვლევას, 27 საპოლემიკო სტატიას. მათი უმრავლესობა ეძღვნება უძველესი ქართული ხელნაწერების შესწავლას.

განსაკუთრებით დიდია ბ-ნი მიშელის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში იმ მხრივაც, რომ იგი წლების მანძილზე სიყვარულითა და რუდუნებით ეძიებდა უცხოურ წყაროებსა და სიძველეებში გაბნეულ ქართულ მასალებს, იკვლევდა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით უწევდა მათ პოპულარიზაციას უცხოეთში, უძველესი ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს ხელმისაწვდომს ხდიდა ევროპელ და ქართველ მეცნიერთათვის. მაგალითად, მან ლენინგრადის (ამჟამად სანკტპეტერბურგის) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში დაცული პალიმფსესტის ქვედა ფენა პირველმა ამოიკითხა და დაადგინა, რომ ეს იყო IX საუკუნის ქართული მრავალთავის ერთი ნაწილი. აგრეთვე: სინას მთაზე ნმ. ეკატე-

რინეს მონასტრის საცავში (რამდენიმე წუთით შესულმა) იპოვა სინური მრავალთავის აქამდე დაკარგული IV ნაწილი, რომელიც იქაურ ბერებს სომხური ეგონათ. ამ ხელნაწერის შესახებ ქართველმა მეცნიერებმაც პირველი ცნობა სწორედ ვან ესპროკისაგან მიიღეს.

ბ-ნი მიშელი იყო საქართველოს დიდი მეგობარი. 1972 წლიდან მოყოლებული იგი ჩვენს ქვეყანას 13-ჯერ ეწვია. საინტერესო მოხსენებებით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში გამართულ სამეცნიერო-საიუბილეო ღონისძიებებში, თავისუფალ დღეებში დაკავებული იყო საქართველოს მუზეუმებსა თუ ინსტიტუტებში დაცული უძველესი ხელნაწერების შესწავლით...

ქართველი ინტელიგენცია, სამეცნიერო საზოგადოება სათანადოდ აფასებდა ქართული კულტურის ღირსეულ მოამაგე უცხოელ ქართველოლოგს. მ. ვან ესპროკი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი; **1998 წელს, დეკემბერში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრამ ქართველოლოგიაში გაწეული ღვაწლისათვის მას მიანიჭა ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს სახელობის პრემია.**

სიცოცხლის ბოლო წლებში მიშელი დაინტერესდა ქართული წმიდანების ცხოვრებით. ამ მხრივ მისთვის მეტად ფასეული აღმოჩნდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მასალები. ამ უძველეს ხელნაწერთა გადმოწერა-დამუშავების მიზნით იგი 1999 წლიდან ყოველწლიურად სტუმრობდა საქართველოს.

2003 წლის აგვისტო-სექტემბერშიც ეწვია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს სათანადო მასალებისათვის. სექტემბრის თვეში მონაწილეობდა სომხეთში გამართულ სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობაში. ეს იყო მისი უკანასკნელი ვიზიტი საქართველოში.

2003 წლის 22 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა მიუნხენში.

ბ-ნი მიშელი გამოირჩეოდა არა მარტო ფართო ერუდიცი-



ით, ქვეშარიტი მეცნიერული სიღრმითა და კვლევის საგულისხმო შედეგებით, არამედ თავისი სულიერებითა და ადამიანური ღირსებითაც.

ბ-ნ მიშელს პირადად შეეხვდი 2002 წლის მაისში (თუმცა როგორც ქართველოლოგს მანამდეც ვიცნობდი). ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში საკვირაო წირვის დროს მეუფე გაბრიელ ბრატანტინმა მრევლს წარუდგინა უცხოელი სტუმარი – კათოლიკე მღვდელი და თან დასძინა: „მამა მიშელ ვან ესბროკი გახლავთ ცნობილი ქართველოლოგი“.

სტუმარმა მშვენიერი ქართულით დალოცა მრევლი, ქართველ ხალხს უსურვა მშვიდობიანი ცხოვრება, შემდეგ კი მოკლედ ისაუბრა თავის სამომავლო გეგმებზეც.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში მისი ამჟამინდელი ვიზიტი უკავშირდებოდა თბილისის სამეცნიერო სიმპოზიუმსა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ უძველეს ქართულ ხელნაწერებზე მუშაობას.

ბ-ნი მიშელი მაშინ ორი კვირა დარჩა ქუთაისში. ჩვენც ვისარგებლეთ ამით და უფრო ახლოს გავეცანით. რამდენჯერმე მოვინახულეთ მუზეუმში მომუშავეც. იგი ძალიან გახარებული და კმაყოფილი იყო, რომ ქართველი წმიდანების შესახებ უკვე ხელთ ჰქონდა ახალი მასალები, რომლებიც საინტერესო კვლევის ობიექტად ესახებოდა. ყოველთვის გატაცებით საუბრობდა უძველესი ქართული ხელნაწერების მეცნიერულ ღირებულებაზე: „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში, არქივებსა და საცავებში უამრავი ხელნაწერია დაცული ძველ ქართულ ენაზე, რომელიც მოითხოვს შესწავლასა და გამომზეურებას. ჩვენი – როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების – ვალია თანამედროვე მკითხველს მათთვის გასაგები ენით მივანოღოთ ეს უნიკალური ხელნაწერები, რომლებითაც მრავალი დიდი ქვეყანა იამაყებდა“.

მართალია, მ. ვან ესბროკი პოლიგლოტი გახლდათ (იყოფა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ბერძნული, ლათინური, ქართული, რუსული, სომხური, არაბული, კობტური, ეთიოპური, სირიული), მაგრამ ქართული ენა მაინც გამორჩეული იყო მისთვის,

რასაც ხშირად სიამაყით აღიარებდა: „ძალიან მიყვარს ქართული წერაც და ლაპარაკიც. ქართული ენა თითქოს ბერძნულს მაგონებს. მაგრამ, მე ვიტყვოდი, რომ ქართული არც უფრო სრულყოფილი, მწყობრი და ნათელი ენა. აქ არც იმდენად ბევრი თანხმოვანია, როგორც სომხურში და თანაც ყველაფერი გაცილებით ზუსტი და განსაზღვრულია. ერთი სიტყვით, ნათელი ენაა... საერთოდ თავიდანვე ძალიან დამაინტერესა ძველმა ენებმა, განსაკუთრებით კი მომხიბლა ძველმა ქართულმა თავისი განსაკუთრებული უღერადობითა და მრავალფეროვანი ლექსიკით... ბელგიასა და გერმანიაში, სადაც ძირითადად ვიმყოფები, იშვიათად ვლაპარაკობ ქართულად. როგორ მინდა, რომ მთელი დღის განმავლობაში კონფერენციები მოვისმინო ქართულად“. მისი აზრით, ენების ცოდნა არის მძლავრი იმპულსი, საუკეთესო საშუალება მეცნიერული კვლევისათვის.

ბ-ნი მიშელი ღვთიური მადლით უხვად იყო დაჯილდოებული, უყვარდა პოეზია და მუსიკაც, სიამოვნებით კითხულობდა ქართველი პოეტების ლექსებს, მოხიბლული იყო „ვეფხისტყაოსნით“, ზეპირადაც იცოდა სტროფები... გატაცებით უკრავდა ინსტრუმენტზეც. დავიმონებთ ნანყვეტს ერთი საგაზეთო სტატიიდან: „შუშანიკის ნამების“ იუბილე იყო. სხდომის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზიდან ყველანი გაიკრიფნენ. მხოლოდ ბ-ნი მიშელი არ აპირებდა წასვლას, რადგან როიალი შენიშნა. საერთოდ იგი ყოველთვის ეძებს ინსტრუმენტს და, როცა პოულობს, უდიდესი სიამოვნებით უკრავს. მაშინაც, როგორც ჩანს, დაკვრის სურვილი დაეუფლა და... უკვე შინ წასასვლელად გამზადებული საზოგადოება გატაცებით უსმენდა ვან ესბროკს, რომელიც მთელი არსებით მუსიკაში ჩაძირულიყო. დარბაზი ისევ გაივსო“.

იყო საოცრად ერთგული მეგობრობაში. ბ-ნი მიშელის თბილისელმა კოლეგამ და მუდმივმა მასპინძელმა პროფ. თამილა მგალობლიშვილმა ჩვენთან საუბარში მათი ხანგრძლივი (30 წლიანი) თანამშრომლობიდან არაერთი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: „ბ-ნი მიშელი, პირველ ყოვლისა, გახლდათ კეთილი და უმნიკვლო, ბავშვივით გულწრფელი, საქმისადმი საოცრად

თავდადებული. მისი შემოქმედებითი ენთუზიაზმი გადამდები იყო. იგი ყოველთვის გრძნობდა საქართველოში დიდ სიყვა-რულსა და პატივისცემას ქართველი კოლეგების მხრიდან და ასეთივე ყურადღებიანი გახლდათ თავადაც უცხოეთში როგორც მასპინძელი ჩვენს მიმართ. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ბ-ნი მიშელი XX საუკუნის 70-იან წლებშიც კი ცდილობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად ჩართულიყვნენ საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში; უცხოეთში ჩვენი გამგზავრებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგვარებაზეც კი ზრუნავდა; მისივე რეკომენდაციითა თუ სპეციალური რეცენზიებით იბეჭდებოდა უცხოეთის სამეცნიერო კრებულებში ქართველთა ნაშრომები..."

ქუმარიტ მკვლევარს სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან თავადაც კარგად უწყოდა ამგვარი ორმხრივი მეცნიერული თანამშრომლობის დადებითი შედეგების შესახებ. „მე კათოლიკე მღვდელსა და მეცნიერს ახლო ურთიერთობა მაქვს მრავალ ქართველ მართლმადიდებელ მეცნიერთან. ჩემთვის მეტად საინტერესოა მათთან ერთად მუშაობა. ვფიქრობ, ეს მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე მხარისათვის სასარგებლო და ნაყოფიერია“, – აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში.

მ. ვან ესბროკს გამოორჩეულად უყვარდა საქართველო. მოუუსმინოთ თავად სტუმარს: „საქართველოში პირველად ჩამოვედი გასული საუკუნის 70-იან წლებში. ქვეყანა, რომელსაც ასეთი უკვდავი და ლამაზი ენა აქვს, ადრიდანვე მხიბლავდა. აქ ჩამოსვლამდე უამრავ ქართულ ხელნაწერსა და უძველეს ქართველ მწერალთა თხზულებებს ვიცნობდი. აღტაცებული ვიყავი მათი მხატვრული და მეცნიერული ღირებულებით. ინტუიციამ არ მიღალატა. მე აღმოვჩნდი ძველი ტრადიციების მქონე ულამაზეს კუთხეში. ქართველები ნიჭიერი, სტუმართმოყვარე და რაღაც თავისებური ხიბლის მქონე ხალხია, თითქმის ყველა მეორე პოეტი და მომღერალია..."

საქართველოს 12-ჯერ ვესტუმრე და ვთვლი, რომ საქართველო, განსაკუთრებით თბილისი, ჩემი მეორე სამშობლოა".

როგორც აღვნიშნეთ, ბ-ნი მიშელის პიროვნებაში ძალუმად იყო მოჭარბებული თავმდაბლობა და უმნიკვლო ერთგულება ადამიანებისა თუ საქმის მიმართ. შემოგთავაზებთ ორიოდ ფაქტს.

ბ-ნი მიშელი, როგორც ქართველოლოგი, თავის პირველ მასწავლებლად აღიარებდა ცნობილ ბელგიელ ქართველოლოგს პაულ პეეტერსს (გარდაიცვალა 1950წ.). სწორედ პეეტერსის ქართველოლოგიურმა ნაშრომებმა პირველად გაუნათეს გზა ჭაბუკ მიშელს ქართველოლოგიისაკენ, პირველად შეიყვანეს იგი უძველესი ქართული სასულიერო მწერლობის რთულსა და საინტერესო სამყაროში, ხოლო შემდგომ პროფ. ჟერარ გარიტის ხელმძღვანელობით ბ-ნი მიშელი ჩამოყალიბდა როგორც სახელგანთქმული ქართველოლოგი, ორიენტალისტი, ძველი და ახალი აღმოსავლური ენების მცოდნე ფართოდ ერუდირებული მკვლევარი. ამიტომაც იყო, რომ მიშელ ვან ესბროკი ყოველთვის სიამაყით იგონებდა მასწავლებლებს და მადლიერებით დასძენდა: „მე დიდად დავალებული ვარ ჩემი მასწავლებლებისაგან. მათ ხსოვნას მუდამ სათუთად ვატარებ“.

კიდევ ერთი დეტალი ბ-ნი მიშელის პიროვნული პორტრეტისათვის: 1977 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა თავიანთი უძვირფასესი ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცეს თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. საჭირო იყო უამრავი ნიგნის თუთიის ყუთებში ჩალაგება, სათანადოდ შეფუთვა და საფრანგეთიდან საქართველოში გამოგზავნა. ფიზიკურად ეს მძიმე სამუშაო დიდი გულმოდგინებითა და საქმის სიყვარულით შეასრულეს: მიშელ ესბროკმა და მისმა მეგობარმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ.

...2002 წლის 30 მაისს ქართული ენის კათედრის თაოსნობით მ. ესბროკი მოვიწვიეთ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან აქ ქართულ ენაზე ნაიკითხა მოხსენება თემაზე: „რას წარმოადგენდა თავდაპირველად ძველ ქართულ ლიტურგიკულ წყაროებში მოხსენიებული ვარდობის დღესასწაული“.

საინტერესო მოხსენებითა და დასმული შეკითხვების პასუხებით გაირკვა, რომ ვარდობის დღესასწაული, რომელსაც 13 მაისს აღნიშნავდნენ, უძველესი დროიდან მოდის. ამ სა-

კითხზე ბევრი მეცნიერი მუშაობდა და ყოველთვის საპოლემიკო საგანი იყო. განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების მხრიდან: „ბუნებრივია, მეც დამინტერესა ამ საკითხმა, გამოვიკვლიე მრავალი ხელნაწერი ქართულ თუ ძველ აღმოსავლურ ენებზე. ბედმა გამილიმა და სინაის მთის ხელნაწერთა კოლექციაში წავაწყდი XII საუკუნის არაბულ ტექსტს, რომელიც ძალიან დამეხმარა და ფაქტობრივად აღმოჩნდა გასაღები მრავალი საჭოჭმანო საკითხის დასადგენად, რაც ვარდობის დღესასწაულს შეეხებოდა. კერძოდ: ნათელი გახდა, რომ იგი დაკავშირებულია რომის იმპერატორ ფოკთან, რომელმაც IV საუკუნეში რომის პანთეონში ააგო ღვთისმშობლის ეკლესია. პანთეონში საკულტო ნაგებობის აგება მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამაც უთუოდ განაპირობა ვარდობის დღესასწაულის აღნიშვნა 13 მაისს, ეკლესიის კურთხევის დღეს“.

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების შეხვედრა ბ-ნ მიშელთან იყო საინტერესო, საქმიანი და ამავე დროს მეტად გულთბილი, რასაც განაპირობებდა არა მარტო, ერთი მხრით, დამსწრე საზოგადოების აკადემიურობა და, მეორე მხრით, ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიცია, არამედ თვითონ სტუმრის პიროვნული თვისებებიც.

მ. ვან ესბროკთან პირველი შეხვედრიდანვე იგრძნობდით, რომ იგი გახლდათ გულისხმიერი, საოცრად გულლია, ხალისიანი მოსაუბრე; ადვილად შეეძლო სიტბოსა და სიყვარულის გამომჟღავნება; იგრძნობდით, რომ სიკეთისა და სულიერების მაღლი ამშვენებდა მის საქმესაც. ბ-ნი მიშელის შემართება და შემოქმედებითი ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება ადვილად შესამჩნევი და ერთგვარად გადამდებიც იყო. ყველა ეს დადებითი თვისება მისი ხასიათის მუდმივი ნიშანი გახლდათ, რამეთუ იგი ერთნაირად გულწრფელი ჩანდა როგორც კერძო საუბარში, ისე ფართო აუდიტორიის წინაშეც. სწორედ ამგვარი ემოციური მუხტი იგრძნობოდა უნივერსიტეტში შეხვედრის დროსაც.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა საპატიო სტუ-  
მარს საჩუქრად გადავეციტ ქართული ნიგნები. თავის მხრივ,  
ბ-ნი მიშელიც დაგვირდა, რომ აუცილებლად მოგვანედიდა  
თავის ქართველოლოგიურ გამოკვლევებს.

აქვე, შეხვედრაზე, უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ა. ნი-  
კოლეიშვილმა გამოთქვა სურვილი – მ. ვან ესბროკი ქართული  
კულტურის ერთგულებისათვის, ჩვენი ენისა და ლიტერატურის  
უანგარო სამსახურისათვის მომავალში აგვერჩია უნივერსიტე-  
ტის საპატიო დოქტორად.

ბ-ნი მიშელი ძალიან კმაყოფილი იყო უნივერსიტეტში სტუმ-  
რობით და, როცა მომდევნო კვირას საჩუქრად გადავეცი ჩვენი  
გაზეთი „უნივერსიტეტის მოამბე“, სადაც დაიბეჭდა ზემოალ-  
ნიშნული შეხვედრის ინფორმაცია და ჩემი წერილი მ. ესბროკის  
ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უდიდესი მადლიერების  
გრძნობით, ჩვეული თავმდაბლობით განაცხადა: „ქუთაისის უნი-  
ვერსიტეტის გაცნობა ერთ-ერთი უბედნიერესი ეპიზოდი იქნება  
ჩემს ცხოვრებაში. ახლა უცხოეთში გავემგზავრები თქვენთან  
კვლავ შეხვედრის სურვილით“.

ბ-ნი მიშელი საქართველოს უკანასკნელად ესტუმრა 2003  
წლის აგვისტოს ბოლოს. სექტემბერში მონაწილეობდა ერევან-  
ში ჩატარებული სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობაში. ახლაც  
ცოტა ხნით ეწვია ქუთაისს. კვლავ ვინახულეთ. ხალისიანი და  
იმედიანი განწყობით ლაპარაკობდა სამომავლო გეგმებზე: 4  
ოქტომბერს გერმანიაში მიფრინავდა, მაგრამ მალევე აპირებდა  
საქართველოში დაბრუნებას.

...სამწუხაროდ, ველარ შეძლო დანაპირების შესრულება. მო-  
ულოდნელად გარდაიცვალა. თითქოს სიმბოლური იყო მისი  
სიკვდილიც. როგორც ამბობენ, ბოლანდისტთა საზოგადოებაში  
ინახებოდა მისი უნიკალური და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რო-  
მელსაც ახლა უკვე პენსიაში მყოფი ნაწილ-ნაწილ ეზიდებოდა  
მანქანით საკუთარ ბინაში. თურმე სწორედ ამ ნიგნებზე  
დამხობილმა დალია სული და შეუერთდა ზეციურ საუფლოს.

ალბათ, ბ-ნი მიშელი შინაგანად გრძნობდა მოახლოებულ  
უბედურებას და ჩქარობდა მისთვის უსაყვარლესი ნივთების –

ნიგნების საკუთარ სახლში დაბინავებას.

ჯერჯერობით უცნობია ამ ბიბლიოთეკის ბედი. იქნებ საქართველოში ამ საქმით დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები, რამეთუ უნიკალური ბიბლიოთეკა ბ-ნი მიშელისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა უძველესი ქართული ხელნაწერების მოძიებასა და შესწავლას, ქართული კულტურისათვის იქნება უძვირფასესი განძი და სანდო მეცნიერული დოკუმენტაცია სამომავლო კვლევისათვის.

ბ-ნი მიშელისათვის საქართველო ყოველთვის იყო გულთბილი მასპინძელი, მისი მეცნიერული ნაღვანის პირუთვნელი დამფასებელი. ყოველივე ამას თავადაც კარგად გრძნობდა და ცდილობდა, რომ მისი ქართველოლოგიური გამოკვლევები ფიზიკურადაც არსებულყო საქართველოში, რათა იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო დაინტერესებულ პირთათვის, მკითხველი საზოგადოებისათვის. ამის ერთ-ერთი დასტური გახლავთ მ. ესბროკის ნაშრომთა უამრავი ქსეროასლი და ამონაბეჭდი, რომელიც ამჟამად საჩუქრის სახით ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთან – პროფ. თ. მგალობლიშვილთან (ანალოგიური ვითარება იქნება თბილისელ სხვა კოლეგებთან).

ბ-ნი მიშელს არ დაეინყებია არც ქუთაისი და არც ჩვენი უნივერსიტეტი თავისი ნაშრომების გამოგზავნის თაობაზე. უკანასკნელი ვიზიტის დროს გერმანიიდან ქუთაისისათვის საგანგებოდ ჩამოიტანა სათანადო მასალები: 54 დასახელების სამეცნიერო გამოკვლევა ამონაბეჭდებისა და ქსეროასლების სახით, სადოქტორო დისერტაცია ნიგნად გამოცემული, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და 2002 წლის ჩათვლით ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (გამოკვლევების ძირითადი ნაწილი ფრანგულ ენაზეა დაწერილი, მცირე ნაწილი – გერმანულად და ინგლისურად).

ავტორმა ეს მასალა ჩააბარა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მეუფეს, რომელსაც წერილით ატყობინებდა: მასალები გასაცნობად დროებით გადმოეცა ჩემთვის, როგორც ფილოლოგისათვის, უნივერსიტეტის თანამშრომლისათვის, რომ მომავალში შეგვძლებოდა საჭირო ნაშრომების ქსეროასლების გადაღება.

მართლაც, ფრანგული ენის კათედრის წევრთა დახმარებით

მ. ესბროკის ზემოაღნიშნული გამოკვლევების სათაურები ვთარგმნე ქართულად, შევადგინე კატალოგი, დავალაგე ქრონოლოგიის მიხედვით. გარდა ამისა, ავტორის მიერ ინგლისურად დანერგილი ბიოგრაფიული ცნობების, სხვადასხვა საგაზეთო პუბლიკაციისა თუ სამეცნიერო ნაშრომების გათვალისწინებითა და ინტერვიუების შეჯერებით შეძლებისდაგვარად დავწერე ვრცელი სტატია „ბელგიელი ქართველოლოგი მიშელ ვან ესბროკი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“.

მეუფე გაბრიელე ბრაგანტინის წინადადებით, ყველა ეს მასალა ინახება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკაში. დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ამ მასალით.

და ბოლოს: მართალია, ბ-ნ მიშელთან ჩვენი პირადი ნაცნობობა ხანმოკლე იყო, მაგრამ ამ ერთი წლის მანძილზე რამდენიმე შეხვედრითაც იმდენად თბილი ურთიერთობა დამყარდა ჩვენ შორის, რომ, ასე მგონია, ანდერძივით ჩამაბარა თავისი ნაღვანი და დამავალა მასზე ზრუნვა. ალბათ, იმასაც იმედოვნებდა, რომ 2004 წელს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აუცილებლად აღვნიშნავდით მისი დაბადების 70 წლის თავს მისივე თანდასწრებით.

ჩვენ მოვალენი ვართ, კვლავაც მივაგოთ პატივი მიშელ ვან ესბროკის ნათელ ხსოვნას და უფრო მასშტაბური სამეცნიერო სესიის მეშვეობით დანვრილებით გავაცნოთ ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას ქართული კულტურის ამ დიდი მოამაგის მეცნიერული მემკვიდრეობა.



## პროფესორი ივანე ქავთარაძე - საინჟინერო მეცნიერებათა დოქტორი

დაიწერა ივ. ქავთარაძის დაბადების 80 წელს  
თან დაკავშირებით

ივანე ქავთარაძე (1920-1984) ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. აკად. ვ. თოფურიას წარდგინებით სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1955 წელს კი — სადოქტორო.

ივ. ქავთარაძე სიცოცხლის ბოლომდე უმნიკვლოდ ემსახურებოდა ქართულ ენათმეცნიერებას, როგორც მეცნიერი და პედაგოგი.

მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო ინტერესები და საზოგადოებრივი მოღვაწეობა; გამოქვეყნებული აქვს 170-მდე ნაშრომი, აქედან 5 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო; კითხულობდა ლექციებს ქართული ენის გრამატიკაში, ქართული ენის შესწავლის ისტორიაში, დიალექტოლოგიაში.

ივ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით მომზადდა 20-მდე ასპირანტი, დაიწერა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ა.შ.

პროფ. ივ. ქავთარაძე გახლდათ ჩემი მეცნიერხელმძღვანელი. ალბათ, სიტყვებით ვერ გამოვხატავ იმ უსაზღვრო მაღლიერებასა და მონინებას, იმ სიყვარულსა და პატივისცემას, რასაც ვგრძნობ ამ ადამიანის მიმართ, მამობრივი მზრუნველობით, ჭეშმარიტი მოძღვარივით რომ ხელმძღვანელობდა ჩემი სამეცნიერო გზის პირველ ნაბიჯებს.

ბ-ნ ივანეს 1967 წლამდე პირადად არ ვიცნობდი.

1967 წელს ნოემბერში წარვადგინე რეფერატი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე, რათა შემდგომ საკანდიდატო მინიმუმის ფორმით დამემთავრებინა ასპირანტურა. რეფერატი სარეცენზიოდ გადაუციათ პროფ. ივ. ქავთარაძისათვის. 1968 წლის მარტიდან გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი და მომეცა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარების უფლება; მეცნიერხელმძღვანელად დამინიშნეს პროფ. ივ. ქავთარაძე. სადისერტაციო თემად დამტკიცდა „მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში“. ამ დროიდან დაიწყო ჩვენი – მეცნიერხელმძღვანელისა და ასპირანტის – ერთობლივი საქმიანობა. იმთავითვე შევთანხმდით, რომ საგნების მომზადების პარალელურად უნდა შემეგროვებინა საკვალიფიკაციო თემისათვის მასალებიც.

თავდაპირველად ძალიან ვლეღავდი ხელმძღვანელთან შეხვედრისას, მაგრამ მალე ბ-ნი ივანეს გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, გულთბილმა საუბრებმა თანდათან დამაძლევინა გაუბედაობა. მართალია, შრომისმოყვარეობა ბავშვობიდანვე მახასიათებდა, არასოდეს არ ვყოფილვარ საქმეში უპასუხისმგებლო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ-ნი ივანეს ასპირანტი გავხდი, ვხედავდი მის პუნქტუალობასა და მომთხოვნელობას საკუთარი თავისა თუ სხვათა მიმართ, ჩემი შრომა კიდევ უფრო შედეგიანი და მიზანმიმართული გახდა.

უცხო ენა და ფილოსოფია რომ ჩავაბარე, მთელი გულისყური გადავიტანეთ სპეციალურ საგანზე. ხელმძღვანელმა ამჯერად გადამიმონმა სათანადო ბიბლიოგრაფია და რამდენიმე ძნელადხელმისაწვდომი სპეციალური ლიტერატურაც მომანოდა.

1969 წლის მაისში, როცა მთლიანად მოვამზადე საგანი საგამოცდოდ, ამის შესახებ შევატყობინე ბ-ნ ივანეს. მან საჭიროდ ჩათვალა, წინასწარ გამსაუბრებოდა (შევემონებებინე). ხელმძღვანელისაგან ეს სიფრთხილე ჩემთან მიმართებაში ბუნებრივი იყო. ამ ეტაპზე ის მხოლოდ რეფერატით მიცნობდა, კარგად არ იცოდა ჩემი სხვა შესაძლებლობა (თეორიული საკითხების

ათვისების უნარი). ფაქტობრივად წინასწარ „ჩამაბარებინა“ გამოცდა: თეორიული საკითხიც დამანერინა (როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა ამონმებდა ასპირანტს) და წინადადებაც გამარჩევინა (პროფ. ვ. თოფურისა ჩვეულების მსგავსად).

ბ-ნი ივანე ჩემი პასუხით და საერთოდ საგნის ცოდნით კმაყოფილი დარჩა და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ჩავაბარე გამოცდა. მაღალი შეფასება დავიმსახურე. პროფ. შ. ძიძიგურმა ხმამაღლა განაცხადა: ასეთი პასუხი კარგახანია არ მოგვისმენია ასპირანტისგანო.

ამის შემდეგ დავინწყეთ ინტენსიური მუშაობა დისერტაციაზე. რამდენადაც მე ქუთაისში ვცხოვრობდი, თბილისსა და ქუთაისს შორის ხშირი მგზავრობა ჩემთვის არ იყო ადვილი. პირველ ხანებში ხელმძღვანელს უნივერსიტეტში ვხვდებოდი, მაგრამ იქ თითქმის სულ დაკავებული იყო: ხან ერთი ასპირანტი ელოდებოდა ჩემსავით და ხან – მეორე. ბ-ნი ივანე ხედავდა, რომ კონსულტაციის ჩატარება მშვიდ პირობებში არ ხერხდებოდა. ამიტომ მალევე შემომთავაზა: „თბილისში რომ ჩამოხვალთ, ნუ დაელოდებით ჩემს ლექციებს. მე უნივერსიტეტში ყოველდღე არ დავდივარ. არ მოგერიდოთ. სახლში მომიტანეთ მასალები. შეგიძლიათ წინასწარვე დამირეკოთ, რომ ქუთაისში თქვენი საქმე არ დააზარალოთ. თბილისში რომ ცხოვრობდეთ, მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა თქვენთვის. მაგრამ ამ პირობებშიც, თუ იბეჯითებთ, მოცემულ დავალებას ყოველთვის დროულად შეასრულებთ, მე ყველანაირად შეგინწყობთ ხელს; ჩემი მხრიდან არ დაგიგვიანებთ ნაშრომის ნაკითხვა-შემონმებას“.

მართლაც, ასეთ თბილ ატმოსფეროში ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ვწერდი დისერტაციას. უდიდესი მადლიერებით აღვნიშნავ, რომ ხელმძღვანელი ყველა საკითხზე ჩემთან ერთად ფიქრობდა. როცა რაიმე ახალი ლიტერატურა გამოჩნდებოდა ან თუნდაც ჩემი თემისათვის საინტერესო ფორმას შეხვდებოდა რომელიმე წყაროში, მაშინვე წერილობით შემეხმიანებოდა, ამ ინფორმაციას მომანვდიდა და თან ახალ დავალებას მომცემდა.

ბ-ნ ივანეს, როგორც ხელმძღვანელს, ბუნებით ნაბოძები მრავალი საუკეთესო თვისება ჰქონდა. მახსოვს, სადისერტაციო თემის პირველი ნაწილი რომ მივუტანე, ძალიან ვღელავდი. მიმაჩნდა, რომ სადისერტაციო ნაშრომი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული...

ხელმძღვანელი წინასწარ გამესაუბრა: რა საკითხებს ვეხებოდი, საანალიზო მასალაზე დაყრდნობით რა დასკვნები გაკეთდა და ა.შ. მეც თანდათან დავმშვიდდი და საინტერესო საკითხები გამოიკვეთა. ნამოსვლისას თბილი ღიმილით მითხრა: „ნაუკითხავადაც ვგრძნობ, რომ ნაშრომი კარგად გექნებათ დანერილი“. მართლაც, ნაშრომის წაკითხვის შემდეგ ხელმძღვანელის შექებაც დავიშსახურე: „წერის სტილი ნათელი და დახვეწილია, მსჯელობა ლოგიკური და დამაჯერებელი. ვიმედოვნებ, მთლიანი სადისერტაციო თემა საინტერესო გამოკვლევა იქნება“.

ახლა, როცა ბ-ნი ივანეს სახით მეცნიერებაში მყავდა ასეთი დიდი მფარველი, ადამიანი-იმედი, რომელიც დაინტერესებული იყო ახალგაზრდების წინსვლით, კიდევ უფრო მომემატა საკუთარი ძალების რწმენა და გამიძლიერდა სურვილი სადისერტაციო ნაშრომის დროულად დასრულებისა. მართლაც, ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისათვის ხელმძღვანელის ნავარაუდევ ვადებს ყოველთვის ვასწრებდი. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ერთხელ ბ-ნმა ივანემ – საერთოდ ამ დინჯმა, შეიძლება ითქვას, ერთგვარად სიტყვაძუნმა ხელმძღვანელმა – თავისი ოჯახის წევრებს ჩემი თანდასწრებით უთხრა: „უუუუნას მუშაობას რომ ვაკვირდები, მაგონდება ძველი ქართველი ქალები, საქმის ერთგულნი და ჭკვიანები“.

ბ-ნ ივანეს იმ დროს სხვა ასპირანტებიც ჰყავდა. მის ბინაში ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე მოვიყრიდით თავს, მაგრამ ყველასთან მუშაობდა გულდასმით, აუჩქარებლად, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვა: „მეცნიერება ძალიან ფაქიზი რამაა; არ უყვარს ზერელობა და სიჩქარე. საანალიზო მასალა უნდა იყოს ზუსტი და სწორი, მიღებული დასკვნა კი – სარწმუნო და სანდო“ (ამ მხრივაც ბევრი რამ ვისწავლე ხელმძღვანელისაგან).

ბ-ნი ივანეს თანადგომით, ხელშეწყობითა და უნარიანი

ხელმძღვანელობით მოკლე დროში დასრულდა ჩემი დისერტაცია, დაცვა დაინიშნა 1973 წლის 29 მაისს. ამ დღის მოლოდინში ბუნებრივად ვლელავდით, დისერტანტიცა და ხელმძღვანელიც. მართალია, ხელმძღვანელი დარწმუნებული იყო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაში (უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები გასაზიარებელი ჩანდა), ისიც იცოდა, რომ მე მთლიან მასალას კარგად ვფლობდი და მასზე თავისუფლად შემძლო მსჯელობა, მაგრამ თურმე (როგორც შემდეგ ითქვა) დაცვის მომენტში დისერტანტის ფსიქოლოგიური განწყობა აფიქრებდა (არც თუ უსაფუძვლოდ). მას არ ენახა ჩემი საჯარო გამოსვლა. ალბათ, ასევე ფიქრობდა პროფ. არნ. ჩიქობავაც. იგი დაცვის დაწყების წინ მომიახლოვდა, თბილად გამესაუბრა, დამამშვიდა და წარმატება მისურვა.

შესავალი სიტყვა რომ დავინყე, დარბაზში მაშინვე თვალთ მოვძებნე ჩემი ხელმძღვანელი. სკამზე იჯდა ოდნავ წინგაღმობრილი, სახეზე დაძაბულობა ეტყობოდა.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დამიჭირა მხარი.

როცა პაექრობა დამთავრდა, ბ-ნი ივანე ახლა უკვე წელში გასწორებული იჯდა სკამზე და ჩვეული კეთილი ღიმილითა და თავის ოდნავი დახრით მანიშნებდა კმაყოფილებას. მაგრამ მაშინ საკუთარ თავზე მაინც დამწყდა გული ერთ რამეში. დაცვის ბოლოს, როგორც წესი, დისერტანტი ოფიციალურ მადლობას უხდის სამეცნიერო საბჭოს, ოპონენტებს, დამსრე საზოგადოებას და ბოლოს ხელმძღვანელს. მანამდე ამ პროცედურის შესახებ არაფერი ვიცოდი (საერთოდ არ ვიყავი დანასწრები დისერტაციის დაცვას). ბ-მა ივანემ დაცვის წინა დღეებში ესეც შემახსენა, მაგრამ მადლობის ადრესატებში ხელმძღვანელი არ დაუსახელებია. ცხადია, ასეთი სპეტაკი, თავმდაბალი და სისადავით დამშვენებული პიროვნება თავის თავზე როგორ მეტყოდა. მეც, ჩემი გამოუცდელობის გამო, მექანიკურად დამავინყდა ხელმძღვანელისთვის საჯაროდ მადლობის გადახდა. არა და, თუკი ოდესმე ვინმე მეცნიერხელმძღვანელს რგებია გულწრფელი მადლობა, ამას პირველ რიგში ჩემი მხრიდან იმსახურებდა ბ-ნი ივანე.

...მეორე დღეს სახლში რომ მივედი, გაღიმებული შემხვდა – კანდიდატს გაუმარჯოსო. მე კი ენის ბორძიკით ბოდიშის მოხდა დავინყე იმ მაღლობასთან დაკავშირებით. ბ-ნმა ივანემ ღიმილით შემანყვეტინა: „მე ხომ ყოველთვის გასწავლიდით, სიკეთის ქმნას მაღლობა არ სჭირდება. ჩემი მაღლობა არის სწორედ ის კარგი დისერტაცია, საქმისადმი თქვენი ერთგული დამოკიდებულება“. იმ დღეს ხელმძღვანელი აღარ იყო სიტყვა-ძუნწი, სიხარულსა და კმაყოფილებას აშკარად ამჟღავნებდა.

უფრო გვიანდელი გადასახედიდან შედარებით ადვილია განვლილი მოვლენების შეფასება. პროფ. ივ. ქავთარაძე მართლაც იყო მეცნიერებაზე უსაზღვროდ შეყვარებული, მისი ერთგული და ქომაგი. საშინლად არ მოსწონდა იოლი გზით სიარული; არასოდეს არ შრომობდა საკუთარი პიროვნების გამოჩენა-განდიდებისათვის. პირიქით, ყველას უნაგაროდ ემსახურებოდა. მის ნიჭიერ გონებასა და ფხიზელ თვალს არასოდეს არ გამოეპარებოდა ნაწერში რაიმე უზუსტობა (ამ მხრივაც ბევრი რამ ვისწავლე მისგან). მეამაყება, რომ ბ-ნი ივანე – ეს მოუღლეელი მსახური მეცნიერებისა – სიცოცხლის ბოლომდე იყო ჩემი მასწავლებელი და ხელმძღვანელი.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში წამოიჭრა ბევრი ახალი საკითხი, რომლებიც მოითხოვდა ცალკე საგანგებო კვლევას. შევთანხმდით, რომ ამ საკითხებს აუცილებლად მივუბრუნდებოდი დაცვის შემდეგ. მაგრამ მალე დავქორწინდი და ბავშვის ავადმყოფობის გამო ფიზიკურად ძალიან დავიტვირთე, სამსახურთან ერთად ნაკლებად ვიცლიდი სამეცნიერო მუშაობისათვის. ბ-ნი ივანე ამ ვითარებაშიც მფარველად მოველინა ჩვენს ოჯახს; ბარათებითა და ტელეფონით გვანუგეშებდა, იმედსა და რწმენას გვინერგავდა: „მხნედ იყავით, ცოტაც მოითმინეთ, გაიზრდება ვაჟკაცი და, რაც აქამდე გაგანვალათ ავადმყოფობით, სამაგიეროს გადაგიხდით კაიკაცობითა და სასახელო მამულიშვილობით“. ბარათებში თანვე მესაუბრებოდა სამუშაო თემის შესახებაც. არ უნდოდა, რომ სრულიად მოვნყვეტილიყავ ჩემთვის ყველაზე საინტერესო და სასურველ საქმიანობას. სწორედ ისევ ჩემი ხელმძღვანელის თანადგომით ყოველწლიურად

მინც ვახერხებდი თითო-ორი სტატიის დანერას. ზოგი კი დეც დაიბეჭდა რესპუბლიკურ ჟურნალებსა თუ კრებულებში. მართალია, გამოკვლევებს ცალკეულ საკითხებზე ვწერდი, მაგრამ ბ-ნი ივანე დაჟინებით მრითხოვდა – დამეწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე: „ყოველწლიურად ხომ მინც უნდა დანეროთ რაიმე სტატია (წლიური საკვლევი თემა მაშინ სავალდებულო იყო — ჟ.ფ.). ერთ მონოგრაფიაზე მუშაობა თქვენთვის უფრო ადვილი იქნება... და თან ამასობაში კარგი საქმე გაკეთდება“. მართლაც, სადოქტორო დისერტაციის თემად შევარჩიეთ „სიტყვათნარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“, რომელიც ოფიციალურადაც დამტკიცდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე.

სამწუხაროდ, ბ-ნი ივანე მალე გარდაიცვალა და სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე ფიქრი მეც შევწყვიტე, თუმცა მას შემდეგ წლების მანძილზე საკვლევ თემებად სიტყვათნარმოებას ვამუშავებდი იმ გეგმით, რომელიც ხელმძღვანელთან ერთად შევადგინე. სწორედ ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნის პატივსაცემად სამომავლოდ ვიზრუნებ ამ ცალკეული სტატიების მონოგრაფიულად გამოცემაზე.

პროფ. ივ. ქავთარაძე, როგორც ხელმძღვანელი, გახლდათ საოცრად ტაქტიანი, მომთხოვნი, მაგრამ არა მკაცრი. შენიშვნების მოცემის დროსაც თავდაჭერილი და მშვიდი იყო, მაგრამ მის ყოველ სიტყვას (რომელიც მე კანონად მიმაჩნდა), სხვაგვარი ზემოქმედების ძალა ჰქონდა... თავისი ცხოვრებითა და მეცნიერული მოღვაწეობით იგი აღიარებული იყო აკად. ვ. თოფურიას ღირსეულ მონაფედ. ჩემს ახლობლებში ხშირად ვყვებოდი ბ-ნი ივანესა და მისი ოჯახის კეთილშობილებაზე, რომ იგი უაღრესად სპეტაკი და უმნიკვლო იყო. ბევრს მისი უანგარობა დაუჯერებლადაც ეჩვენებოდა, რადგან მაშინ (70-იანი წლების დასაწყისის) საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი საქმე თითქმის არ კეთდებოდა ანგარების გარეშე.

პროფ. ივ. ქავთარაძე მხოლოდ ჩემს მეცნიერულ საქმიანობას როდი ხელმძღვანელობდა. იგი მასწავლიდა ცხოვრების

სიბრძნეს, ადამიანთა სიყვარულს; პირადი მაგალითით ნერგავ-  
და ჩემში სხვათა სატკივარის გათავისების უნარს, კიდევ უფრო  
მიძლიერებდა შრომისმოყვარეობასა და პასუხისმგებლობას...

ბ-ნი ივანეს გულისხმიერებამ, სიტბომ, თანაგრძნობამ ბევრჯერ  
შეუმსუბუქა ჩვენს ოჯახს ცხოვრებისეული მძიმე დღეები. ახლაც  
კი მამხნეებს მისი სიტყვები: „მომავლის იმედი ყოველთვის  
უნდა გქონდეთ, გაჭირვებას უნდა შეებრძოლოთ, დარდი და  
სულიერი ტკივილი შრომით უნდა გაიქარვოთ“.

გარკვეულად ალბათ კიდევ შევძელი ჩემი მასწავლებლის  
შეგონებით მეცხოვრა. ბ-ნი ივანე დღესაცაა ჩემთვის მისაბაძი  
და სანიმუშო პიროვნება. თუკი რაიმე დადებითი გამაჩნია რო-  
გორც მასწავლებელს, მკვლევარს ან ადამიანს, ამაში უდავოდ  
დიდია მისი დამსახურება. მეც ვცდილობ ისევე ვთესო სიკეთე,  
ისევე უმნიკვლოდ შევასრულო ჩემი საქმე და ვიყო ადამია-  
ნებთან ისეთივე გულთბილი, როგორიც ბრძანდებოდა ჩემი მეც-  
ნიერხელმძღვანელი.

ყოველთვის მემახსოვრება ანდერძივით გადმოცემული ბ-ნი  
ივანეს სიტყვები: „ჩემი ძვირფასი მასწავლებელი და მისაბაძი  
პიროვნება ვარლამ თოფურია იყო“. მეც, ყოფილ ასპირანტს,  
შემიძლია სიამაყით განვაცხადო: პროფ. ივანე ქავთარაძის სახით  
მყავდა არაჩვეულებრივად ლამაზი სულის, კეთილშობილი და  
ზნემაღალი მასწავლებელი და სანიმუშო მეცნიერხელმძღვანელი.



**მეხსიერებაში ავტობიოგრაფიული გაკვეთილები**  
(პროფესორი ოთარ გიორგაძე 80 წლისაა)

დაიბეჭდა გაზეთში „ჩემი ქუთაისი“ 2004 წლის  
18 ნოემბერს.

„წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია“ და მიჰქრიან წლები... დრო-ჟამის სრბოლა კი ჩვენს ცნობიერებაში უტყუარ მემატრიანესავით აღბეჭდავს განვლილ ცხოვრებას, რომელიც ტკბილ-მწარე მოგონებებით შეგვახსენებს ხოლმე თავს...

ჩემთვის ამ მოგონებათა თავი და თავი მაინც უნივერსიტეტი, მკვიდრად ნაგები ორსართულიანი შენობა, რომელსაც კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენით რაიონიდან ჩამოსულმა ორმა აბიტურიენტმა. მას შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი – ახლა უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მშობლიური და ახლობელი.

უნივერსიტეტი ჩემთვის ყოველთვის ასოცირდება მასწავლებლებთან, რომლებიც უშურველად გვანვდიდნენ მეცნიერულ ცოდნას და, რაც მთავარია, თავიანთი პირადი მაგალითითაც გვაზიარებდნენ მაღალზნეობრივ ფასეულობებს.

რატომღაც ჩემში მასწავლებელთა მოგონება ყოველთვის იწყება პირველი სართულის შემოსასვლელში მდებარე იმ დიდი ოთახით, რომელსაც საპროფესორო ერქვა და რომლის კარი თითქმის მუდამ ღია იყო.

სტუდენტები მოკრძალებით შეეველებდით თვალს ერთად თავმოყრილ მსცოვანსა თუ ახალგაზრდა ლექტორებს, ზოგჯერ შესვენებაზედაც რომ აგრძელებდნენ მსჯელობასა და კამათს სხვადასხვა პრობლემაზე. ასეთ დროს საპროფესორო ჰგავდა დიდ საკრებულოს.

მეხსიერებამ შემოინახა ამ თავყრილობის მონაწილეთა დამახასიათებელი მომენტებიც. მაგალითად, შ. აბრამიძე, დ. მაჭავარიანი, პ. ჯაჯანიძე... ერთი სტილის (დინჯი, ნაკლებ ემოციუ-

რი) მოსაუბრენი ჩანდნენ; იქვე გვერდით შედარებით ახალგაზრდები – ლ. სანიკიძე, დ. ბრეგაძე, ოთ. გიორგაძე... უფრო მხიარულ ატმოსფეროს ქმნიდნენ; დ. ჯანელიძე ექსპრომტებით ოქროპირობდა; მ. ალავიძე მისთვის ჩვეული ხმამალალი სიცილითა და ე.წ. „ვიტამინებით“ კურნავდა მეგობრებს... და თუ ასეთ დროს გამოჩნდებოდა ქ. ძონენიძე, თან შემოიტანდა რაღაც განუმეორებელ სინმინდესა და ხიბლს, ახალგაზრდა კოლეგებიც მოკრძალებული ხდებოდნენ უმაღლეს.

გადის დრო... 40 წლის წინანდელი სტუდენტის მეხსიერებაში მაინც არ ფერმკრთალდება წარსულ დღეთა მოგონება, რადგან, საბედნიეროდ, ჩვენს უნივერსიტეტში ჯერ კიდევ მხნედ და შემართებით დააბიჯებენ ჩემი ყოფილი ლექტორები: ოთ. გიორგაძე, შ. დათუსანი და გ. კუჭუხიძე. მათთან შეხვედრა, საუბარი, თითქოს მამრუნებს ახალგაზრდობაში და მაგონებს ან უკვე მარადისობაში გარდასულ მასწავლებლებს.

და მისთვისაც გულწრფელ მადლობას გიხდით, უფროსო კოლეგებო!

ბატონი ოთარ გიორგაძე მე-4 კურსის მეორე სემესტრში გვასწავლიდა „საბავშვო ლიტერატურას“. იმჟამად უკვე „დაღვინებულ“ სტუდენტებს შეცნობილი გვექონდა ლექციის ავ-კარგი... დ. მაჭავარიანის დინჯ, მაგრამ მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ ლექციას ენაცვლებოდა ლ. სანიკიძის ტემპერამენტიანი, მსახიობის მანერებით დამშვენებული, ცოცხალი ლექცია, რომელიც ძველი მსოფლიო ისტორიის გასცენიურებას უფრო უგავდა... ცოტა მოგვიანებით ქ. ძონენიძემ ახლებური უღერადობა მისცა ლექციას. მის მიერ წაკითხული თითქოს მშრალი გრამატიკა (სინტაქსი) მუდამ იყო გაჯერებული ლექსის სურნელით...

კ. მექველია, პ. ჯაჯანიძე, მ. ალავიძე თუ სხვანი სრულიად განსხვავებული სტილის ლექტორებად წარმოსდგებოდნენ ჩვენ წინაშე. და ასეთ ვითარებაში არც ისე ადვილი იყო ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტათვის საინტერესო და მართლაც დასამახსოვრებელი გაგეხადა ისეთი „მოკრძალებული“ საგანი, როგორიც საბავშვო ლიტერატურა იყო. ჩვენ რატომღაც იგი მივიჩნიეთ მთლიანი ქართული ლიტე-

რატურის ისტორიის უბრალო დამატებად.

ასეთი განწყობით შევხვდით ამ საგანს და, გულახდილად ვალიარებ, ცოტა კრიტიკული თვალთ ვუმასპინძლეთ ლექტორს პირველ ლექციაზე 35-ე აუდიტორიაში.

ბ-ნი ოთარი იმ დროს დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა, თუმცა ჩვენ მაინც ასაკოვნად ჩავთვალეთ. მისალმების შემდეგ დაიწყო ლექტორისათვის ალბათ ჩვეულებრივი ლექცია. თეორიული მასალა იხსნებოდა დახვეწილი ქართულით, რასაც განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებდა მისეული, სრულიად გამორჩეული ხმის ტემბრი, დიქცია – ხან მშვიდი, ხან კი სასიამოვნო ემოციებით გაჯერებული. ჩანს, ამას დაემატა თავად ლექტორის პედაგოგიური დახელოვნება – სტუდენტის გრძნობა-გონებამდევადვილად მისვლის უნარი და საგნის არსის წარმოჩენა...

დამთავრდა პირველი ლექცია. ორივე მხარე გამარჯვებული აღმოვჩნდით:

ჩვენ მართლა ძალიან მოგვეწონა ახალი ლექტორი, სამაგიეროდ, ლექტორსაც აუდიტორიაში დახვდა .ის მსმენელი, ვისაც აინტერესებდა ცოდნის შექენა, შექლო თეორიული საკითხების ახლებური დანახვა, სალექციო მასალის აღქმა.

ცხადია, საუკეთესო ლექტორის მიერაც ჩატარებულ ყველა ლექციას ვერ დაიმახსოვრებს სტუდენტი, მაგრამ ზოგიერთი მაინც დიდხანს შემორჩება მეხსიერებას. ასეთი შთაბეჭდილებით მომყვა დღემდე ბ-ნი ოთარის მიერ ახსნილი ერთი პატარა მოთხრობა „დედა ჩიტი“. ლექტორმა მაშინ ისე შესანიშნავად წარმოაჩინა დედაშვილობის ზოგადი პრობლემა, ისე ლამაზად შეგვიყვანა დედა ჩიტის სულიერ სამყაროში, რომ გოგონებს თანაგრძნობის ცრემლიც კი მოგვადგა თვალთ... ახლაც კი ნებისმიერი ჩიტის დანახვა მაგონებს ოდესღაც მოსმენილ ერთ მშვენიერ ლექციას.

მალე გაირბინა ერთმა სემესტრმა. საბავშვო ლიტერატურაც ჩავაბარეთ საგამოცდო საგნად, მაგრამ ბევრ ჩვენგანს იგი სამუდამოდ არ ჩაუბარებია დრო-ჟამისათვის ოთარ გიორგაძის წყალობით. გარდა ამისა, ამ ლექციებმა დაგვარწმუნა, რომ ჭეშმარიტი მეცნიერისა და ხელოვანი პედაგოგის ხელში არც

ერთი საგანი არ შეიძლება იყოს „უბრალო დამატება“.

დიდი მადლობა ამ გაკვეთილისთვისაც, ბატონო ოთარ!

ყველა სტუდენტმა კარგად უნყოდა, თუ როგორი პრინციპული იყო ოთარ გიორგაძე ცოდნის შეფასებაში. მისთვის არ არსებობდა „წერილმანი“ საკითხი. ეს დასკვნა მაშინვე გამოვიტანეთ სტუდენტებმა, მაგრამ შემდგომში, მისაღები გამოცდების დროს, ჩვენმა საქმიანმა ურთიერთობამ კიდევ უფრო ახლოს ჩამახედა ბ-ნი ოთარის, როგორც გამომცდელის, ფსიქოლოგიაში.

მოგეხსენებათ, რომ მისაღებ გამოცდებზე გასათვალისწინებელია სხვადასხვა მომენტი. კერძოდ: აბიტურიენტში საპროგრამო მასალის ცოდნის გარდა უნდა დაინახო ზოგადი განათლება, აზროვნების უნარი, მომავალი პედაგოგისათვის დამახასიათებელი თვისებები და ა.შ. ბედნიერი ვარ, რომ ამ ასპექტითაც ბევრი რამ ვისწავლე ბ-ნი ოთარისაგან. ზოგჯერ გვექონია ისეთი შემთხვევაც, როცა ადვილი არ იყო საბოლოო შეფასების დადგენა (რომ იტყვიან: პასუხი არც აქეთაა და არც იქით). ასეთ დროს მაინც აბიტურიენტს ვუწევდით ანგარიშს.

ესეც იყო ჩემთვის პუმანურობის დიდი გაკვეთილი.

კიდევ ერთი დეტალი ოთარ გიორგაძის პიროვნული თვისებებისა.

...მაშინ ქართული ენის კათედრის ლაბორანტი ვიყავი. მისაღები გამოცდების დროს მდივნადაც ვმუშაობდი. მოხდა ისე, რომ იმ პერიოდში დაინიშნა ასპირანტურის გამოცდა სპეციალობაში (ქართულ ენაში). გამოცდის ჩასაბარებლად თბილისში რომ წავსულიყავი ერთი დღით, საჭირო იყო მიმღები კომისიის მდივნის ნებართვა. ამიტომ შევედი კაბინეტში და ბ-ნ ჩიქობავას ვთხოვე ერთი დღით გათავისუფლება. პასუხად უარი მივიღე. ამ დროს იმ კაბინეტში ბრძანდებოდა ბ-ნი ოთარიც. როცა მოისმინა ჩვენი საუბარი, ბ-ნ ნიკოლოზს ჩვეული სიდინჯით, თუმცა კატეგორიული ტონით უთხრა: „კოლია, მაკვირვებს შენი მოქმედება, ნუთუ ამ ინსტიტუტში არ მოიძებნება ადამიანი, რომ ერთი დღით მიიღოს საბუთები ამის მაგივრად. ჩემი აზრით, ამისთანა ახალგაზრდებს ყოველნაირად უნდა ვუნყობდეთ ხელს სწავლაში“. მერე მე მომიბრუნდა: „ამ სალამოსვე ჩაჯექი

მატარებელში და ხვალ დამშვიდებით ჩააბარე გამოცდა. აქ ვის შეუძლია ამ საქმის გამო საყვედური გითხრას?”

ბ-ნი ოთარი მაშინ მართლა მომეწვინა მხსნელად. თანაც დავრწმუნდი, რომ მის ხიტყვას ინსტიტუტში ფასი და ძალა უქონდა. გარდა ამისა, იმ დღეს მე მასში ერთხელ კიდე დავინახე მეცნიერი – პიროვნება, რომლისთვისაც მთავარია ახალგაზრდობის წინსვლა და წარმატება.

ეს ფაქტიც გახლდათ ჩემი პედაგოგიური ცხოვრების გზაზე ერთი საუკეთესო გაკვეთილი და ამისთვისაც გულწრფელი მადლობა, ბატონო ოთარ!

გილოცავთ საიუბილეო თარიღს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალგაზრდულ შემართებასა და სიმხნევეს წარსული თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ!

თქვენ კიდე დიდხანს გვჭირდებით ყველას – როგორც ნათელი სახე ჩემი თაობის მასწავლებლებისა და კოლორიტი დღევანდელი უნივერსიტეტისა.

# შინაარსი

წინასიტყვა.....	
ჩვენი ენა ქართული.....	
ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა.....	
ამაგი ტექსტოლოგისა (პროფესორი აკაკი შანიძე).....	1
გიორგი ახვლედიანი გრამატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.....	1
სახელთა აფიქსური წარმოების ზოგიერთი თავისებურება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში.....	2
ქრისტიანობა და ქართული დამწერლობის გენეზისის საკითხი (ქრონოლოგიური მიმართება).....	2
მშობლიურ ენას იკვლევენ ნორჩი ლინგვისტები.....	3
დიდი ენათმეცნიერი (პროფესორი თამაზ გამყრელიძე).....	4
აკაკი წერეთელი — მშობლიური ენის სინმინდისათვის მებრძოლი.....	4
დოცენტი დავით მჭავრიანი — სამაგალითო მსწავლელი და ხელმძღვანელი.....	5
დოცენტი ქეთევან ძონენიძე — ენათმეცნიერი და პედაგოგი.....	5
სუნთქავდა მხოლოდ საქართველოთი (ემიგრანტი ნ. ჯანელიძე).....	6
ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამატიკა“ და „სამი სტილის“ საკითხი ქართულ მწერლობაში.....	6

ქართული ენის გრამატიკა იტალიურად.....	70
ღვთით ნაკურთხი ტალანტი (პროფესორი არნოლდ ჩიქობავა).....	73
ქართული ენის უცხოელ მოამბე მამა ლუიჯი მანტოვანი.....	79
მოგონებანი დოცენტ დავით მაჭავარიანის შესახებ.....	84
დოცენტ ოთარ დეისაძის ხსოვნას.....	90
პროფესორ პოლიკარპე ჯაჯანიძის ცხოვრება და ღვაწლი.....	92
ჯანსუღ ღვინჯილა — ეროვნული სულიერების დიდი ქობაგი.....	97
ადამიანობა — მარადიული პროფესია (პროფესორი ვარლამ თოფურია).....	103
პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.....	107
ბელგიელი ქართველოლოგი მიშელ ვან ესბროკი.....	113
პროფესორი ივანე ქავთარაძე — სანიმუშო მეცნიერხელმძღვანელი.....	129
მეხსიერებაში აღბეჭდილი გაკვეთილები (პროფესორი ოთარ გიორგაძე 80 წლისაა).....	137